

K 36.032  
2



მთელი ცხოვრება

ჰენრი ჯამსი



ინგოჯი სუჰია



საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა





საქართველოს  
ქრონიკა

ქვეყნის ისტორია

# ქვეყნის ისტორია

K 36.032  
2



1961 წლის „საქართველო“

**სსკეპ-2000**  
**შეგოწმებულია**

მიხეილ ლექსანდრეს ძე ლაკერბაი დაიბადა 1901 წ. სოფ. მერხეულში (სოხუმის რაიონი). 1929 წ. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1930 წ. მუშაობდა კინოფაბრიკა „ვოსტოკფილმში“, იყო რეჟისორის თანაშემწე და კინოსცენარისტი. მის კალამს ეკუთვნის კინოფილმ „მზის ყვავილის“ სცენარი.

სოხუმის დრამატულმა თეატრმა დადგა ლაკერბაის პიესები: „საბიდა“, „დანაყაი“, „მისი საუკეთესო როლი“ და სხვ. 1959 წ. და 1961-1966 წლებში აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებზე გამოვიდა მისი „აფხაზური ნოველები“. მიხეილ ლაკერბაი გარდაიცვალა 1965 წელს.

19323

1662

90

## ქ ლ ა მ ი ს ი

**ი**ვლისის ცხელი დღე იყო. შემთხვევით გუდაუთის ბაღში შევედი. დავინახე: გრძელ სკამზე თეთრწვერა მოხუცი იჯდა. მის მახლობლად ჩამოვჯექი. ცოტა ხნის შემდეგ საუბარიც გავუბი.

— ეს ამბავი ორმოცი წლის წინათ მოხდა, — მითხრა მოხუცმა. — ჩემს უმცროს დას თვალის ჩინი დაეკარგა. ქვეყანა მოვატარეთ, ვის არ ვაჩვენეთ, ვერ მოვარჩინეთ, ვერ დავუბრუნეთ სინათლე. ბედშავი გოგო საბოლოოდ დარწმუნდა, აღარაფერი მეშველებაო, შინიდან გაიპარა და მატარებელს ბორბლებში ჩაუვარდა.

შინ რომ დავბრუნდი, ავმა ამბავმა დამარეტიანა. ეზო და სახლი ხალხით იყო გაჭედილი. ჩემი და საწოლზე დაესვენებინათ.



— ამ საწყალ გოგოს შარვალი რატომ ჩაუცვამს? — ეკითხებოდა ხალხი ერთმანეთს.

დავხედე: დას მართლაც შარვალი ეცვა, ჩემი შარვალი.

— რა ამბავია? რატომ ჩაიცვა შარვალი? — გაკვირვებას ვერ მალავდნენ ჩვენებური ქალები.

— ალამისის გამო. საწყალი, ალბათ იმაზე ფიქრობდა, მატარებელი რომ გადამივლის, თუ კაბა ჩავიცვი, შიშველი სხეული გამომიჩნდებაო. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემი შარვალი ჩაუცვამს... — ავხსენი საიდუმლო, — თქვა მოხუცმა და ამაყად შემომხედა: — ალბათ გიკვირს, ადამიანი თავის მოსაკლავად მიდიოდა და ამაზე როგორღა ფიქრობდაო. ალამისი სიკვდილზე ძლიერია.

სამშობლოსადმი ერთგულება, უანგარო მეგობრობა, დაჩაგრულის შებრალება, — ყველაფერი ეს ალამისია — ადამიანის ღირსება და სინდის-ნამუსია.

აფხაზ ბერიკაცებს ხშირად უყვართ თქმა:

ახლად დაფრთიანებულ ხოხობს ჩვენი პატარა ერი უალამისოდ რომ შეაჭიდო, ხოხობი მოერევა, მაგრამ თუ აფხაზის გულში ალამისი ცოცხლობს, ორასი კამეჩიც რომ მოუბა, ადგილიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებო.

აფხაზთა მდიდარ ხალხურ შემოქმედებას ალამისი ასულდგმულებს (დამწერლობა და ლიტერატურა აქ ხომ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა).

...ამას წინათ ვეება ჭადრების ქვეშ გაშლილ გრძელ სუფრას ვუსხედით. აჭანდარას მცხოვრებნი მოსავლის დღეობას ზეიმობდნენ. ჩვეულების მიხედვით, ყოველი სტუ-



მარი ვალდებული იყო, აფხაზთა ცხოვრებიდან რაიმე საინტერესო ამბავი მოეთხრო.

ერთი ახალგაზრდა მასწავლებლის მონაყოლი სამუდამოდ ჩამებეჭდა გულში.

დიდ სამამულო ომში ფაშისტები ცდილობდნენ მთის ბილიკებით კავკასიის შუაგულში შემომძვრალიყვნენ. რომელ სოფელსაც აიღებდნენ, ნაცარტუტად აქცევდნენ ხოლმე.

ერთხელ ფაშისტმა მზვერავებმა მთის ბილიკზე მომავალი აფხაზი გოგონა შეიპყრეს. გოგონას იალალზე მწყემსი ბაბუასათვის ხორავი მიჰქონდა. მზვერავები ავტომატებით დაადგნენ თავზე, — გადასასვლელის გზა გვასწავლე, მეგზურობა გაგვიწიეო.

გოგონამ მზვერავები მრუდე ბილიკებით მიუვალ მთებში შეიტყუა, სულ დაუკარგა გზა-კვალი. იქიდან ვერც ერთი ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა. ირგვლივ იდგა წკვარამი ღამე და სქელი ბურუსი.

განთიადისას უფსკრულს წაადგნენ. გოგონა კბოდეზე გადაეშვა. საბედნიეროდ, არ მოკვდა, რაღაც სასწაულმა გადაარჩინა.

გატანჯულ-გაწამებული, ტანსაცმელშემოფლეთილი ბავშვი მეორე დღეს საბჭოთა მებრძოლებთან მიფორთხდა და უამბო, რაც გადახდა.

მებრძოლებმა ჰკითხეს:

— ასე პატარა გოგონამ ამ ვეებერთელა საქმის გაკეთება როგორ შესძელი, რამ მოგცა ამოდენა სიმამაცე და ძალა?

გოგონამ ერთი სიტყვით უპასუხა:





— ა ლ ა მ ი ს მ ა .

ალამისი ჩემი ქვეყნის გმირული სული, ჩემი ხალხის ღირსება, სისპეტაკე და სინდის-ნამუსია. აფხაზეთი მრავალი სიკეთითაა მდიდარი, ყველაზე დიდი სიკეთე კი ალამისია.

მე მინდა, ჩემი კალამი ალამისზე შეთხზული ამბების წერაში გაცვდეს.

მე მინდა, სიცოცხლე მთლიანად ალამისის სიმღერას შევადგო, ვადიდო კაცის თავზე კაცური ქუდი და ქალის თავზე — წმინდა მანდილი.

ესაა ჩემი ყველაზე დიდი ოცნება.

ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ბევრი რამ ვნახე და უფრო მეტი მოვისმინე, მრავლად შემხვდა ხალხის მიერ შეთხზული, მოარული ზეპირი მოთხრობაც.

რაც ვავიგონე, ჩავწერე, რათა შთანთქმავლობას არ დაეკარგოს.

## ა თ ი რ ა ს ი

**ა**ს ამბავი მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოხდა. აფხაზეთს თავს დაატყდა დიდი უბედურება. დაიწყო მახაჯირობა, ხალხს ზღვის იქით მიერეკებოდნენ.

დალას მკვიდრ გლეხებს ჯერ მოტყუებით უპირებდნენ მშობლიური მიწიდან აყრას, ამით რომ ვერაფერს გახდნენ, ძალა იხმარეს, თურქეთისა და საბერძნეთის საზღვართან დაგვალულ მინდორზე დაასახლეს.

მტრებსა და ქვეყნის მოღალატეებს მხოლოდ ადამურ აძინბა არ დაემორჩილა. მან შემოიკრიბა ვაჟკაცები და გადაწყვიტა, თავისუფლებისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა. დალას კლდიან ხეობაში პატარა, მაგრამ მოხერხებული ადგილი აიჩინეს, იქ დაიდგეს ბინა და ვინც კი მათ დარბევას შეეცდებოდა, სასტიკად უმასპინძლდებოდნენ, უღმობლად ქლექდნენ და ანადგურებდნენ.

მას შემდეგ რვა წელი გავიდა.



და, აი, თავის ქვეყნიდან განდევნილ ხალხს შორეულ უდაბნოში მეზღვაური ეწვია. მას ყუთი მოჰქონდა და იძახდა:

— ჰეი, მახაჯირებო, დალადან გადმოხვეწილი ვინ ხართ, მიიღეთ ამანათ-საჩუქარი. ოჩამჩირედან გამომატანეს. ფიცით ჩამაბარეს და მეც დანაპირები ავასრულე, მოგიტანეთ, ჰა, მიიღეთ, რალას უცდით!

ცნობისწადილით ანთებული დალაელები ყუთს შემოეჯარენ.

— აფხაზეთიდან საჩუქარი გამოგვიგზავნეს? მშობლიურ დალაში განა კიდეც ვინმეს ვახსოვართ?!

— ნეტავ, რა გამოგვიგზავნეს?

— ვინ გამოგვიგზავნა, ვის მოვაგონდით?

— ჩვენს მშობლიურ დალას ასე დავშორდით და მაინც არ გვივიწყებენ?!

— აბა, დაურ, შენ გახსენი ყუთი!

ჭაბუკმა დაურიმ ყუთი სასწრაფოდ გახსნა და ირგვლივ შემოჯარულ მახაჯირებს საჩუქრები დაურიგა, თვითელს თითო... თავსაფარი.

ბევრი დაარიგა, ყუთში კიდეც ბევრი დარჩა.

ყველა დალაელი თავსაფარს უაზროდ დასჩერებოდა, განსაკუთრებით მამაკაცები დაიბნენ: ვერ მიმხვდარიყვნენ, რას ნიშნავდა ეს, ან რას მოასწავებდა.

— ეს რა ნობათ-საჩუქარია?! — გაკვირვებული ეკითხებოდნენ ერთიმეორეს.

ყველაზე მოხუცმა და ჭკვიანმა აბიჯ ბლაყბამ თავი სინანულით გაიქნია და თქვა:



— გვარცხვენენ, ნამუსზე გვაგებენ. ვინც თავის სამშობლოს მიატოვებს, უკეთესი საჩუქრის ღირსი მართლაც არ არის, ვაჟაკები გაქალაჩუნდით, დავძაბუნდით, სუსტ დიაცებს დავემსგავსეთ. სიკვდილის შიშით მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა მივატოვეთ, ჩვენი სამოთხე ღვთის ანაბარად დავაგდეთ და აქ გადმოვსახლდით, ჯოჯოხეთში. ასეთ შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს... უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს აფსნას, ჩვენს აფხაზეთს და მარად ყვავილოვან დალას, გვირჩევნია, იქ ბრძოლაში დავიხოცოთ, ვიდრე აქ მონურად ვიცხოვროთ. თავზე დასხმული ლაფი მტრების სისხლით უნდა ჩამოვირეცხოთ!

ზოგი აყვირდა:

— აფხაზეთში დავბრუნდეთ?! იქ რაღა უნდა გავაკეთოთ, რა დაგვრჩენია?! რაც კი გავაჩნდა, ფერფლად გვიქციეს და დაგვინიავეს. ახლა უკვე გვიანაა. ბედმა რაც გვარგუნა, იმას უნდა დავჯერდეთ: ეტყობა, განგებამ აქ დახოცვა მოგვისაჯა.

დაურიმ ამ დროს ყუთის ძირში ქალაღდი იპოვა, ამოიღო და მკაფიოდ წაიკითხა: „დალას მამაც შვილებს მწყალობელი სამშობლოსაგან. ადამური“.

მამაკაცებს სირცხვილის ცეცხლი მოედოთ:

„ვაი, ჩვენს შერცხვენილ ყოფას! ადამურმა ქალებს შეგვადარა, ეს თავსაფრები იმიტომ გამოგვიგზავნა“.

შუბლი შეიჭმუხნეს, თვალებში სევდის ზღვა ჩაუდგათ.

საჭირო იყო სასოწარკვეთილი ხალხის გამხნევება, მაგრამ რით?



უცებ ერთმა ჭარმაგმა კაცმა ყუთში გვიმრა იმთავითვე მელსაც აფხაზეთში ათირასს ეძახიან.

— შეხეთ, შეხეთ! ჩვენებური, აფხაზური ათირასი, დალას საყვარელ მინდვრებსა და ტყის ნაპირებში მოსული! — წამოიძახა მან, ჩაბლუჯა და მალლა ასწია. ეს გვიმრა უკვე ფოთლებშემხმარი იყო, მაგრამ სიკვდილის ფერი როდი ედო.

ხალხი მისცვივდა გვიმრას. იღებდნენ, ლოყებზე ილამუნებდნენ, ყნოსავდნენ, ჰკოცნიდნენ, გულში იხუტებდნენ და ზედ ცხარე ცრემლებს აყრიდნენ.

სულ უბრალო ბალახია გვიმრა. იგი აფხაზეთში ბევრი იზრდება. ხშირად განგებ ძირკვავენ. მკვეთრი სუნი აქვს და კაცისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ჰოდა, ამ უბრალო ბალახის დანახვამ თავის ქვეყნიდან განდევნილი ხალხი ისე გაახარა, თითქოს თვით აფხაზეთი ეხილოთ.

- აფსნას ათირასი, საყვარელი გვიმრა!
- ჩვენი ათირასი, მშობლიური, დალაური!

ბალახმა აფხაზური მიწის სურნელი მოიტანა, ხალხს სული გაუნათდა, თვალწინ წარმოუდგათ საყვარელი სამშობლო, აყვავებული დალა და გაისმა მხნედ:

- დავბრუნდეთ აფხაზეთში!
- დალას მივაშუროთ!
- დღესვე ავიყაროთ აქედან!

ეს ცეცხლი ადამიანთა გულებში თანდათან გამძლავრდა. აფორიაქდა მიძინებული სული.

ატყდა ერთი ყიყინა და მხიარული გადაძახილ-გადმოძახილი. დაკეცეს კარვები, ფუთები შეკრეს.

ხალხის ასეთი აღფრთოვანება რომ დაინახა, ბლაქემამ  
ომახიანად წამოიძახა:

— სჯობს ფიცხელ ბრძოლაში სამშობლოს მიწაზე  
დავეცეთ, ვიდრე უცხოეთში თავლაფდასხმულებმა ვია-  
როთ!

მთელმა ხალხმა დაიგუგუნა:

— წავიდეთ აფხაზეთში, მშობლიურ დალას დავუბ-  
რუნდეთ! იქ სიკვდილი გვირჩევნია აქ სიცოცხლეს! გაგვი-  
ძეხით უფროსებო!

და დაღაელი მახაჯირები ზეგავივით დაიძრნენ სამშობ-  
ლოსაკენ.



მ ა მ ა

**ტ** არკილ შააბას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა— არდაშინი. მამა სახელოვანი კაცი გახლდათ. გონიერი, კეთილი და სიმართლის მოყვარული. შვილი კი არ დაემსგავსა მას.

არდაშინს დედა მალე მოუკვდა და აღსაზრდელად ნათესავებს მიაბარეს. რიცხვმრავალი და ომში გულადი ტარკილების მოდგმა ცხოვრობდა ახლანდელი ახალი ათონის მახლობლად, მთის სოფელ ტარკილ-ახუცაში. შააბას ვაჟი სწორედ აქ დაჭაბუკდა. დედით ობოლ ბიჭს ხშირად ნახულობდა მამა, მისთვის სიცოცხლეც არ ენანებოდა. არდაშინს ნათესავებრივ ანებივრებდნენ, რასაც მოიწადინებდა. უმალვე უსრულებდნენ.

ზედმეტ აღერსსა და სიყვარულს კი, მოგეხსენებათ, ხშირად უბედურება მოსდევს.

ტარკილ შააბას სახლი ზღვის ახლო ედგა, სოფელ ფსირცხაში. ჰოდა, ერთხელ ამ სახლთან ბზიფელ ცხენო-

სანთა ჯგუფმა ჩაიარა. ისინი ქორწილიდან მოდიოდნენ, მხიარულობდნენ, იცინოდნენ და ლალად მოიმღერებდნენ.

მაყრების სიცილ-კისკისმა რატომღაც არდაშინი გააბრაზა: ეს მამიჩემის სახლ-კარის უპატივცემლობა არისო. მოხუცი ტარკილი შინ არ იყო, წინა დღით სტუმრად წავიდა სამურზაყანოში. ჭაბუკი ვერავინ დააშოშმინა. იგი შარაზე გაიჭრა და ცხენოსნებს მრისხანედ დაუყვირა: ხმა ჩაიწყვიტეთო. ბზიფელებმა მისი ყვირილი აინუნშიც არ ჩააგდეს, სიცილი და სიმღერა განაგრძეს. როგორ თუ მეურჩებიანო, არდაშინმა დამბაჩა იძრო და არც დაფიქრებულა, ისე ესროლა ბზიფელებს.

საბედნიეროდ, ტყვია მხედარს არ მოხვედრია, ცხენს გაუხვრიტა თავი. ცხენი მიწას განერთხა. მისმა პატრონმა იმარჯვა, ცხენის წაქცევამდე გადმოხტა, გაფიცებულმა იძრო დამბაჩა და არდაშინი პირველი სროლითვე ძირს დასცა.

ტარკილ არდაშინის სიკვდილის ამბავმა იმ დღესვე შემოირბინა ახლომახლო სოფლები.

ტარკილის გვარისანნი, დიდი თუ პატარა, მაშინვე ამხედრდნენ. ბზიფელებმა ცხენები დააოთხეს, რათა იქაურობას მალე გასცლოდნენ და მიმალულიყვნენ, მაგრამ უბედურებას მაინც ვერ დააღწიეს თავი, შააბას ნათესავებმა შეიპყრეს ისინი, იარაღი აპყარეს, ფსირცხაში მორეკეს, დააბორკილეს, ღრმა და ბნელ სარდაფში ჩაპყარეს, დიდი კლიტე-ბოქლოში დაადეს და დარაჯი დაუყენეს.

არდაშინის მკვლელი იყო ცვიშბა, ხოლო ეს გვარი ისე-



ვე მრავალრიცხოვანი და ძლიერი გახლდათ, როგორც და-  
ზარალებულისა.



ყველა ცვიზმამ, რომელსაც კი საჭურვლის ტარება  
შეეძლო, იარაღი აისხა და მოგვარის დასაცავ-დასახსნე-  
ლად ფსირცხაში გაფრინდა.

ორივე გვარმა საომრად მახლობელი მდინარის ჭალები  
აირჩია. მარჯვენა ნაპირზე ცვიშები დაბანაკდნენ, მარ-  
ცხენაზე — ტარკილები.

ერთმანეთის პირისპირ დამდგარებს ის-ის იყო სროლა  
უნდა დაეწყოთ და მდინარე სისხლით შეეღებათ, რომ ამ  
დროს დაბრუნდა მოკლულის მამა.

მოხუცმა შააბამ ყველაფერი დაწვრილებით გამოიკი-  
თხა. მოსმენილმა ამბავმა ფრიად დაამწუხრა, დიდხანს იჯ-  
და თავჩაქინდრული და ჩაფიქრებული, მერე თავის ეზო-  
ში მოიწვია ცვიშბას გვარიდან ათი უფროსი კაცი, ამდენი-  
ვე თავის გვარიდან და შუაში ჩადგა.

— ხელები გაუხსენით ბზიფელებს! — ბრძანა მან.

მისი სიტყვა უმალვე შეასრულეს.

მოგვარენიც და მტრებიც მოუთმენლად ელოდნენ, რას  
იტყოდა ერთადერთი შვილის დამკარგავი მამა.

იგი ცოტა ხანს ისევ ჩაფიქრდა და შემდეგ თამამად  
დაიწყო:

— ჩემმა საყვარელმა შვილმა თავი თვითონვე დაიღუ-  
პა!..

ყველამ გაკვირვებისაგან პირი დააღო.

შააბამ კი მშვიდად განაგრძო:

— ჩემი არდაშინი დიახაც რომ დამნაშავეა საკუთარი  
თავის წინაშე, მაგრამ მის სიკვდილში ჩვენც დიდი ბრალი



მიგვიძღვის, გულითადო ნათესავებო. იგი ისე გავზარდეთ, რომ ასეთი ბუნება-ხასიათის ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ცვიშები როგორ მოითმენდნენ იმ თავხედობას, რაც მას ჩაუდენია. და აი, მე დავკარგე ერთადერთი შვილი...

მოხუცი გაჩუმდა, თითქოს სათქმელი ყელში გაეხირა, ერთი ღრმად ამოიხვნეშა, შემდეგ მკვლელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჭაბუკო ცვიშა, რა გქვია?

— არდაშინი. — მიუგო მან ჩამწყდარი ხმით.

— არდაშინი?! — ჰკითხა გაოცებულმა მოხუცმა. — ბედნიერი დამთხვევაა. უნდა მეშვილო, არდაშინი!.. მყავდა შვილი და ისევ მეყოლება. თუკი ამას ისურვებ, მაშინ აღარ ვიტყვებ დალუპულ ვაყს. ოღონდაც შენ დათანხმდი და მაშენს თვითონ მოველაპარაკები...

— ობოლი ვარ! — წამოიძახა ბზიფელმა. — მამაჩემი მაშინ მოუკლავთ, როცა მე ჯერ კიდევ ძუძუს ვწოვდი. მაშა არ მახსოვს. ამიერიდან შენ მეყვარები, როგორც ღვიძლი მამა, გეფიცები სიცოცხლეს! სიყვარულით და გულითადი პატივისცემით გამოგვისყიდი ჩემს დიდ დანაშაულს შენს წინაშე!

ჭაბუკი მიუახლოვდა მოხუცს და კალთაზე ეამბორა.

ტარკილ შააბამ ხელები მაგრად შემოხვია და თვალიდან ობოლი ცრემლი მარგალიტივით გადმოუვარდა. ეს იყო ერთადერთი ცრემლი, რომელიც ბავშვობის შემდეგ დაღვარა.





## ძ მ ე ბ ი

**ი**მ დღეს დილიდან კო-  
კისპირულად წვიმდა.  
მთები ღრუბლის ნაბ-  
დებში გახვეულაყო. სამხრობისას უცებ გამოიღარა.

ასეთი წვიმის შემდეგ მთები ისე ნათლებიან და თვალს  
ისე ახლოს ეჩვენებიან, გეგონება, ორიოდ ნაბიჯი რომ  
წავდგა, ძმაკაცურად ხელს მხრებზე დავუტყაპუნებო. ჰა-  
ერი აღმასივით სუფთა და გამჭვირვალეა. ასეთი გამოდა-  
რება მთაში ნადირს ახარებს. ამ დროს კლდეებზე გამოდ-  
ებიან ჯიხვები, რათა შორს გადახედონ გაშლილ ველებს.

გამოცდილმა თუ გამოუცდელმა მონადირემ კარგად  
იცის, ასეთი დარის ხელიდან გაშვება არ ეპატიება და მი-  
დის მთაში.

ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისეთნი  
იყვნენ ძმები კიაზო და შარახი. გამოიღარა თუ არა, ძმებ-  
მა თოფები გადაიკიდეს და ჭიშკრიდან გავიდნენ.

— შვილებო, შორს არ წახვიდეთ, ნადირობამ არ გა-



გიტყუოთ, თორემ მთაში დაგილამდებათ და... — მიაძახა დედამ მონადირეებს.

მაგრამ მონადირემ განა იცის, რამდენი ხნით მიდის მთაში, სად ივლის და შინ რომელი გზით დაბრუნდება?

— დედი, შენთვის ყველაზე მსუქან ჯიხვს მოგკლავთ, გზა დაგვილოცე და მარჯვედ სროლა გვისურვე. — გამოეხმაურა უმცროსი ძმა, შარახი, და ცოტა ხნის შემდეგ შუკას მიეფარა.

— შვილებო, ღმერთმა დაგილოცოთ გზა-კვალი, ბევრი ნადირი დაგეხოცოთ! — ლოცვა გაადევნა დედამ შვილებს, მაგრამ ეს სიტყვები ძმებს აღარ გაუგონიათ.

მონადირეებმა ტყე გადაიარეს და პირდაპირ კონაჩხირის ჭიუხებისაკენ გაემართნენ. ეს მთა ამ მხარეში ყველაზე მაღალი და მიუვალია. აქ მრავლადაა ნადირი, მაგრამ ყველა როდი ბედავს კონაჩხირის ჭიუხებში სიარულს, მხოლოდ კლდეზე ფორთხვაში გაწაფული მთიელები ახერხებენ ამ კბოდე-ხრამების გადალახვას.

ძმები მთის ძირს მიადგნენ, ციცაბოებს მხარი შეაქციეს და ჯიხვის ბილიკს დაადგნენ. აღმა მიმავალი ბილიკი ხშირად წყდებოდა, იწყებოდა შიშველი ხრამები. მონადირენი ხან კლდეთა წამოშვებულ ლოდებზე ხტომით იმოკლებდნენ გზას, ხანაც იძულებულნი იყვნენ ეფორთხათ.

ძმებს წინ ხვდებოდა უფსკრულთა ფრიალო კალთები. ზოგჯერ მოსხლტებოდა ქვა და დიდხანს მირახრახებდა ქვევით, მერე სადღაც შორს ვარდებოდა, მისი მიმწყდარი ხმაური ზევით აღარც აღწევდა. ბოლოს ძმები ნამეწყდარლისაგან გაჩენილ ერთი ნაბდის გაშლა ქვიან ვაკეზე გა-

ვიდნენ. აქედან წვრილი ბილიკი ციცაბო ჭიუხის ნაპირს მიჰყვებოდა და ჯიხვთა საყვარელ ადგილს, ტყეაწვეთ-დობს უერთდებოდა.

— ბილიკი უკვალთა, — თქვა შარახმა და ტყისაკენ გაიხედა. მართლაც, ჯიხვებს ჯერ არ გამოეცლოთ.

— ასეა, — გამოეხმაურა კიაზო, — ჩვენ დავასწარით მოსვლა, მაგრამ დიდხანს არც ისინი დაიგვიანებენ.

— უეჭველია, ტყიდან გამოვლენ. — თავისთვის ჩაილაპარაკა შარახმა და კვლავ შორს გახედა ბილიკს.

წინ მაღალი ნაძვების გარდა არაფერი ჩანდა. შარახმა მზერა ბილიკის თავს გადააყოლა. იქ პატარ-პატარა ნაბრალებს შორის კლდეთა ბლაგვი ცხვირები დალანდა. შემდეგ დაბლა ჩაიხედა. შორს, ქვევით, მტრედისფერი თხელი ნისლი ფარფატებდა. ნისლის იქით მთის გიჟმაყი მდინარე კოდორი თავქუდმოგლეჯილი, გააფთრებული მიქაფქაფებდა.

ვაკე, რომელზედაც მონადირენი იდგნენ, ღრმა უფსკრულთან ეკიდა.

— შოუბა მაფი სწორედ აქ დაიღუპა, — გაიხსენა შარახმა. — ვიწრო ბილიკზე კვალდაკვალ მიჰყვა ჯიხვს, უცებ მოსწყდა კლდეს და მისი ძვლებიც ვეღარ იპოვეს.

ძმები უფსკრულს ჩააჩერდნენ. ახლად ამოვარდნილი ქარი ჩაბალახებსა და ჩოხის კალთებს აფრიალებდა.

— ჩუმად! — ყურები ცქვიტა კიაზომ.

ცოტა ხნით ქარი მიწყნარდა, ხვლიკებმაც შეწყვიტეს სრიალი და უფროსმა ძმამ ყრუ თქარათქური გაიგონა. დაწვა და ყური მიწას დაადო.

— მოდიან, მოდიან! — წაიჩურჩულა მან და შარახი ტყისაკენ გაახედა.

მონადირენი მახლობელ კლდეს ამოეფარნენ. იცდიდნენ ქვებზე გაწოლილნი და ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდათ. ქვეყნად განა დადის ისეთი მონადირე, ეს არ გამოეცადოს? ძარღვებში სისხლი დულს და გულისცემას აჩქარებს, მაგრამ გონება და ნებისყოფა აოკებენ გახელბულ გულს. ვინც მეტ სიმშვიდეს შეინარჩუნებს, ის მოიგებს, უკეთ დათოფავს ნადირს...

ჯიხვთა ჩლიქების თქარა-თქური თანდათან მოახლოვდა. მალე ხუთი ერთიმეორეზე ლამაზი ჯიხვი ვაკეზე გამობაკუნდა. თვითუელს ზურგზე თეთრი ზოლი დაუყვებოდა.

წუთით ერთმანეთს გაეთამაშნენ, რქა რქას გაუჯახუნეს, მერე მშვიდად შექუჩდნენ ვაკის ნაპირთან და ამაყად ჩახედეს უფსკრულს.

ერთი ჯიხვი ისე დადგა, თითქოს თვითონ ემიზნებოდა შარახის თოფს და ამოწმებდა, აბა, როგორი მოთმინება აქვსო. მაგრამ შარახს ძილშიც კი ახსოვდა ნადირობის ძველთაძველი, უცვლელი კანონი: პირველად თოფი უფროსს უნდა ესროლა.

მართლაც, პირველად კიაზოს თოფი გავარდა. სწორედ იმ ჯიხვს ესროლა, რომელსაც შარახი უმიზნებდა. ჯიხვი ერთი შეხტა და უფსკრულში გადაიკარგა. ამ დროს გაფრინდა შარახის გასროლილი ტყვიაც. კიაზოს თოფმა დააფრთხო ჯიხვები. ჯერ განზე გახტნენ და მერე დაფეთებულნი ტყისაკენ გაბრუნდნენ. აბა, სად ჰქონდა შარახს იმისი დრო, სამიზნე ჯიხვი ამოერჩია და ესროლა; როგორც

მოსწრო, ისე გააფრინა ტყვია. ამიტომ უმცროსი ძმის ტყვიაც უსარგებლოდ დაიხარჯა. ტყვიადაკრულმა მეორე ჯიხვამაც ხრამის წვიპზე სამიოდეჯერ გადაიკოტრილა და გადაეშვა დასაკარგავში. შარახი უფსკრულის პირთან მიცოცდა და წამით მოჰკრა თვალი, ორივე ჯიხვი კლდეთა შვერილებზე თავკისრის მტვრევით მიგორავდა. ისინი თანდათან დაპატარავდნენ და ბოლოს, კოდორში ჩაცვენილნი, სულ მიეფარნენ სათვალხილეთს.

საღამოს ნისლი ნაჭერ-ნაჭერ დაფარფატებდა კოდორის თავზე.

შარახმა დაინახა: კიაზო ლავგარდანზე გასულიყო და ჯიხვებს ტყისკენ კვალდაკვალ მისდევდა. ჯერ შუა გზაზეც არ იყვნენ, უცებ ჯიხვებმა მხარი იცვალეს, ტყე მიატოვეს, ფრილო თხემს აუყვნენ, სავალი შეიმოკლეს. კიაზოც მოხერხებულად იმოკლებდა გზას და შარახს ეგონა, ერთ ჯიხვს მაინც დაღლის და ხელთ იგდებსო. აი, იმ ჯიხვს, დანარჩენებს რომ ჩამორჩა და ახლა დაბნეული აქეთ-იქით აწყდება, ხან ერთ ციცაბო ღარტაფს გადასჭრის, ხან მეორეს, რათა მდევარს გაუსხლტეს.

შარახი თანდათან გაიტაცა კაცისა და ჯიხვის შეჯიბრმა, ამიტომ გვიან შენიშნა, სათვალხილეთი რომ ჩამობნელდა.

უცებ მოფრინდა ღამე მთაში.

— კიაზო, დაბრუნდი! — გასძახა ძმამ.

კიაზოს უკან არ მოუხედავს, კლდეებზე მიფორთხავდა კვლავ მისდევდა ჯიხვს.

— დაბრუნდი, დაბრუნდი, კიაზო! — შეეხმიანა ისევ უმცროსი ძმა. — დაბრუნდი, თორემ გვიან იქნება!

არც ახლა გასცა პასუხი კიაზომ, ღარტაფზე გადახტა და ცხვირწამოშვერილ კლდეს მიეფარა. შარახი ხმამაღლა ყვიროდა, ეგება გავაგონოო, მაგრამ მისი ძახილი ქარს მიჰქონდა, კლდეებს რომ ებრძოდა და ჭიუხებს მკერდზე თავს ახლიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, შარახმა გაიგონა ძმის ხმა:

— ოჰ, რა წყეული ჯიხვია! შაითანივით ხელიდან გამიძვრა და ნაპრალში დამემალა...

ხმა შორიდან მოდიოდა.

ბინდი თანდათან გამუქდა და შარახმა სიბნელეში ძლივს დალანდა აჩრდილივით კლდეზე მცოცავი კაცი. ნისლმა აიწია, კლდეს უცებ შემოეხვია და შემოგარენს ისეთი ფარდა ჩამოეფარა, ათი თვალიც რომ ჰქონოდა შარახს, ძმის დანახვას მაინც ვეღარ შეძლებდა.

— არ აჩქარდე, კიაზო! — გააფრთხილა უმცროსმა ძმამ. — მოიცადე, სანამ ბურუსი გაიფანტება. კლდეზე ჩამოსვლა უფრო ძნელია, ვიდრე ასვლა.

შარახი კლდეს იქით გაჰყვა, სადაც ძმა უკანასკნელად დალანდა, ზევიდან ჩამოშვავებულმა ქვა-ღორღმა შეაჩერა იგი. მიხვდა: კიაზო ხელების ცეცებით გზას ეძებდა და ფრთხილად ეშვებოდა მალლიდან. მაგრამ ქვა-ღორღის ცვენა მალე შეწყდა.

ნისლი თითქოს გაიფანტა, აქა-იქ აკიაფდნენ ვარსკვლავები, მაგრამ შარახი წელანდელივით ვერაფერს ხედავდა, გარდა მთის ბნელი ღამისა.

— კიაზო, ჰეი, კიაზო! კლდის ცხვირს თუ ხედავ, კლდის ცხვირს? — ასძახოდა შარახი და ორივე ხელით ლოდს ებლაუჭებოდა.





— ვერაფერს ვხედავ... — ჩამოგორდა ზევიდან ყრუ ხმა.

— მაშ როგორღა ჩამოხვალ?

პასუხმა დააგვიანა.

— როგორღა ჩამოხვალ, როგორღა ჩამოხვალ? — ხმას აუწვია შარახმა. ზევიდან კვლავ გაისმა უფრო ყრუ და შორეული ხმა:

— ა ა ა რ ვ ი ი ც ი!

შარახს გული შეეკუმშა, ძმის დარდი გულზე კლდის ვეება ნატეხივით დააწვა.

— თავს როგორ გრძნობ, ხომ მაგრად დგახარ? — შესძახა ძმას შეშფოთებული ხმით.

პასუხმა კვლავ დააგვიანა. შარახმა გაიფიქრა, ალბათ ჩემი ძახილი ქარმა გაიტაცაო. ფიქრი არ გაუმართლდა. სწორედ ამ დროს ისევ გაისმა კიაზოს სიტყვები:

— ჩემს ქვეშ პატარა კლდეა... ცალი ფეხითღა ვდგავარ კლდის ქიმზე.

კლდეები აყრუებდა ხმას, სიტყვები გაურკვეველად ისმოდა.

— ხელები როგორღა გაქვს, ხელები? — შეეკითხა შარახი.

— მხოლოდ ერთ ხელზე ვკიდევარ... აი, ახლა კი...

შარახს მოეჩვენა, თითქოს კიაზო ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა და უკანასკნელ ძალას იკრებდა, რომ არ მოწყვეტოდა კლდეს.

— კიაზო, დილამდე ვერ გასძლებ? ძალა არ გეყოფა? — ისე დაუძახა შარახმა, თითქოს რაღაცას ემუდარებოდა.

-- არ ვიცი... წინდაწინ ძალას ვერ მოზომავ...

— გამხნევდი, გამოიზოგე ღონე, თორემ... — შარახმა  
არ დაამთავრა სათქმელი.

— მეტი რა გზაა, — გაისმა ყრუ ხმა. — ვეცდები ძალა მოვიკრიბო... შენ ხომ გახსოვს ჩემი საყვარელი სიმღერა... მიმღერე, თუ ძმა ხარ...

შარახი უფროს ძმას მიუხვდა ყველაფერს. ახლა, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, კიაზოს სურდა მოესმინა სიმღერა სახელგანთქმულ მონადირე ოზბაკზე. ეს კაცი ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ, ბედი უღიმოდა, ბლომად ხოცავდა ნადირს. ერთხელ მან ქორბუდა ირემს გაუხვრიტა შუბლი. ირემი შუროზე დაგორდა, ოზბაკმა მოინდომა ირემის დაჭერა, წინ დაუხვდა, ხელი მოავლო რქებში, მაგრამ შურდულივით გამოქანებულმა ნადირმა დასძლია და უფსკრულში თან გადაიყოლა.

კიაზოს უნდოდა სიმღერით უფრო გამხნეებულიყო. შარახმა დაიწყო ხმამაღლა სიმღერა, ცოტა ხნის შემდეგ მას ძმაც აჰყვა.

როცა ძმები მღეროდნენ, კონაჩხირის მთას შემოუფრინა ღამის ფრინველმა. მონადირეთა სიმღერა რომ გაიგონა, წამით ცაში გაირინდა, ჩამოიხედა და დაინახა: უფსკრულის პირად, სიკვდილივით მოქაშულ კლდეს ორი კაცი მიჰკვროდა. ერთი ვიწრო ლავგარდანზე იდგა, მეორეს სლიპი ლოდისთვის მოეჭიდა ხელი და ისე ეკიდა. ორივე მღეროდა; უმცროსი შეშფოთებული სახით მაღლა იყურებოდა, უფროსი ლოყით ისე მიჰკვროდა ფიქალს, თითქოს სატროფოს ეალერსებაო. ქარი მათ ჩაბალახებდა და ჩოხის კალ-

თებს აფრიალებდა, სიმღერას იტაცებდა და შორეთში მი-  
აქროლებდა.

შარახმა ახლა სხვა სიმღერა წამოიწყო.

ისევ აპყვა კიაზო, მაგრამ უმალვე დადუმდა. შარახი მიხვდა, რომ კიაზო დაიღალა, გულმა დასვენება მოსთხოვა. ეს უკვე ცუდის მომასწავებელი იყო.

— კიაზო, მოდი, ერთი სიმღერა კიდეც ვთქვათ! — ახ-  
დახა შარახმა, მაგრამ პასუხი ვერ გაიგონა.

უმცროსი ძმა დიდხანს იდგა და ყურალესილი უსმენ-  
და. ბოლოს გაიგონა კვნესის მსგავსი მისუსტებული ხმა:

— შარახ... შარახ... ძმავ... მე თუ დამღუპა ამ ღამემ,  
კარგად მოუარე დედას... ცოდვაა... შენლა იქნები მისი  
იმედო...

— არ გატყდე, არ მოეშვა, კიაზო! — გააწყვეტინა  
სიტყვა უმცროსმა ძმამ. — მოიკრიბე მთელი ძალ-ღონე.  
განთიადამდე როგორმე უნდა გაუძლო გაჭირვებას. გან-  
თიადზე კი წნელებს მოვჭრი, დავღლეჭავ და ზევიდან ჩა-  
მოვუშვებ. მე ვიცი შენს ზემოთ ერთი კარგი ადგილი, იქ  
შეიძლება ფეხის მოკიდება. ერთად წავალთ შინ.

— ეჰ, ნეტავი შემაძლებინა და... არაქათი გამომეცა-  
ლა, თითები დამიბუჟდა, ძალა იმისთვისაც აღარ მყოფნის,  
ფეხი მოვინაცვლო...

— უნდა შეიძლო როგორმე, უნდა! აი, უკვე გამოჩნდა  
ცისკრის ვარსკვლავი, გამხნევედი, გამამაცდი, ვაჟკაცი არა  
ხარ?!

ამასობაში ღამის ფრინველმა მეორედ შემოუქროლა  
კონაჩხირის მთას. ეს ფრინველი იქ ჩნდება, სადაც სულდ-

გმულს სიკვდილი ემუქრება. თავისი ხმით აფრთხილებს განწირულს.

ლამის ფრინველმა პირველად ძმებს ნაღვლიანად რაღაც ჩამოსძახა, მაგრამ მისი ძახილი მაშინ სიმღერის ხმამ დაფარა. ახლა კი ფრინველი უკანასკნელად აფრთხილებდა, თავს მოუარეთო.

შარახს კვლავ მოესმა კიაზოს ხმა. ამჟამად ეს ხმა უკვე სიკვდილის მაუწყებელ გოდებას ჰგავდა:

— შარახ, მორჩა, გათავდა ყველაფერი! მეტი აღარ შემიძლია... ჩემი სიცოცხლე ორი თითითლა მიჭირავს...

ვის შეუძლია გაიგოს, რა მოხდა ამის გაგონებაზე შარახის გულში? ნათქვამია, სხვისი გული ჯურღმულიო.

შარახმა შეპყვირა. ეს ხმა მთაში ისე გაისმა, თითქოს ვიღაც უხილავმა ზეცაში შეიცხადაო. განა მარტო ხმა, ამ სიტყვათა აზრიც ისე მოულოდნელი იყო, იფიქრებდით, შარახი სხვა კაცად იქცაო.

— კარგად ვერ გავიგონე, — გაპყვიროდა იგი, — შენ ამბობ, ყველაფერი გათავდაო? აბა, მალე მოწყდები კლდეს? ველირსე, ველირსე, როგორც იქნა, ამ დღეს! ჰაუ, როგორ მიხარია!..

ქარი ჩადგა და კიაზომ გარკვევით გაიგონა უმცროსი ძმის ფეხის ბაკუნი: შარახი ცეკვავდა.

— მაშასადამე, ქანცგამოლეული მოსწყდები და უფსკრულში ისე ჩაიჩეხები, როგორც ოზბაკი, არა? აუჰ, რა კარგია! შენს ძვლებსაც ვედარ იპოვნიან! ბევრი ვიტანჯე, მაგრამ ბოლოს მაინც მეღირსა ბედნიერება...

შარახი სეტყვასავით აბნევედა სიტყვებს და ისე გაპყვი-

როდა, კიაზოს დიდი გასაჭირი დაადგა, ვიდრე გააგონე-  
ბლა:

საქართველოს  
გენერალური  
სამხარეთო

— ჰეი, ბიჭო, რას ბოდავ?! ხომ არ გაგიჟდი?! რა გა-  
ხარია, რა?!

— რა და, შენი დაღუპვა! ამ სიკვდილს ჩემთვის ბედ-  
ნიერება მოაქვს, რახანია ამ წუთს ველოდი, მაგრამ არ ვამ-  
ხელდი. წელან გამხნეებელი კიდეც, მეგონა, გადარჩებოდი.  
ახლა კი თვითონ ამბობ: ვიღუპები, ველარ ვუძლებო და რი-  
ლასი მეშინია, ცას ვეწიე სიხარულით, აღარ ვმალავ ჩემს  
ბედნიერებას. შენ უფსკრულში ჩაინთქმები, ხაბიბა კი მე  
დამრჩება! დიახ, ხაბიბა მე დამრჩება, მე!

— რაო?! — აღრიალდა კიაზო. — გაიმეორე, რა წა-  
მოროშე! ეგება კარგად ვერ გავიგონე...

— როგორც ვთქვი, სწორედ ისე გაიგონე. თუ გინდა,  
კიდეც გაგიმეორებ: შენი სატრფო ხაბიბა ჩემი ცოლი გახ-  
დება. შენ ჩვენს შორის ეკალივით იდექი, უფროსი ძმა იყავ  
და ჩემი უბედურება სიკვდილამდე გულით უნდა მეტარე-  
ბინა საიდუმლოდ, ახლა კი მისრულდება იმედი.

— ხმა გაკმინდე! — შეაწყვეტინა კიაზომ. — რას  
ლაყბობ, გეტყობა, შიშმა ჭკუა-გონება დაგიბნია...

ძმები ერთმანეთს დილამდე ლანძღავდნენ.

როგორც იქნა, გაიფანტა ბურუსი. ნათლად გამოჩნდა  
მთათა მწვერვალები და რუხ ჭიუხებში მიმავალი ბილი-  
კები.

უცებ უფროს ძმას ზემოდან მოესმა კაცის ხმა:

— კიაზო, დაიჭი.

კიაზომ მალლა აიხედა და შარახი დაინახა. სწორედ ის



აწვდიდა იმ ღვლეჭს, რომლის ბოლო დიდ ქვაზე იყო გა-  
მობმული.

კიაზომ ღვლეჭს ხელი გაჰკრა და შემოგარენი დახვე-  
რა, რომ გასასვლელი ეპოვა, მაგრამ გზა არსად ჩანდა.

— დაიჭი, კიაზო! — გაიმეორა შარახმა.

უფროსმა ძმამ ღვლეჭს მეორედ ჰკრა ხელი და მოიშო-  
რა. შარახმა მესამედ ჩააწოდა. მცირე ყოყმანის შემდეგ  
კიაზო ღვლეჭს მოეკიდა, სამშვიდობოზე ავიდა.

ძმები ერთმანეთის პირისპირ დაუდგნენ.

— ძმაო კიაზო, მე მგონია, სწორად გაიგე ჩემი საქცი-  
ელი, — უთხრა შარახმა, — ვიგრძენი, როგორ დასუსტდი  
და სწორედ მაშინ მომაგონდა ხაჯარათ აძინბას ნათქვამი...  
მომაგონდა და გადავწყვიტე შენი გახელება...

მაგრამ მთელ ღამეს ნაწამებმა ძმამ ვერ გაუგო ძმას.

— უსინდისო ყოფილხარ! — დაიღრიალა კიაზომ. —  
ენა დაიდუმე! შენი ხმის გაგონებაც აღარ მინდა.

— კარგი, გავჩუმდები, — მორჩილად მიუგო შარახმა.  
დაღლილი მონადირენი ბარისკენ დაეშვნენ.

კიაზო ბილიკს დაუყვბა. წინ შემოხვდა ბარიდან მთის-  
კენ ბოლქვა-ბოლქვად მომავალი ნისლი. შარახი, რო-  
გორც უმცროსს შეჰფერის, ძმას უკან მისდევდა. ერთგან  
კიაზო შეჩერდა, ქალამნები გაიხადა და წვრილი კენჭები  
გადმოყარა, რომ უფრო თავისუფლად ევლო. ამასობაში  
შარახმა სხვა ბილიკით ძმას წინ გაუსწრო. მალე მან თავი-  
სი სოფელი და მშობლიური ბუხრიდან ამომავალი კვამლი  
დაინახა. გამოჩნდა ის ბებერი ჭადარი, რომლის ქვეშაც  
ოღესლაც თამაშობდნენ ძმები.

ამომავალი მზის სხივები სახეზე მოეფინა შარახს, ესი-



ამოვნა, გაიღიმა და ძმისკენ შემობრუნდა. კიაზომ მისი მხიარული პირისახე რომ დაინახა, წუხანდელი ღამე მოაგონდა, ბოღმა ყელში მოაწვა, გულზე შავი ცეცხლი წაეკიდა, ერთი ამოიგმინა და თოფი მხრიდან გადმოიღო. როცა კვამლი გაიფანტა, ნათლად დაინახა: შარახმა მკერდზე იტაცა ხელი, წაბარბაცდა და ხრამში გადავარდა.

„ქვეყანა სიცრუითაა სავსე, — ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი კიაზო, — ხაზიბა სიკვდილამდე სიყვარულს მეფიცებოდა, და თურმე ღამაზი სიტყვებით თვალებს მიხვევდა. მეგონა ძმა მყავდა და თურმე მტერი მყოლია. კიდევ კარგი, რომ მოვიშორე. მაგრამ ხომ შეიძლება, მე უფრო ადრე მოვშორებოდი ამ ქვეყანას? ოჰ, რა გაუტანელია წუთისოფელი!“

თავისი ეზოს ჭიშკართან ისე შეჩერდა, თითქოს უცხო ადგილზე მოხვდა.

— შეილო კიაზო, მანდ რას უდგახარ, შინ რატომ არ შემოდიხარ? — გაიკვირვა დედამ.

შეცბა და შეკრთა კიაზო, მერე ფეხათრევით შელასლასდა შინ.

— სად არის შარახი, განა შენთან არ იყო? — ჰკითხა დედამ.

კიაზო ენაწართმეულივით იდგა. დედა ელდანაკრავით უყურებდა. მისი ყოველი სიტყვა ხანჯალივით ესობოდა კიაზოს დაკუპრულ გულს:

— კლდეს მოსწყდა? ხრამში გადავარდა? მითხარი, მითხარი ბარემ ჩემი უბედურების ამბავი.

— მოლალატე გამოდგა და მეც ისე გავუსწორდი, როგორც მოლალატეებს უსწორდებიან!



დედა გიჟივით გავარდა გარეთ, ერთი შეპბლავლა ცასა და დედამიწას, ჭადრის ქვეშ მუხლმა უმტყუნა, ჩაიკეცა და ხელები თმასა და ლოყებზე იტაცა. დაკაწრულ სახეზე სისხლის ნაკადულები ჩამოედინა.

მალე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. მოჭიდა პირ-მშვენიერი ხაბიბაც.

კიაზო ზუსტად მოჰყვა, რაც თავს გადახდა.

— არ ვიცი, შარახმა რატომ გითხრა ეგ, — ლოცვასავით ჩურჩულებდა ხაბიბა, — იმას კი ნათლად ვხედავ, რომ ვერ გიცვნივარ, უმწიკვლო გულისთვის შეურაცხყოფა მოგიყენებია. ამიერიდან მე შენი ცოლი არასოდეს გავხდები!

თქვა და გაშორდა.

ბედშავ დედას გულისწყრომა და რისხვა ერთდროულად დაეუფლა და გამწარებულმა შესძახა შეიღს:

— შე მოღალატე! შე ძმისმკვლელიო, შენა... გამშორდი! დღეიდან ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახონ!

დედას თვალებში ღამე ჩაუდგა, ამ ღამემ გონებაც დაუბნელა და წააქცია.

კიაზომ ხალხში ჩამდგარი მოხუცი ხაჯარათ აძინბა დაინახა. უცებ ძმის უკანასკნელი სიტყვები მოაგონდა და საკუთარ თავს შეეკითხა: ნეტავ ეს ბრძენი მოხუცი შარახმა რატომ ახსენაო?

თითქოს მისი შეკითხვა გაიგონაო, მოხუცი აძინბა წინ წამოიწია:

— საცოდავი დედა!.. დიდი უბედურება დაატყდა თავს. — მერე თავისი საყვარელი ანდაზა გაიმეორა: — დიდი უბედურებისაგან კაცს ძალა ეკარგება, ძლიერი გან-





რისხებისაგან კი უფრო ხელდება და ღონე უასკეცდებიან და დავიწყებია კიაზოს.

კიაზოს გულში შავი ცეცხლი დატრიალდა. ახლად მიხვდა, რა საშინელი საქმე ჩაიდინა. სიმართლემ თვალები აუხილა და საკუთარი თავი შეაძულა. ხალხი გაარღვია და გზაზე გიჟივით გაიჭრა. უკან არავინ გასდევნებია.

მალე კიაზო იმ ხრამთან გაჩნდა, სადაც ძმა სიცოცხლეს გამოასალმა.

ამ ხრამის ახლოს მწყემსები ცხვარს აძოვებდნენ. მათ გაიგონეს თოფის ხმა. შემდეგ რაღაც უფსკრულში ჩაგორდა. მწყემსებმა ხრამში გადაიხედეს: სადღაც შორს, ქვევით, კაცი ეგდო.

## ქ რ რ წ ი ლ ი

ფხაზმა თავადმა ალხას ჩაჩბამ მოისურვა, თავისი ვაჟიშვილი საფარა თავად კაცია დადიანის ქალიშვილ ცეცილიაზე დაექორწინებინა.

დათქმულ დღეს ჩაჩბას სასახლე სტუმრებით აივსო. ნადიმობდნენ, ილხენდნენ და უდარდელად მასლაათობდნენ. პატარძლის მოლოდინში დრო ყველას თავისებურად გაჰყავდა: ზოგი ღვინოში ახრჩობდა, ზოგი სიტყვის ფარეკაობით კლავდა და ზოგიც ჩონგურის სიმებზე აღნობდა. ქალი საღამოზე უნდა მოეყვანათ.

სიძის მაყრებად ვაჟკაცი ჯიგიტები შეარჩიეს. ამ მაყრებს თავადმა თავკაცად კეთილშობილი და დარბაისელი მან ხაზანი დაუნიშნა. ეს კაცი ყველას პატივს სცემდა და ასევე ყველასგან სათანადო პატივისცემას მოითხოვდა.

მაყრებმა ჩაჩბას ჭიშკრიდან ცხენები რომ გამოაგელვეს, თავადმა ერთხელ კიდევ მოაგონა მათ, როგორ დაექი-

რათ თავი. პატარძლის მამისთვის მათ ორასი ცხენი გაატა-  
ნა, გზა დაულოცა და გაუშვა.



დადიანს სტუმრები მოეწვია და ნადიმობდა.

სიძის მაცრები, რომელთაც წინ მაან ხაზანი მიუძღო-  
დათ, როგორც კი მიუახლოვდნენ კაცია დადიანის სასახ-  
ლეს, ცხენები ააჩქარეს, ეზოში შეჯირითდნენ, ჩამოქვეით-  
დნენ და სადარბაზო კარისაკენ გაეშურნენ.

მაცრები ფიქრობდნენ, მასპინძელი შეგვნიშნავს თუ  
არა, აივნიდან ძირს დაეშვება, დიდი ამბით მოგვეგებება  
და უმაღლვე შინ შეგვიწვევსო, კაცია კი მათ მხოლოდ ზე-  
ვიდან გადმოხედა:

— ჰეი, ჭკუააფრაკო ხაზან, პატარძლის წასაყვანად  
შენ გამოგაგზავნეს? მერედა, კართან რაღას უდგახარ,  
ამოდი, ამოდი აივანზე!

კაცია დადიანს ისე არ ეცვა, როგორც ქალიშვილის მა-  
მას შეფერის ქორწილის დღეს.

კაციას საქციელით შეურაცხყოფილმა ხაზანმა ერთა  
ნაბიჯიც არ წადგა წინ და უპასუხა:

— თავადო დადიანო, ვნანობ, რომ დრო არა მაქვს,  
დავტკბე შენი გულითადი მასპინძლობით. აქეთ გზად გა-  
მოვიარეთ და შენს კართან მხოლოდ ორიოდე წუთით შევ-  
ჩერდით. თავადმა ალხას ჩაჩბამ ასე დაგვაბარა: კაციას  
სასახლესთან ცოტა შეისვენეთ და დადიანს ჩემი სალამი  
გადაეცით, თან დიდი ხნის სიცოცხლე და მზეგრძელობა  
უსურვეთო. ჰოდა, ჩვენც მისი სიტყვა შევასრულეთ. კარ-  
გად ბრძანდებოდეთ!

ხაზანმა თანმხლებლებს თვალით რაღაც ანიშნა, ყველა  
ისევ ამხედრდა და გზისკენ გასწია. ეზო დაცარიელდა.



საქციელწამხდარ დადიანს თავგზა აებნა.

გზაზე გამოსულმა მაყრებმა ცხენები უფრო დააოთხნა და სოფელს უმაღლვე გაშორდნენ.

ხოლო კაციას ქალიშვილი — ცეცილია, ამ დროს საქორწილო კაზას დიდი სარკის წინ დააშრიალებდა, საკუთარი სილამაზით ტკბებოდა და ელოდა, საცაა მოვლენ ჩემს წასაყვანად... მაგრამ, ვაი რომ, ნატვრა გაუცუდდა.

ხაზანი მაყრებს სოფელ ლიაში შეუძღვა. იქ ყველა გლეხს დარახტული ცხენი დაუტოვა, თან უთხრა: თავადმა ალხას ჩაჩბამ საჩუქრად გამოგიგზავნათო. როცა უკანასკნელი ცხენი გაასაჩუქრა, თავად დავით დადიანის ჭიშკარს მიადგა და შეჩერდა. ეს დადიანი, მართალია, კაციასავით მდიდარი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ მისი ქალიშვილი მარიამი სილამაზით ცეცილიას სჯობდა.

ხაზანი შევიდა დავითის ეზოში და დაიძახა:

— ჰეი, დადიანო, სტუმრებს გამოეგებე! ალხას ჩაჩბამ მოციქულებად გამოგვაგზავნა: დავმოყვრდეთო. თავისი ვაჟისათვის შენი ქალიშვილი სწადია! კარგი საქმეა, ღმერთმანი!

მასპინძელი სიხარულისაგან დაიბნა.

— ეს ჩემთვის ერთობ დიდი პატივია, — მიუგო მან. — მაგრამ თქვენ მგონი შეცდით. მე როგორც ვიცი, ჩაჩბასაგან გამოგზავნილ კაცებს დღეს კაცია დადიანი ელის. დავით დადიანი აქ რა შუაშია?!

— არა, თავადო დავით დადიანო, არ შევმცდარვართ. ალხას ჩაჩბას, მის ვაჟსა და ჩვენ ყველას გვსურს მარიამი დავსვათ დედოფლად, აბა, ჰე, ჩქარა მორთე პატარძალი! გაშალე სუფრა!



... აღხას ჩაჩბამ დაინახა, მაყრებს ცეცილიას ნსკვლად  
მარიამი მოპყავთო და თვალეზი მოიფშენიტა, ხომ არ მეჩ-  
ვენებათ. როცა გაიგო, მის გაგზავნილ რჩეულ ვაჟკაც ჯი-  
გიტებს კაცია დადიანი, როგორ უპატივცემლოდ დახვდა,  
აფოფინებულმა წამოიძახა:

— ხაზან, მჯეროდა შენი და ეს ნდობა გამიმართლე  
კიდევ! კარგად მოქცეულხარ! ნამდვილი აფხაზი ხარ, ნამ-  
დვილი! ეს პატარძალი იმ საპატარძლოზე ყველაფრით  
უკეთესია. აბა, ჭიშკარი ფართოდ გააღეთ, სუფრა სუფრას  
გადააბით!

## ვინც ფურ-ირემი მოკლა

ლ

ატაშელი მონადირე ბა-  
გაშ ქერიმი მამაციც  
იყო და მარჯვეც.

ერთხელ ქერიმმა მთაში ფურ-ირემი დათოფა, უსურვავს  
ლერწი შეატრა, მით ფურ-ირემს ფეხები მაგრა შეუკრა,  
ნანადირევი ზურგზე მოიღო და ხევ-ხევ ბარისკენ დაეშვა.

წინ დიდი გზა ედო და მძიმე ტვირთმა ქერიმი დალა-  
ლა... მშობლიური სოფელი ლატა ჯერ კიდევ საკმაოდ  
შორს იყო, როცა მონადირეს ბინდი წამოეწია.

„ღამეს ამჩი თამშუგთან გაგათევ“, — გადაწყვიტა მან,  
რადგან აქ ყველაზე ახლო მისი სახლი ეგულეზოდა.

ქერიმს ნანადირევი საიმედოდ უნდა დაემალა, ამიტომ  
კარგად შეათვალღერა იქაურობა, გზის გადასწვრივ იპოვა  
ისეთი ორმო, რომელიც მგზავრის თვალთავან ბუჩქებით  
იყო დაფარული. ირემი ამ მოხერხებულ ორმოსთან მიათ-  
რია, ჩადო შიგ, ჯერ ტოტები დააყარა, მერე კი — ფართო-  
ფოთლიანი ბალახი.



საქმე მოითავა და თამშუგის ფაცხისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა.

თავისი ძველი ძმაცაცის ჭიშკარს რომ აღებდა, ქერიმს უცებ ერთმა ფიქრმა გაუელვა: საინტერესოა, თამშუგი თავს ჩემს მეგობრად ასალებს, მაგრამ ნამდვილად არის ჩემი ერთგული? არაფერი დაშავდება, რომ გამოვცადო. ჭეშმარიტი მეგობრები მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან, როცა კაცი უბედურებაში ჩავარდება...

თამშუგი ქერიმს ღიმილით შეეგება.

— უპ, როგორ გამახარე! — წამოიძახა მან. — შემოდი შინ, შემოდი! შენი სტუმრობა ყოველთვის მახარებს!

მაგრამ ქერიმი მასპინძელს შინ არ შეჰყვა, ზღურბლთან შეჩერდა და თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა:

— ეპ, ჩემო მეგობარო, დღეს სტუმრად როდი გეწვიე: უბედურება შემემთხვა. მოქიშპე კაცი შემომაკვდა და უნდა დამეხმარო.

— კაცი შემოგაკვდა?! — საშინელი სიტყვების გაგონებამ თამშუგს სახე გაუქვავა.

— ჰო, გამოვასალმე წუთისოფელს. მაგის ამბავს დაწერილებით მერე მოგიყვები, ახლა კი მომეხმარე, მკვდარი გზის მოსახვევთან აგდია. რაც შეიძლება მალე უნდა დავმარხოთ, რომ არავითარი კვალი არ დარჩეს, თორემ თუ ეჭვი აიღო ვინმემ, უსათუოდ დავიღუპები. საქმეს გათენებამდე უნდა მოვრჩეთ.

— კაცი მოკალი? — იმეორებდა შეშინებული თამშუგი.

— ჰო-მეთქი, გეუბნები!... ვერ მხედავ, მთლიანად



სისხლით ვარ გათხვრილი! აიღე ბარი და წამომყევი, ნუ-  
 ღარ აყოვნებ! ერთობ დაღლილი ვარ, თორემ შენ არა შეგა-  
 წუხებდი, წამომყევი, მომეხმარე!

— ყური დამიგდე! — შეაჩერა იგი თამაშგმა. — მე, რასაკვირველია, ამ ამბავს არავის გავუმხელ... შენი მეგობარი ვარ და შეგიძლია, მენდო... ყველაფერში დაგეხმარებოდი... მაგრამ... შენ რომ და მეც რომ... ისა...

ქერიმმა თამაშუგს ბოლომდე არც მოუსმინა, დაჰკრა ფეხი და გაშორდა.

„აი, მეგობრობაც ამას ჰქვია!“ მონადირეს მწარე ფიქრები დაეხვია.

ქერიმი აშვიუ შაადატის სახლისკენ წავიდა. შაადატი მისი ტოლი იყო. სანადიროდ ერთად დადიოდნენ და ქალეზიც კი ერთ წელს მოიყვანეს...

„ნუთუ შაადატიც ისე მოიქცევა, როგორც თამაშუგი?“ — ქერიმს ეჭვი არ ასვენებდა.

შაადატის ფაცხას გაუბედავად მიუახლოვდა. აყეფდა ძალი და მასპინძელი ეზოში გამოვიდა. ქერიმმა შაადატსაც ის უთხრა, რაც თამაშუგს, მასაც სთხოვა, უბედურება დამატყდა თავს და მიშველეო.

— ეჰ, ცუდ დღეში ჩავარდნილხარ! — თანაგრძნობით უთხრა შაადატმა. — შენმა უბედურებამ გული მატკინა, სინდისს ვფიცავარ. ვიზიარებ შენს მწუხარებას. ოღონდ ერთი ეს მითხარი, ვინ მოჰკალი, ან რატომ მოჰკალი?

— ამას გზაზე გიამბობ. დრო საშურთა, წავიდეთ ჩქარა! თუ დავიგვიანე, დავიღუპები. ჰე, თუ მომყვები, წავიდეთ ბარემ! — ეხვეწებოდა ქერიმი.





— მოიცა, რა გეჩქარება. აჩქარებითა სოფელი არაავეს მოუჭამია. ვინც გაიქცევაო, ის წაიქცევაო, ნათქვამია. მწვიდად ამბობდა შაადატი. — ჯერ ყველაფერი დაწვრილებით მომიყვი, დაფარული ეშმაკისაა, რატომ მიმაღავ? ალბათ გწადია, მაგ დანაშაულისთვის მეც ვაგო პასუხი. გეშინია, ხალხმა რომ გაიგოს ეს ამბავი, მარტო მე შემრისხავსო. ასეა, არა? რატომ სდუმხარ? განა სასჯელი შეგიმსუბუქდება, თუ მეც შენს თანამზრახველად ჩამთვლიან და მკვლელობის ხელშეწყობისთვის გამასამართლებენ?

— მოკლედ რომ ვთქვათ, დასახმარებლად არ მომყვები! ასე გაგიგე შენი ნათქვამი.

— რად გინდა შენი უბედურება მეც დამატყდეს თავს? უდანაშაულო კაცი შარში რატომ გავეხვიო!

— ღამე მწვიდობისა, შაადატი! — ტყვიასავით ესროლა ქერიმმა და კვლავ გზას დაადგა.

მონადირემ შემოიარა სოფლები კომბჩარა, ჩხალტა და რაკი ვერავინ დაითანხმა, მშობლიურ სოფელს მიაშურა. კარიდან კარად მოსიარულემ ინახულა ყველა, ვისაც კი აქამდე მეგობრად და ახლობლად თვლიდა. უყვებოდა თავისი გაჭირვების ამბავს, დახმარებას სთხოვდა, მაგრამ ყველანი უარით ისტუმრებდნენ.

შუაღამე გადასული იყო, როცა ქერიმს ერთი უცნაური ფიქრი მოუფრინდა.

— ვითომდა, რა დაშავდება, ესეც რომ ვცადო? — საკუთარ თავს შეეკითხა იგი და ისევ სოფელ კომბჩარაში დაბრუნდა. აქ ქერიმი თავისი ძმის — დახარის ფაცხას შეუმჩნევლად მიუახლოვდა.

ათი წლის წინათ ისინი ერთმანეთს სამტროდ გადაეკი-



დენე: ძმა განგებ გაურბოდა ძმასთან შეხვედრას, რომ ცუ-  
 ღი არაფერი მომხდარიყო, ცოდვა არ დატრიალებულე-  
 ამ მტრობის მიზეზი კი საკმაოდ საფუძვლიანი გახლ-  
 დათ:

პირქუშ და ჭარმაგ დახარს, რომელიც ცნობილი იყო  
 თავისი მკაცრი ხასიათით, ლატაში ყველაზე ლამაზი ქალი-  
 შვილი — ხიფა შეუყვარდა. ქორწილის დღე დანიშნეს კი-  
 დეს...

მაგრამ ხიფა თურმე ქერიმსაც უყვარდა.

ხიფამ კუშტი და ხანდაზმული, მუდამ წარბშეკრული  
 დახარის ნაცვლად საქმროდ მხიარული ჭაბუკი ქერიმი  
 აირჩია. ქორწილის დღე რომ მოახლოვდა, იგი ქერიმთან  
 ერთად მთებში გაიქცა, გადაიარეს უღელტეხილი და თავი  
 ჩერქეზეთს შეაფარეს.

მთებს იქით სამი წელიწადი იცხოვრეს და შემდეგ მშობ-  
 ლიურ მხარეს დაუბრუნდნენ, ლატაში დასახლდნენ.

ერთხელ ტყეში ძმები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ.  
 მაშინ გაბოროტებულმა დახარმა ქერიმს მრისხანედ უთხ-  
 რა:

— გულშავო კაცო, ძმის თავის მომჭრელო და საქვეყ-  
 ნოდ შემარცხვენელო, იცოდე, მე ძმის მკვლელი არ გავხ-  
 დები, მაგრამ არასოდეს, გესმის, არასოდეს აღარ დაგინა-  
 ხოს ჩემმა თვალებმა. გახსოვდეს, ამიერიდან მე ძმა აღარ  
 მყავს! გამშორდი!

ამ შეხვედრის შემდეგ შვიდი წელიწადი გავიდა, ძმები  
 ერთმანეთს აღარსად შეხვედრიან.

გარიყრაყი ახლოვდებოდა, როცა ქერიმმა დახარის ფა-  
 ცხის კარს ფრთხილად მიუკაკუნა.

— ვინ არის? — ზღურბლთან უმაღლვე დახარი გაჩნდა. იგი ყოველთვის გათენებამდე დგებოდა და ახლაც უკვე ჩაცმული იყო.

— შენა ხარ?! — შეუბღვირა მასპინძელმა.

— ჰო, მე ვარ... შენი ძმა... — შიშნარევი ხმით მიუგოს ტუმარმა.

— მე ძმა დიდი ხანია აღარ მყავს! — უმაღლვე მოუჭრა დახარმა.

— ძალიან გთხოვ... მომისმინე...

— შენი ხმის გაგონებაც არ მინდა! მომშორდი, თორემ ახლავე ქოფაკ ძაღლებს მოგისევ და შენს თავს შევაჭმევენებ! ჰეი, სოკულა, ჰეი, ლამურა! — ომახიანად გასძახა დახარმა და უმაღლვე გომურიდან ორი ვეებერთელა ძაღლი გამოვარდა. — მომშორდი, გესმის, მშვიდობიანად ჩამომეცალე, თორემ ეს ქოფაკები შენც ისევე დაგგლეჯენ, როგორც შარშან ზამთარს ცხენის ქურდი ხიზა ტატაში!

— დახარ, უბედურება დამატყდა თავს! — ამოიგმინა ქერიმმა: — კაცი შემომაკვდა.

დახარს გაეცინა და ქერიმს ღვარძლიანად მიახალა:

— ვნანობ, რომ ის მკვდარი სხვა არის და არა შენ! სადაგელო, ჩემთან იმისთვის მოხვედი, რომ მითხრა, ახლა არა მარტო ძმის მოლაღალტე, კაცის მკვლელიც ვარო, არა?

— ღამე ამისთვის კი არ მოვდიოდი, დახმარების სათხოვნელად გეწვიე... გადამარჩინე, მიშველე! — ამოიკვნესა ქერიმმა და დახარსაც ის უამბო, რასაც სხვებს უყვებოდა. დახარი დუმდა.

— ნუ გამწირავ, აიღე ბარი და წამომყევი, — ემუდა-

რებოდა იგი. — თუ არ მიშველი, უეჭველად დაგიღუპები...  
ჯერ ისევ ბნელა, მოვასწრებთ კაცის დამარხვას!



— ეჰ, შე ვიგინდარავ და კაცის მკვლელო, — ხმას და-  
უწია დახარმა, — კიდევ კარგი, რომ მამაჩვენი ადრე გარ-  
დაიცვალა, თორემ შენი სიგლახით იმასაც თავს მოსჭრიდი.  
სად აგდია ის... მოკლული?

— ტყეში, ჩახუმარას აღმართთან.

— გულბნელო, არამზადავ! — წამოიძახა დახარმა,  
სწრაფად შეტრიალდა ფაცხაში და ცოტა ხნის შემდეგ ისევ  
ქერიმთან დაბრუნდა. მხრებზე ჩაბალახი მოეხვია, ხელში  
მუჯირა ეჭირა, ჯოხი, რომელსაც ერთ ბოლოზე წვერწამა-  
ხული რკინა აქვს წამოცმული.

— წავიდეთ! შოუკიტი გავიაროთ და გზა ტყით მოვჭ-  
რათ, ასე უფრო ახლოა, თორემ საცაა გათენდება და ველარ  
მოვასწრებთ. რაღას გაჩერებულხარ, შე გულმრუდო, მომ-  
წყვი! — მრისხანედ უთხრა უფროსმა ძმამ უმცროსს, ნა-  
ლიასთან მიყუდებული რკინის ორი ბარი აიღო, ჭიშკარი  
გამოაღო და გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვნენ.

თენდებოდა, როცა ძმები იმ ორმოს მიადგნენ, სადაც  
შუბლგახვრეტილი ფურ-ირემი იყო დამალული.

ქერიმმა ფოთლები და ტოტები გვერდზე გადაყარა, ერ-  
თი ეშმაკურად ამოიხვნეშა და დახარს ნანადირევი დაანა-  
ხვა.

— დახარ, გუშინ აი, ეს მოგვკალი! — უთხრა მან ძმას,  
რომელიც ახლა ვაშტერებული იდგა და ხმას ვერ იღებ-  
და. — მე კაცი არ მომიკლავს, არა, ხელები ადამიანის სი-  
სხლში არ გამისვრია, არა! მინდოდა გამეგო, ვინ იყო ჩემი

ნამდვილი, ჭეშმარიტი მეგობარი და კაცის მკვლელობა  
იმიტომ მოვიგონე!



ამის შემდეგ ქერიმმა ძმას დაწვრილებით უამბო, რაც  
ამ გრძელ და მძიმე ღამეს თავს გადახდა.

— ახლა კი ვიცი, ჩემი ყველაზე უკეთესი მეგობარი შენ  
ყოფილხარ!

## კაკის რჩევა-ღარიგებანი

**ს** აპარ კიუტბას ღარი-  
ბულ ფაცხაში ჭრაქი  
ოდნავ ბჟუტავდა.

მიღეული ცეცხლის სუსტი ათინათი სახეზე ეცემოდა  
ახალგაზრდა ქალს, რომელიც კერასთან იჯდა დანადგლი-  
ანებული და ქმარს ელოდა.

კოკისპირულად წვიმდა. წამით გაიეღვებდა ხოლმე და  
ფაცხა განათდებოდა. მერე სადღაც მეხი დაიგრუხუნებდა.  
ამ დროს თითქოს ყველაფერი ირყეოდა. შიში და გაურკვე-  
ველი მღელვარება ქალს სულს უხუთავდა. ქმრის დარდი,  
ჭექა-ქუხილი, თვალისმომჭრელი ელვა და სიმარტოვე  
გულს უფორიაქებდა.

ქმარმა ძალიან დაიგვიანა.

შუალამე უკვე გადასული იყო, როცა ქალს ნაცნობი  
ფეხის ხმა მოესმა. წამოხტა, ურდული გასწია და ხაპარმა  
შინ მძიმედ შემოაბიჯა.

ცოლმა ჭრაქს უმაღვე აუწია და უცებ ელდა ეცა: მუ-

დამ მხიარულსა და სახენათელს ახლა მკვდრისფერი ედო,  
თვალეზს მოუსვენრად აცეცებდა, შუბლი შეეკრა.  
— სად იყავი? — ჰკითხა შეშინებულმა.

ხაპარი ღუმდა.

— სად იყავი ამ დროს?—ახლა უკვე ალერსით მიმართა ცოლმა.

თითქოს ღრმად მძინარე უცებ გამოადვიძესო, კაცმა ამოილულლულა:

— იქ ვიყავი, ტყეში...

— ტყეში? შენ მგონი ავად ხარ! — საფიქრებელში ჩავარდა ქალი.

— სრულებიტაც არა...

ცოლი კარგად დააკვირდა და შენიშნა, რომ ქმარს ჩოხაზე სისხლი ეცხო, მაჯაც სისხლში ჰქონდა გასვრილი.

— ეს რა არის, დაჭრილი ხარ?

— ხელები დამაბანინე და ტანსაცმელი გამომიცვალე. ქალმა თუნგს წამოაგლო ხელი.

— ასეთი რა შეგემთხვა, რა?

— არაფერი... ისე...—ორჭოფულად ამოღერდა ქმარმა.

— რა ღვთის რისხვამ ჩვენს თავს, აღარ მეტყვი? რა უბედურებას გადაეყარე, მითხარი, მითხარი!

ხაპარი ღუმდა.

— ცოლს არ უმხელ შენს ხვაშიადს? მე არ უნდა ვიცოდე, რა გიჭირს?

ქმარმა თავი ასწია:

— თუ არავის ეტყვი...



— ვის უნდა ვუთხრა?!..

— აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, ჩიმსა! — ხაპარმა წარბები შეიკრა. — ეს რომ ვინმემ გაიგოს, დავიღუპებით.

— რა მოხდა, თქვი ბარემ, — აჩქარებდა ცოლი, — თქვი, ნუ გეშინია, არავის გავუმხელ.

— მაშ, მომისმინე... კაცი შემომაკვდა...

— ვაი ჩვენს მოსწრებას! — იყვირა თავზარდაცემულმა. — ვინ, ვინ?

— არ ვიცი! ტყეში რომ ტაგუს ლელე-ხრამია ცხედარი იქ დაგმალე.

— დავიღუპეთ, დაგვექცა ოჯახი! — ტიროდა ცოლი, — არ ვიცი ახლა რაღა გვეშველება! რა ვქნათ, რა ვიღონოთ?

ამ საშინელმა ამბავმა ჩიმსას ქვასავით დაუმძიმა გული. დარდისაგან დათრგუნული და განადგურებული ქალი საწოლზე დაემხო.

— უბედურ დღეზე გავჩენილვართ, უბედურ დღეზე! — გოდებდა იგი. — კაცი შემოგაკვდა და არ იცი, ვინ?

— არა! — მიუგო თვალდაღრუბლულმა ხაპარმა, — თავს დამესხა ტყეში. ეტყობოდა, დადარაჯებული იყო. რა მექნა, თავი დავიცავი, კეტიტ შევებრძოლე. იქ იმ დროს ისეთი სიბნელე იდგა, ძნელი იყო რამის გარკვევით დანახვა. მოკლული ორმოში ჩავაგდე და ზედ ტოტები დავაყარე. ხვალ ღამით წავალ და ტყეში დავმარხავ. მხოლოდ იცოდე, ჩიმსა, ეს ამბავი არავინ უნდა გაიგოს, არავინ, გესმის?

— ამდენჯერ რატომ მიმეორებ? — თქვა ქალმა სასოვარკვეთილებით. — განა არ ვიცი, რომ ამის თქმა სხვას-



თან არ შეიძლება? პირზე ცხრაკლიტულს დავიდებ და ისე  
ვივლი.



გულაფორიაქებულ ცოლ-ქმარს ვახშმის ჭამა არც ვახ-  
სენებიათ, ისე დაწვინენ.

მეორე დღეს ჩიშსა უთენია წამოხტა ლოგინიდან, ტანთ-  
ჩაიცვა, მხარზე კოკა შეიდგა და წყაროსაკენ გაეშურა. იქ  
მეზობლის ქალი საიდა დახვდა, საიდას ღარისთვის ჩაფი-  
მიედგა და ავსებას ელოდა.

— როგორ გაფითრებულხარ! თავს ცუდად ხომ არ  
გრძნობ? — დანახვისთანავე მიაძახა მეზობელმა ჩიშსას.

— არა, — უმაღვე მოუჭრა სიტყვა ჩიშსამ, — კაჟივით  
ვარ.

— ცუდი შეგემთხვა რამე?...

— არა, არაფერი, ისე ვარ... კარგად...

— კარგად რომ იყო, ასეთი ფერი არ გექნებოდა. —  
უთხრა საიდამ.

— ღმერთმანი, მართალს გეუბნები. — მიუგო ჩიშსამ.  
უნდოდა, მეზობელი თავისი სიტყვის სიმართლეში დაერწ-  
მუნებინა, მაგრამ ეს სამიოდე სიტყვა ისე ნაღვლიანად  
ამოდერდა, საიდამ თანაგრძნობით შეხედა თვალებში, ასე-  
თი რა გასჭირვებიაო.

— ძვირფასო, მითხარი, რა დაგემართა?

რაკი საიდამ ასეთი ყურადღებით და თანაგრძნობით  
დაუწყო გამოკითხვა, ჩიშსას გული აუჩვილდა, ველარ და-  
მალა ხვაშიადი:

— უბედურება დამატყდა თავს, მეზობელო, უბედურე-  
ბა!

— უბედურება?! — რამდენჯერმე გაუმეორა საიდამ,

რომელიც მთელი სიცოცხლე საჭორაო ამბავს წამალივით დაეძებდა. — რა უბედურება?!

ჩემსამ ნაღვლიანად გააქნია თავი:

— არ შემძლია გამხელა!

— რატომ?

— საიდუმლოა. ჩემს გარდა არავინ არ უნდა იცოდეს.

— ეჰ, ჩემო ჩემსა, — თანაგრძნობით ჩაულაპარაკა საიდამ, — ჯერ ახალგაზრდა ხარ და ცხოვრება კარგად ვერ გაგიცვნია. აი, რას გეტყვი, ჩემო კარგო: საიდუმლო გულში არ უნდა ჩარაზო, თორემ გულს ამოგიჭამს და ავად გაგხდის. თუ არ დამიჯერებ, ჩემსავით ჩამოხმები. მეც ბევრი საიდუმლო შევინახე და აი, შემხედე, რა დღე დამაყარა. ყველაფერი იმისგან მჭირს, რომ სულელურად ვიქცეოდი, საიდუმლოს ცხრაკლიტულს ვადებდი. საიდუმლოს შენახვა ზეზეურა ახმობს ადამიანს. ხოლო თუ შენს ხვაშიადს სხვა-საც გაუზიარებ, დამძიმებული სული შეგიმსუბუქდება და გულის მღრღნელი ჭიაც მოგშორდება. პირში ნაკვერცხლების დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე გულში — საიდუმლოსი.

— განა ყოველგვარი საიდუმლოს გამჟღავნება შეიძლება? — ეწინააღმდეგებოდა ჩემსა.

— შეიძლება, ყოველგვარის შეიძლება! — სხაპასხუპით მიაყარა საიდამ, — მხოლოდ იმას კი კარგი დაკვირვება უნდა, ვის გაუმჟღავნო, ჰოდა, შენც ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, საკუთარ ქალიშვილებში არ გამოგარჩევ. ნათესავებიცა ვართ ერთმანეთის. შენი ბებია ჩემს დედამთილს ბიძაშვილის ბიძაშვილად ეკუთვნის. მაშასადამე, შეგიძლია, გულდამშვიდებით გამანდო ყველაფერი.

— თითქოს მართალს ამბობ, მაგრამ... — შეყოყმანდა ჩიშსა. — რომ ვინმეს უთხრა?

— ღმერთი იყოს მოწმე, კრინტს არავისთან დაგმარავ! ჩიშსა საიდას ისე მიუახლოვდა, გეგონებოდათ კოცნისო:

— წუხელ ჩემს ქმარს კაცი შემოაკვდა.

— კაცი? — საიდა თვალეზად იქცა. — ვინ?

— თვითონაც არ იცის. ღამე გვიან მოვიდა, ძალიან იყო დაღლილი, დაწვა თუ არა, დაეძინა. შემომფიცე კიდეც, რომ ამ ამბავს არავის გაუმხელ!

— ეჭვი გეპარება?! — ვითომ აღშფოთდა საიდა. — სეთ რამეს სხვას როგორ გავანდობ?! დამშვიდებული ბრძანდებოდე!

ასე დაშორდნენ ერთიმეორეს.

საიდა როგორც კი სამზარეულოში შევიდა და ჩაფი დადგა, მაშინვე დაჰკრა ფეხი და მიეზობელ ხიფაფთან გაფრინდა, დააფიცა, თუ არავის ეტყვი, უჩვეულო ამბავს მოგიყვებიო და საიდუმლო საიდუმლოდ ჩააბარა. ხიფაფმა, რასაკვირველია, ასევე მკაცრი დაფიცებით და გაფრთხილებით გული თავის დედამთილს გადაუშალა. ხიფაფის დედამთილს ერთი საყვარელი მეგობარი ჰყავდა, ხაჯგუაგა. ისინი ერთიმეორეს არაფერს უმაღავდნენ და არც ეს საიდუმლო დარჩენილა ცხრაკლიტულში. ხაჯგუაგამაც დაიფიცა ღმერთი და რჯული, არავის ვეტყვიო, მაგრამ...

ხაპარი ლოგინიდან გვიან წამოდგა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ცოტა ხანს ეზოში იდგა, მერე პირდაპირ გაეშურა ბობოლა ეკუბთან, ხალხი ზედმეტ სახელად „წუწურაქს“ რომ ეძახდა.

— ეკუპ, მოიღე მოწყალება, — თავი დაუკრა მან, ერთი თვით თუმანი მასესხე.

— ვითომ შეძლებ დროზე დაბრუნებას? — უნდობლად შეხედა ეკუპმა. — მოგებას რამდენს მომცემ?

კარგა ხანს ივაჭრეს და ბოლოს, როგორც იქნა, ხაპარმა მიიღო მევახშისაგან წითელი თუმნინანი.

შინ რომ დაბრუნდა, ცოლს უკვე გაეშალა სუფრა. დასხდნენ სასაუზმოდ.

შუა ჭამაში იყვნენ, როცა ეზოდან ძაღლების ხმამაღალი ლავ-ლავი მოესმათ. ხაპარმა ფაცხის კარი გამოაღო და განცვიფრებული გახევდა, ეზოში ხალხის ზღვა იდგა, და განა მარტო ეზოში, ხალხი იდგა ჭიშკრის იქით, გზა-შარა-ზეც; იდგა ცოცხალი კედელივით და ხაპარისაკენ იყურებოდა. ყველაზე წინ სოფლის თავკაცი ლაგუსტანი ასვეტილიყო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დილა მშვიდობისა! — გულთბილად მიესალმა ყველას ხაპარი, თან გაკვირვებით გახედა ხალხს, ნეტავი ასეთი რა მოხდაო.

— არა მგონია, ჩვენი მოსვლა გაგხარებოდეს! — ყველას მაგიერ უპასუხა ლაგუსტანმა, წარბები მკაცრად შეიკრა და განაგრძო: — აქ სალაყბოდ და დროის მოსაკლავად არ მოვსულვართ. პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, მოკლული კაცი სად დამალე?

— რომელი მოკლული კაცი? — წამოიძახა ხაპარმა.

— თავს ნუ იკატუნებ, მეზობელო! — გაისმა ისევ ლაგუსტანის ხმა. — ალოსთავი გველოდება, გახურებული სამუშაო დღეა, ახლა ჩვენთვის ყოველი წუთი ძვირფასია,

დროს ამაოდ ნუ გვაკარგვინებ, გამოტყდი: სად დამალე ცხედარი? ჩვენებური კაცი შემოგაკვდა თუ სხვა?

— ხალხმა ყველაფერი გაიგო უკვე, — წყნარად მამაკარამ მკაფიოდ თქვა მეორე მოხუცმა, შმაფმა, — მთელმა სოფელმა იცის, რომ შენ კაცისმკვლელი გახდი, წუხელ ადამიანის სისხლში გაისვარე ხელი და მოკლული სადღაც ტყეში დამალე.

— მხოლოდ ის არ ვიცით, ვინაა მოკლული! — დაუმატა შაჩ სანგულიამ.

— და ესეც ახლავე უნდა გვითხრა! — გადაჭრით განაცხადა სოფლის თავკაცმა. — აბა, ხაპარ, გაგვიძეხი წინ, გვაჩვენე ის საშინელი ადგილი!

ხაპარმა მხრები აიჩეჩა.

— მართლა ყველაფერი გაგიგიათ. — შუბლი შეიკრა მან, — რა გაეწყობა, წავიდეთ, გიჩვენებთ იმ ადგილს, — მერე ცოლს მიუბრუნდა: — წამომყევი, ჩიმსა, შენთვისაც კარგი იქნება, თუ იმ ტყეს ნახავ.

ხაპარ კიუტბა წინ გაუძღვა ხალხის ზღვას.

სოფელს რომ გასცდნენ, ყველამ დაინახა, მათკენ თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა ეკუბი. იგი ძლივსღა ითქვამდა სულს, საკუთარი ღიბის თრევას არაქათი გამოეცალა მისთვის; მაგრამ ხაპართან მაინც მიქოშინდა და დამუშტული კოტიტა ხელები მუქარის ნიშნად ჰაერში დაატრიალა.

— არამზადავ! — აჯიჯღინდა იგი. — გეგონა, რამეს გამომაპარებდი? გავიგე, გავიგე შენი ვაჟკაცობის ამბავი! კაცი მოკალი, ხომ? მოკალი, ხომ? ჰოდა, ხვალვე გასანთლულ თოკზე ჩამოგკიდებენ. გინდოდა მოგეტყუებინე და



ჩემი ვალი საიქიოში წაგელო? გავიგე, გავიგე ყველაფერი!  
ვერ გამექცევი, ვერა! მოიტა ჩქარა ჩემი ფული! შენ გინ-  
დოდა ჩემი გაკოტრება? ვერ მოგართევს, ვერა!

ხაპარმა უღვაშებში ჩაიციანა, შეჩერდა, ჯიბიდან თუმ-  
ნიანი ამოიღო და გადაუგდო:

— გამომართვი, გამომართვი ჩქარა, არავინ მოგტაცოს!  
კიდევ კარგი, დროზე დამეწიე, თორემ ჩემი მოკვლა რომ  
მოესწროთ, ამოდენა სიმდიდრე დაგეკარგებოდა!

ხალხი გაკვირვებული მიაჩერდა ერთსაც და მეორესაც.  
გზა განაგრძეს.

ტყე გადაიარეს და წაადგნენ ხრამს. სოფლის თავკაც-  
თან ერთად ხაპარი მიუახლოვდა ორმოს და ზედ დაფარე-  
ბული ბორჯღლიანი ტოტები გვერდზე გადაყარა.

ორმოში წინადლით მოკლული ჯიხვი ეგდო.

ხაპარმა თავი ამაყად ასწია და უღვაშებში ჩაიციანა.

— მაპატიეთ, მეზობლებო, — მიმართა მან ყველას, —  
მაპატიეთ, ამ გახურებულ ალოსთავზე რომ მოგაცდინეთ.  
მე არავინ მომიკლავს და არც ოდესმე მიფიქრია ვინმეს მო-  
კვლა. მხოლოდ, აი, ეს ჯიხვი გამოვასალმე სიცოცხლეს.

— ხაპარ, დაგვცინი კიდევ? — გაბრაზდა ლაგუსტანი.

— სრულებითაც არა! — უფრო ამაყად თქვა ხაპარმა. —  
მთელი ამ ორომტრიალის ავან-ჩაგანი ის არის, რომ მე  
ცხოვნებული პაპაჩემის რჩევა-დარიგებათა შემოწმება მე-  
წადა. დიდი ხნის წინათ მითხრა, შვილო, ერთი რამ სამუ-  
დამოდ დაიწერე გულზე: ყველაფერს სხვას ნუ მიაბარებ  
შესანახად, თუნდაც ეს სხვა შენი ახლობელი ადამიანი  
იყოსო. ზოგი რამ მხოლოდ შენ უნდა შეინახო გულში ან

სკივრში. ვთქვათ, გინდა ვილაცხას რაიმე ძვირფასი ანდო, ჯერ შეამოწმე იგი, გამოსცადე, შეუძლია თუ არა საიდუმლოდ შენახვა და მერე მიაბარეო. ისიც მითხრა, ძუნწი კაცი საგან ფულს ნუ ისესხებო. როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ცოლი კარგა ხანია ჩემს ღარიბულ ფაცხაში ბედნიერად ცხოვრობს. დასამალი არაფერია, შევებმატკბილეთ ერთიმეორეს. და აი, უცებ მომესურვა პაპის რჩევა-დარიგებათა შემოწმება. წინა ღამეს, ჭექა-ქუხილში ამ ჯიხვს გადავეყარე და მოვკალი. შინ კი ვთქვი, კაცი შემომაკვდა-მეთქი, ცოლმა შემომფიცა, ამ საიდუმლოს შევინახავ გულის ცხრაკლიტულშიო. დილით ცნობილ წუწურაქ ეკუბთან მივედი და სესხად თუმანი გამოვართვი.

შემდეგ რაც მოხდა, თქვენც კარგად დაინახეთ. როცა ბობოლამ ჩემი „გაუბედურების“ ამბავი გაიგო, ამ ქვეყანაზე ყველაფერი დაივიწყა, მომვარდა და სესხი წამართვა, არც ცოლის ენამ მიქნა კარგი საქმე. აი, როგორია ცხოვრება. მაპატიეთ, მეზობლებო! მე მხოლოდ პაპის სიტყვათა სიმართლე შევამოწმე.

— გასაგებია! — დაასკვნა მრავალ წელთა მომსწრე. ბევრის მნახველმა და ბევრის გამგონე ბრძენმა მოხუცმა ლაგუსტანმა. — ყველაზე კარგად საიდუმლოს შენახვა იმას შეუძლია, ვინც საიდუმლო არ იცის.

## ს ა კ ა ტ ა რ ძ ლ ი

**მ** ოხუცი ქობლუხის შვილიშვილს, ადამურს, მეზობელ სოფლელი ქალიშვილი შეუყვარდა. ერთხელ ქალიშვილი შორიდან ქობლუხსაც დაანახვეს.

— ხომ ღამაზია? — ჰკითხეს.

— ნამდვილი მზეთუნახავია, — მიუგო მოხუცმა, — მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ზოგჯერ ღამაზები ქარაფშუტები არიან.

ჰოდა, გადაწყვიტა ქობლუხმა, საპატარძლოს შინ მოვინახულებ, გავებაასები და გავიგებ, რა ჭკუის პატრონიაო. გაიხსენა ხალხის ნათქვამი: ქალია ოჯახის ამშენებელიც და დამქცევიცო. პატარძლის ენა შესაძლოა იქცეს იმ უხილავ კიბედ, რომლითაც ოჯახში უბედურება შევაო.





გამონახა პატარა მიზეზი, სრულიად უმნიშვნელო, თქმადაც არ ღირს, და საპატარძლოს მამას ეწვია.

ქალიშვილი ახლა უფრო სათნო და ლამაზი ეჩვენა.

— აქეთ რომ მოვდიოდი, — დაიწყო სტუმარმა, — ორი კაცი წამომეწია და ამემგზავრა. მეუცნაურა მათი საუბარი. ერთმა ჰკითხა მეორეს: როგორ ატყობ, ეს თოვლი მთაზე დიდი ხანია დევსო?

— ორმოციოდე წელიწადი იქნებაო, — მიუგო თანამგზავრმა.

— ეს წყარო დიდი ხანია წვეთავსო?

— ათიოდე წელიწადი იქნებაო.

— დასტურ უცნაური საუბარი გაუბამთ, — თქვა მასპინძელმა.

— ყველაფერი ნათლად და გარკვევით უთქვამთ, — მორიდებით ჩაერია მოხუცთა საუბარში დამორცხვებული ქალიშვილი. — თუ ნებას დამრთავ, მამა, ქარაგმას მე ავხსნი.

— გვითხარი, შვილო, გვითხარი! — გაეხარდა ქობლუხს.

— ჰო, გვითხარი, გვითხარი, ჩემო გოგონავ! — მასპინძელმა სტუმარს კვერი დაუკრა.

— ჩვენს ძვირფას სტუმარზე უსაუბრიათ, — წყნარად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა. — პირველ მგზავრს იმის გაგება მოუნდომებია, მოხუცს ჭალარა როდის გამოეურია და თვალი რა ხანია უცრემლდებო.

— ჭეშმარიტად, გეთაყვა, ჭეშმარიტად! — წამოიძახა პირგანათებულმა ქობლუხმა. — თავი ვიმტვრიე და ახლალა მივხვდი, რას ამბობდნენ.



საპატარძლოს მამამ კმაყოფილებით გაიღიმა, კრინტი არ დაუძრავს.

აფხაზი კაცი ხალხში თავისი შვილის ქებასა და აღერსს ერიდება.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა შუბლი შეიკრა და ამოიხვნეშა:

— ეპ! ჩემს მეზობლებს მოულოდნელი უბედურება დაატყდათ თავს, მშველელი კი არავინ გამოუჩნდათ. წყეულმა თავადმა ჯამლეთმა ჭაბუკი წაართვა და გაყიდვას უპირებს. იცით, რატომ? დაიბარა ჭაბუკი, უშველებელი ლოდი აჩვენა და უთხრა: სამი დღის ვადას გაძლევ, ლოდი ცხვრად აქციე, მომიხარშე და მომიტანეო. ორი დღე-ღამე ჭაბუკის მშობლებს თვალზე რული არ მოჰკიდებიათ, დარდობენ, თავს იმტვრევენ, ვერაფერი მოუფიქრებიათ. აი, ერთი დღე-ღა დარჩათ და...

— აქ თავსამტვრევი რა არის?! — გაიკვირვა ქალიშვილმა. — ის ლოდი ბატონის ეზოში შეაგოროს და უთხრას შარიან კაცს: ეს ცხვარი თქვენს ყასაბს დააკვლევინეთ, გაატყავებინეთ და მერე მე წუთში მოვხარშავ-თქო.

— ჭკვიანი საპატარძლო მყოლიაო, — გულში გაიგლო ქობლუხმა.

ახლა გადაწყვიტა, საპატარძლოს მოთმინება, სულგრძელობა, სიმტკიცე გამოეცადა და მასპინძელს უთხრა:

— მთაში რომ ერთი ძველი მეგობარი გყავს, დიდი ხანია არ მინახავს, წავიდეთ, ვესტუმროთ და გავახაროთ.

მასპინძელი უარს ხომ არ ეტყოდა?

მალე სამივენი მთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

გაიარეს მინდორი, გადაიარეს ღელე. როცა მიადგნენ, ქობლუხმა ჩაილაპარაკა:

— ამ ტყეში ერთი მეგობარი მეგულება.

ქალიშვილი ტყეში შევიდა და მოხუცს ლამაზი ჯოხი გამოუტანა.

— ამ მეგობარს ეძებ?

— დიახ, მაგას, — მიუგო ქობლუხმა, ჯოხი ჩამოართვა და მიწას იმედიანად დაარტყა.

ტყე გაიარეს და ციცაბო აღმართს შეუდგნენ.

ქალის მამა აბუზღუნდა:

— ამ ფრიალოს რა აივლის, წინ კიდევ შორი გზა გვიძევს.

ქალიშვილმა დაამშვიდა:

— ნუ გეშინიათ, ამ გრძელ გზას ისე მოგათოკინებთ, ვერც გაიგებთ.

ისეთი მიმზიდველი ამბის თხრობა დაიწყო, სტუმარიც და მასპინძელიც პირდაღებული უსმენდნენ.

აღმართი ისე აიარეს, ერთი არ შეუსვენებიათ. მთაზე რომ შედგნენ და ქვეყნიერებას მაღლიდან გადმოხედეს, მაშინლა მიხვდნენ, რა ჩქარა უვლიათ. დაღლა კი არც ერთს არ შესტყობია.

ამ ამბავმა მოხუცი საბოლოოდ დაარწმუნა: ჩემი სარძლო ლამაზიც არის, ჭკვიანიც და ჯან-ლონითაც სავსეაო. ასეთი ქალი ოჯახში უბედურებას არ შეუშვებს, ჩემი ადამური მარად ბედნიერი იქნებაო.

მოხუცმა ცას გაუღიმა.

## თინათი და ალმასხანი

**ს**ხვა სხვის ომში ბრძე-  
ნიაო,—თქვა ტაიბ შარ-  
მათმა და მოგვიყვა: —

ლიხნელი ტახტის აზნაური მაზნ კამლატი ოთხმოცი წლი-  
სა იყო, როცა ქალიშვილი შეეძინა. ამ ქალიშვილის სილა-  
მაზეს მარტო აფხაზეთში კი არა, ქედს გადაღმა ჩერ-  
ქეზეთშიც უმღეროდნენ და უთხზავდნენ ლექსებს, მაგრამ  
რაოდენ ბედნიერიც არ უნდა იყოს ადამიანი, ჟამთა სვლას  
წინ მაინც ვერ აღუდგება.

სწრაფად გაირბინა ოცმა წელმა...

ვერ ძღებოდა ქალიშვილის ცქერით ასი წლის მამა...  
აღსასრულის მოახლოვებას გრძნობდა და გადაწყვიტა,  
თავის სიცოცხლეშივე ამოერჩია თინათისათვის ღირსეუ-  
ლი მეუღლე.

და აი, მაზნ კამლატმა განაცხადა, ჩემს ერთადერთ საყ-  
ვარელ ქალიშვილს, მზეთუნახავ თინათის ცოლად იმას გა-



ვაყოლებ, ვინც ტრადიციული საზეიმო დოღის დღეს ლიხნა-  
 აშტეში ყველაზე უკეთეს მსროლელად, მოცეკვავედ და მო-  
 ჯირითედ იქნება აღიარებული. ამ სამ აუცილებელ პი-  
 რობას მაზნ კამლატმა მეოთხეც მიუმატა: ეს ჭაბუკი თინა-  
 თისაც უნდა მოეწონოსო. მოხუცს ეჭვიც არ ეპარებოდა,  
 რომ ასეთი ღირსეული ადამიანი, რა თქმა უნდა, თავადი ან  
 აზნაური მაინც იქნებოდა. მაზნ კამლატს შეეძლო გულდა-  
 მშვიდებით გასცლოდა წუთისოფელს, რაკი საყვარელ ქა-  
 ლიშვილს მჯობთა მჯობ საქმროს ამოურჩევდა და, რაც  
 მთავარია, თვით თინათისაც ეყვარებოდა ეს რჩეული ყმაწ-  
 ვილი.

ლიხნელი თავადი ჩაჩბა პატივს სცემდა კამლატს, ამი-  
 ტომ მან ერთი თვით ადრე გამოაცხადა მთელ აფხაზეთში  
 მზეთუნახავი თინათის მამის სურვილი.

ყოველწლიურად ამ ტრადიციულ ჯარიანობაზე აუ-  
 არებელი ხალხი იყრიდა თავს, ამჯერად კი იმდენი ხალხი  
 შეიკრიბა, რომ ლიხნა-აშტეს ვეებერთელა მინდორზე შე-  
 ჯიბრის მონაწილეებიც კი ველარ ეტეოდნენ. ისინი სიმარ-  
 ჯვეში, ღონესა და სიმამაცეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს  
 და კიდევ... სილამაზეში!

ლიხნა-აშტეში ხეებს იმდენი ფოთოლი არ ესხა, რამდე-  
 ნიც ამ დღეს მაყურებელი შესკუპებულიყო, რათა უკეთ  
 ეყურებინათ ასპარეზობისათვის.

მზეთვალა თინათი თავად ჩაჩბას სასახლის აივანზე იჯ-  
 და მამის გვერდით, მეორე გვერდზე თავადი საფარ ჩაჩბა  
 ეჯდა. თინათი შიშით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრ-  
 დებს. მისი ყურადღება ჯერ არავიზე არ შეჩერებულიყო.  
 და აი, უცებ შეპყრობილი ჩიტივით შეუფართხალდა გული,

თვალეები აუციმციმდა, წამოიწია... თუ მართალია, რომ შეყვარება ერთის ნახვით შეიძლება, მაშ, თინათისაც შეუყვარდა. აივანთან ფერმკრთალი, ტანადი ჭაბუკი იდგას. ჭადრის დახრილ ტოტზე დაყრდნობილი ესაუბრებოდა მეგობრებს. თვალი თინათისათვის მიეპყრო. ქალმა დაირცხვინა, ნეტავი დიდი ხანია მიყურებსო? ჭაბუკი მეტად ლამაზი, მოხდენილი, ტანადი ვაჟკაცი იყო და თინათიმ თვალი ვერ მოსწყვიტა, აი, სხვები წავიდ-წამოვიდნენ, ჭაბუკი მარტო დარჩა, თინათის თვალს ვერ აშორებდა.

აივანზე საპატიო ადამიანები ისხდნენ. ხალხმა შეჯიბრის განსჯა მათ მიანდო. თინათის ბედიც ამ ადამიანებზე იყო დამოკიდებული.

დაიწყო შეჯიბრი. თინათი მხოლოდ ფერმკრთალ ჭაბუკზე ფიქრობდა. ვინ არის? სადაურია? თავის სიცოცხლეში ჯერ არ უნახავს თინათის ასეთი მშვენიერი ჭაბუკი! ნეტავ რა პქვია?

თითქოს მის კითხვას უპასუხაო, ერთმა მეგობართანმა ყმაწვილკაცს გასძახა:

— აღმასხან, რას გაჩერებულხარ მარტო? შენ გელოდებით.

ჭაბუკი შეკრთა, გონს მოეგო, ყაბახისაკენ გაემართა და ადგილი დაიკავა. გასროლის წინ მოტრიალდა და, თითქოს უნებლიეთ, თინათისაკენ გაიხედა. ამით ანიშნა, რომ ამ სროლას მას უძღვნიდა. აღმასხანმა დაუმიზნა ნიშანს. თინათის მღელვარებისაგან სუნთქვა შეუჩერდა.

აღმასხანის ტყვია ნიშანს შუაგულში მოხვდა.

თინათიმ შვებით ამოისუნთქა. თავადმა საფარმა ახალგაზრდა თავისთან მიიხმო.



— რა გქვია, ყმაწვილო? — ჰკითხა თავადმა.

— ალმასხანი, ბატონო თავადო საფარ!

— ვისი შვილი ხარ? სადაური ხარ?

— ჩიჩინ კოლბაიას შვილი გახლავართ, სოფელ აბ-  
გრხიკულან.

— მომიტანეთ ჩემი დამბაჩა! — ბრძანა თავადმა. დამ-  
ბაჩა ახალგაზრდას გაუწოდა. — აიღე, ალმასხანი! ეს ჩემ-  
გან ჯილდოდ, ჩინებული სროლისათვის.

ახალგაზრდამ მადლობა გადაუხადა თავადს, დამბაჩა  
გამოართვა და გაბრუნდა.

შეჯიბრი გრძელდებოდა.

ცეკვაშიც ყველა მეტოქეს აჯობა ალმასხანმა. მასზე  
უკეთესად ვერავინ იცეკვა თავბრუდამხვევი მგზნებარე  
ცერული. ის ხან სხარტად მიიწევდა წინ, ცეცხლითა და  
მგზნებარებით აღსავსე, ხან მოხდენილად, ნარნარად  
მიქროდა ცერებზე. ხან კი ერთ ადგილზე გაქვავდებოდა. ეს  
ცეკვა—დაჭრილი ფურ-ირმის ცეკვა, ყველამ კარგად იცო-  
და, მაგრამ ალმასხანმა რაღაც ახალი, თავისებური ჩაურ-  
თო ამ ცეკვაში და ყველა აღაფრთოვანა.

თავადმა საფარმა ბრძანა მისი ახალთახალი, ჯერ ჩა-  
უცემელი მესტები — აჩბირ-ეიმაა მოეტანათ.

— აჰა, ესეც შენ! — უთხრა ალმასხანს, — ამით უკეთ  
იცეკვებ.

თინათის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, აი  
ძოულოდნელად წამოვიდნენ შავი ღრუბლები და მზე და-  
აბნელეს.

თავად-აზნაურები უკმაყოფილონი რაღაცას ჩასჩურ-

ჩულებდნენ საფარს. თავადიც დაფიქრდა და ბრძანა, რომ ალმასხანი ჯირითზე არ დაეშვათ.

— ალმასხან კოლბაია უბრალო გლეხია, — უთხრა ვადმა მსაჯებს, — მას ტახტის აზნაურ მაზნ კამლატის ქალიშვილს ვერ მივათხოვებთ.

დიდხანს ჯირითობდნენ წარჩინებული გვარის შვილები თავადის სასახლის აივნის წინ. თინათი არ უყურებდა მათ. იგი დაღონებული გაშორდა ხალხს. მაზნ კამლატმა რომ შენიშნა თინათი იქ არ იყო, მის საძებნელად გაემართა. მამამ ატირებული ნახა თავისი ასული. მიხვდა, რაც ატირებდა, დაბრუნდა თავად საფართან და უთხრა:

— თავადო, დართე ჯირითის ნება იმ ალმასხან კოლბაიასაც. რა თქმა უნდა, უბრალო გლეხს შე ქალიშვილს არ მივათხოვებ, მაგრამ მაინც გვიჩვენოს თავის ხელოვნება ჯირითში.

თავადმა შეასრულა მოხუცი მაზნ კამლატის თხოვნა. თინათიმ, ეს რომ გაიგო, კვლავ აივანზე გამოვიდა.

სახელგანთქმული რჩეული მოჯირითეები ბზიფიდან, აბჟვზადან, სამურზაყანოდან შურიტა და აღტაცებით შეპყურებდნენ მოჯირითე ალმასხან კოლბაიას. თინათის გული სიხარულით აევსო.

და აი, ისევ ალმასხანმა დაიკავა პირველი ადგილი. ის საუკეთესო მოჯირითედ იქნა აღიარებული. ჩაჩბა იძულებული გახდა ალმასხანისათვის ეჩუქებინა ოქროსფაფარიანი ცხენი.

— ტყუილუბრალოდ გაიბი თავი ამ შარში, — უთხრა კამლატს თავადმა საფარმა.



— ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანაა — უპასუხა მოხუცმა  
კამლატმა.

— სად გაგონილა, აზნაურის ქალი ვილაც გლეხს ათხოვონ, — ცხარობდნენ თავადები და აზნაურები!

ყველაზე მეტად კამლატის ბიძაშვილი, მაზნ ოზმაკი ან-  
ჩხლობდა:

— მაზნების ცისფერი სისხლი არასოდეს წაუბილწავს  
გლეხის შავ სისხლს! — შესძახა ბრაზმორეულმა თინათის  
მამას.

დიდი ხანია მაზნ კამლატი ამ ქვეყანაზე ცხოვრობს.  
ბევრი უნახავს უიღბლო ქორწინებანი, უწყალოდ გაუბე-  
დურებული ადამიანები. და აი ჩაუფიქრდა ქალიშვილის  
ბედს. მიხვდა, რომ თინათის შეუყვარდა ეს ჭაბუკი და ვე-  
ლარავისთან იქნებოდა ბედნიერი, მაგრამ, ვაი, რომ ის  
გლეხი იყო!

როცა საფარმა ჰკითხა მაზნ კამლატს, ვინ დავასახე-  
ლოთ თინათის საქმროდო, მოხუცმა ერთხანს იცოცმანა,  
ხოლო შემდეგ მტკიცედ უპასუხა, ჩემს ქალიშვილს მხო-  
ლოდ აბგრხიკუელ ჩიჩინ კოლბაიას ვაქს აღმასხანს მივა-  
თხოვებო.

აყაყანდნენ თავადის მახლობლები. აღშფოთდნენ გვა-  
როვანი მაზნები ოზმაკის მეთაურობით.

ზეიმი დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ხალხი არ მი-  
დიოდა ლიხნ-აშტედან.

ჯერ კიდევ მწუხრისას მოეფინა ცას შავი ღრუბლები  
და უკუნი ღამე ჩამოწვა.

ვინ არ იცნობს სამხრეთის მრუმე ღამეებს! სწორედ  
ასეთ ღამეზე ამბობენ, თვალთან თითს ვერ მიიტანო. აი,



ასეთ ბნელ ღამეს მიიპარა აღმასხანი თავადის აივანთან  
 იქ თინათი ელოდებოდა, შემოისვა ქალიშვილი ცხენზე და  
 მოქუსლა.

მთელი სასახლე შეაწუხა თინათის გატაცების ამბავმა.  
 მდევარი გამოუყენეს. მხოლოდ მოხუცი კამლატი იყო  
 მშვიდად. ის ამაცობდა თავისი ქალიშვილის გადაწყვეტი-  
 ლებით.

შეყვარებულთ ვერ დაეწივნენ.

აფხაზეთში დღესაც მღერიან აფხიარცაზე მზეთუნახავ  
 თინათისა და გლეხის ბიჭის აღმასხანის სიყვარულზე.

## ბ უ მ ბ ლ ი

ა რა, მათ ოჯახში აღარ მიმესვლება, — გულში ასჯერ იმეორებდა ხიბ შოუდიდი. მეორე გული კი ისევ ჟინით უქადაგებდა: წახვალ, უსათუოდ წახვალ. რა ღონე გაქვს, მიმზიდველი და კეკლუცია მზეთუნახავი შაზინა.

ორი გრძნობა იბრძოდა შოუდიდის გულში, ორივე შიგნეულს სწვავდა და უთუთქავდა. პირველი იყო შაზინასადმი თავდაუჭერელი ვნება, მეორე, — მისი ქმრისადმი მოვალეობის უშრეტი ცეცხლი.

როგორი ნდობით ეპყრობოდა მანჩა მას, მომხიბლავი შაზინა კი მოსვენებას არ აძლევდა ხიბ შოუდიდს. გიზგიზადად იფეთქა შაზინასადმი ვნებამ და თავის თავზე ძალაუფლება დაჰკარგა ადამიანმა.

უკვე გვიან იყო, როცა შოუდიდი თავის სახლს მიუახლოვდა, ყველას ეძინა. სანთელი არც კი აანთო, რომ არა-



ვის გაეგო მისი დაბრუნება, და ტანზე ჩუმად და სწრაფად გაიხადა. იგი ხმაამოუღებლად ჩაწვა ლოგინში. ძილი არ მიეკარა. შაზინას სახე თვალის უბეზე უჯდა და არ ასვენებდა. გაიტანჯა კაცი. დახუჭავდა თუ არა თვალს, ისევ გამოეცხადებოდა. ქარიშხალი ტრიალებდა მის გულში, ჩაუქრობელი და ქვეყნის ამრევი ქარიშხალი.

— რა ვქნა, რა ვიღონო? — ეკითხებოდა თავის თავს და მწუხარე და ამაფორიაქებელი ფიქრები გულს უღრღნიდნენ. იგი ფიქრობდა, სწყვეტდა, ისევ ფიქრობდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს. გათენებისას, როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღო და ღრმად ჩაეძინა.

დიდხანს ახლოს არ გაჰკარებია მანჩას სახლს შოუდიდი. გაკვირვებული იყო ცოლ-ქმარი. წინათ ათას რამეს მოიმიზეზებდა და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მათ. ახლა კი გაუჩინარდა კაცი.

ერთ დღეს შოუდიდიმ მხარზე თოფი გადაიკიდა და მანჩას კარი შეაღო. ერთმანეთი მოიკითხეს თუ არა, შოუდიდმა თქვა:

— ჩაგვიამელმა მწყემსმა მითხრა, ბაგადას კლდის ფლატეში დიდი დათვი დაბუნაგებულა, თურმე კამეჩის ტოლია, ჰოდა, გადავწყვიტე, სანადიროდ წავიდე, არ წამოხვალ?

— რატომაც არ წამოვალ, სიამოვნებით წავინადირებ, — უპასუხა მანჩამ. — კამეჩის ტოლიაო, ასე თქვი, ხომ?! კარგი, წამოვალ, დიდი ხანია მსურდა ჩემი ძალა მესინჯა შენთან, ჩემო მეგობარო! — წამოიძახა მან და მხიარული სახით მიუბრუნდა ცოლს, — შაზინა! თუ მართ-



ლაც დათვი შეგვეყარა, ყოველ დილით დათვის ტყავსუ დადგამ შიშველ ფეხს. ოთახს მთლად მოაფარდაგებს.

— მართლა?! — სიხარულით გაიღიმა შაზინამ და მერე შეშინებულმა დაუმატა: — ვაიმე, დათვმა რომ დაგკენწლოს, რაღა მეშველება?

ქალი შემკრთალი თვალებით შეაჩერდა ქმარს.

— ერთი შენც, ტყუილად გულს ნუ იხეთქ. მშვენივრად ვიცი, ბაგადას მისასვლელი და იქვე უფსკრულზე გადებული ხიდი, ძალიან კარგი სანადირო ადგილია, — დაანშვიდა ცოლი მანჩამ. ქალი მაინც შიშნაკრავი თვალებით უყურებდა ქმარს.

— აბა, მალე გამამგზავრე. ორი დღის საგზალი დაგვჭირდება ალბათ, — მიუბრუნდა იგი შოუდიდს.

— დიახ, ვფიქრობ, დღეს და ხვალ იქ დავრჩებით. — დაუდასტურა შოუდიდმა.

შაზინამ არ ღააყოვნა, ყველაფერი გაუმზადა მონადირეებს და თან ჭიშკრამდე მიაცილა. გამომშვიდობებისას ორივეს გამარჯვება უსურვა.

შუადღე იყო, როდესაც მეგობრები ბაგადის ხიდს გასცდნენ და კლდეებამდე მიაღწიეს. მონადირეებმა არ შეისვენეს. ნადირთან შეხვედრა ეჩქარებოდათ.

„ხომ შეიძლება დათვს მოეხასიათოს და ისევ მთებისაკენ გასწიოს,“ — ფიქრობდნენ მეგობრები.

დაიწყეს აღმართ-აღმართ სვლა. ერთი არ ჩაუმუხლიათ.

— ნადირი ალბათ აქ იქნება დაბუნაგებული, ჩვეულებრივად ამ ადგილებში იციან დათვებმა ბორიალი, — თქვა მანჩამ და ხელი აიშვირა ზემოთ.

— შეიძლება, — გამოეპასუხა შოუდიდი. ისინი კიდევ

დიდხანს მიდიოდნენ ბილიკ-ბილიკ. თანდათან მალლა იწვედნენ.



— კარგად ვიცნობ ამ მიდამოებს, — შენიშნა მანჩამი, — ნადირობის დროს აქ ხშირად მოვხვედრილვარ, დაუკვირდი, უცნაური ადგილია. ქვემოდან ღრუბელივით მოედინება ბუმბლი.

მართლაც, ჰაერში გუფთა-გუფთად მოფრინავდა თეთრი ბუმბლი და კლდის ცხვირს ნისლივით ეხვეოდა.

— ქვემოთ, ჭალებში ცაცხვები ყვავილობენ. ხანდახან ისე სქლად მოფარფატებს ბუმბლი, ნადირის დანახვაც ჭირს.

ამ საუბარში პატარა კლდოვან მოედანს მიაღწიეს. მეგობრებმა თოფები გადმოიღეს, კლდეზე მიაყუდეს და იქვე ჩამოსხდნენ. გარშემო თვალუწვდენ კლდეთა წრიახები მოჩანდა. აქა-იქ ხავსი მოჰკიდებოდა მათ შიშველ ქანგისფერ ფლატეებს, ქვემოთ ჭალებში აყვავებული ცაცხვების რტოებიდან წამოფრენილი ბუმბლი თეთრი ღრუბლებივით მოიწვედა ზემოთ. თვალჩაუწვდენელ ქვესკნელში მდინარე კოდორი მოქუხდა.

მანჩა უფსკრულის პირას გაიშოტა.

— ცოტა აქეთ მოიწი, — გააფრთხილა შოუდიდმა. — უფსკრულში არ გადავარდე. უბედურება თან ახლავს ხოლმე ადამიანს! — გულში კი გაივლო: — ნეტავი მართლა გადაიჩეხებოდე!

— არაფერია, — უდარდელად შენიშნა მანჩამ. — ნაჩვევი ვარ. მახსოვს, ცაზე დაკიდებულ შიშველ კლდის ნაპრალ ერცახვამდე მივდიე ჯიქს. გაუვალ კლდის ყელში მივიმწყვდიე და ცოცხალი შევიპყარ. მაშინ იქ არ გადავიჩე-

ხე და აქ რა მომივა, ერცახვთან შედარებით ეს ტროლი  
მინდორი მგონია, — გაეცინა მანჩას.



— უბედურებამ შეიძლება ცხელ ღომშიაც ჩაიბუ-  
დოს. — გაახსენა შოუდიდმა აფხაზური ანდაზა.

— ნუ შიშობ, მეგობარო, აქ უბედურება არ მოხდე-  
ბა, — მშვიდად თქვა მანჩამ.

უბედურება კი მოხდა.

იმავე ღამეს შოუდიდმა მანჩას მეუღლეს თავზარდამ-  
ცემი ამბავი მოუტანა. გაუნელებელი მწუხარება დაატყდა  
თავზე შაზინას — მოყვარული ქმარი დაედუბა. მისმა კი-  
ვილმა და ქვითინმა მთელი სოფელი შეპყარა.

შოუდიდი მწუხარედ მოუთხრობდა მომხდარ ამბავს  
ხალხს.

— ის უბედური მთაში ჯიქს გამოეკიდა, გაუვალ ად-  
გილზე მოხვდა და ჩემს ასვლამდე მოსწყდა, უფსკრულში  
გადაიჩეხა.

მონადირეებმა დიდხანს ეძებეს მანჩა, მაგრამ კვალიც  
ვერ იპოვეს.

— ალბათ ნაპრალებშუა, ვიწრო კლდეში, ყველაზე სა-  
შინელ უფსკრულში ჩაიჩეხა საბრალო, — დაასკვნეს მე-  
ზობლებმა და ძებნაც შეწყვიტეს. ერთი წელიწადი იგლო-  
ვა შაზინამ საყვარელი ქმარი. მთელი წელიწადი დადიო-  
და მასთან შოუდიდი. მისი დამწუხრებული თვალები მე-  
გობრისადმი თავდადებულ სიყვარულზე მეტყველებდნენ.  
იგი მოწიწებით ეპყრობოდა შაზინას, არაფერს არ იშურე-  
ბდა ქვრივისათვის, ეფერებოდა, ელოლიავებოდა.

შაზინას თანდათან მოაწონა თავი ქმრის მეგობარმა.

მონდომებით, მოხერხებულად ამზადებდა შოუდიდი წი-  
ადაგს.



საათმაც დაჰკრა.

მან დრო შეარჩია და თავის უსაზღვრო სიყვარულში გამოუტყდა ქალს. ქმრის ერთგული შაზინა დიდხანს უარ-ზე იდგა. დიდხანს მერყეობდა ქვრივი, მაგრამ შოუდიდის განუწყვეტელმა მუდარამ, ნათესავეების და მეგობრების რჩევამ თავისი გაიტანა.

ერთი თვის შემდეგ შოუდიდმა თავისი სანუკვარი სატ-რფო სახლში მიიყვანა. სათუთად უვლიდა შოუდიდი შა-ზინას. შაზინას სურვილი მისთვის კანონი იყო. ცივ ნიავს არ აკარებდა. მიწაზე ფეხს არ ადგმევინებდა. ასე გადიო-და დრო. უშფოთველად და სიყვარულით ცხოვრობდა ცოლ-ქმარი.

გავიდა ერთი წელი.

ერთ მზიან დღეს შოუდიდს აივანზე ჩაეძინა. შაზინა გვერდით უჯდა. ქმარს ძილში უჩვეულო შფოთი დაეტყო. ბოძვა დაიწყო. უცებ შეკრთა და გამოიღვიძა. მათ წყნა-რად დაიწყეს საუბარი.

ჰაერში ცაცხვების ყვავილთა თეთრი ბუმბლი წამო-იშალა.

— რამდენი ბუმბლია, — შენიშნა შოუდიდმა.

— მართლაც ბევრია, — შეხედა ცას შაზინამ.

— დღეს რატომღაც უამრავი ბუმბლი წამოიშალა, — დაფიქრებით თქვა შოუდიდმა.

— ბუმბლი! — გაიღიმა შაზინამ. — წელან სიზმარში-ც ბუმბლს ახსენებდი. რალაცას ბოდავდი, ვერაფერი გა-



ვარკვიე, მხოლოდ „ბუმბლი, ბუმბლი“ მესმოდა. ბუმბლი ხომ არ მოგელანდა სიზმარში?!

შოუდიდის ლამაზ, ფართე შუბლს ნაზად გადაუსვა შაზინამ ხელი, თითქოს მოჩვენებათა განდევნა უნდოდა. შოუდიდმა ქალი მიიზიდა და აკოცა.

— მართალი ხარ, — თქვა მან, — სწორედ ბუმბლი ვიხილე სიზმარში, ბუმბლი!

— ბუმბლი? ერთი ყვავილის ბუმბლი?

— კი, ერთი ბუმბლი, — უბასუხა ქმარმა და თვალები დახუჭა. — მხოლოდ ერთი ბუმბლი, — განაგრძო მან. ცოტა ხანი გაჩერდა და ისევ თქვა: — ერთი, მაგრამ საშინელი იყო იგი.

— რაო? — გაიკვირვა შაზინამ. — რატომ იყო საშინელი?! იქიდან ჩემზე ლამაზი ქალი ხომ არ გიჭვრეტდა? თავისთან ხომ არ გიხმობდა სატრფიალოდ! ალბათ ამიტომაც ოხრავდი ძილში. ეს მართლაც საშინელება დაგსიზმრებია. — ამ სიტყვებით შაზინა მიეკრა ქმარს და ყურში ჩასჩურჩულა: — თანდათან უფრო ძლიერ შემიყვარდი, შოუდიდ!

— არა, შენზე ლამაზი და საყვარელი ქალი მე არ მინდა. შენ ჩემი სანუკვარი სატრფო ხარ, მხოლოდ შენ უნდობარ ჩემს გულს.

— მართლა? — თითქოს გაოცდა შაზინა. — მომიყევი, რა ნახე სიზმარში?

— არ შემიძლია, ნუ მთხოვ, გენაცვალე.

— რატომ?!

— ამ სიზმარმა, იმ თეთრმა ბუმბლმა ძველი დარდი გამახსენა.

- მაშ. აუცილებლად უნდა მომიყვე.
- რომ შემიძლოს?
- ძველი ეშმაკობა შენ თავს არ შემაძულებს.
- ვაითუ ვერ გამოიგო, არ მაპატიო!
- წინასწარ მიპატიებია. ეს ხომ ძველი ამბავია, მა-  
შინ შენი ცოლი არ ვიყავი!

— რასაკვირველია, მანამდე იყო, შენც იცი...

შოუდიდმა ხმას დაუწია.

— ეს მე შენთვის ჩავიდინე.

— მით უკეთესი! მოყვე!

შოუდიდმა თვალები დახუჭა.

— დიდი ხანია რაც შემიყვარდი, — ნელა დაიწყო  
შან. — გახსოვს, შაზინა, თქვენთან რა ხშირად დავდიოდი?  
შენ შემხედვარეს გონი მქონდა დაკარგული. ვეჭვიანობდი,  
ვიტანჯებოდი, ვხედავდი, როგორ გეფერებოდა ის და შენც  
სიყვარულით პასუხობდი. ბევრი ჭირი გადავიტანე და  
ბოლოს გადავწყვიტე, უშენოდ ჩემი ცხოვრება რა შეიძ-  
ლებოდა. დავრწმუნდი, თუ ჩემი არ გახდებოდი, გავგიჟ-  
დებოდი. მე და მანჩას ამქვეყნად ერთად არ გაგვეძლებო-  
და. ჩვენ ორს მიწის პირი ვერ დაგვიტევდა. ჩვენ შორის  
ერთ-ერთი უნდა მომკვდარიყო, რათა მეორე შენი სრული  
პატრონი გამხდარიყო და ბედნიერად ეცხოვრა. სულ მახ-  
სოვდა: ერთი ვერ გახდება კეთილი ბედის, თუ მეორე უბე-  
დური არ იქნებაო, მეც გადავწყვიტე...

შოუდიდი უცებ გაჩერდა.

— რა გადაწყვიტე, რა?!

სიჩუმე აუტანელი გახდა.

— შემდეგ რა მოხდა? — წყნარად იკითხა ქალმა.

შოუდიდი კიდევ კარგა ხანს დუმდა. სიტყვა ვერ მო-  
გინახა სათქმელად.

— იმ ღამეს ტყუილი ვთქვი, მანჩა არ გადაჩენილა. ჩვენ, მართალია, ბაგადას ნაპრალის პირზე ავედით და იქ დავისვენეთ. მანჩა წამოწვა, ფეხებს დავასვენებო, მე ვისარგებლე და...

შაზინა აკანკალდა.

— ახლაც თვალწინ მიდგას, მაშინ ნაპრალის თავზე, — განაგრძობდა აღელვებული შოუდიდი, — ბუმბლი ირეოდა, ისინი აფორიაქებული დაფარფატებდნენ ჩვენს ზემოთ, ნაპრალის ზემოთ... რატომ მომკალი? რა გიქენი ცუდი? — მიკითხებოდა მომაკვდავი და თვალეში მიყურებდა. ვერ გავუძელი მას, ვერ შევძელი მისი თვალეზის ყურება და ზურგი შევაქციე.

— მესმის, მიგიხვდი... არ შეემცდარვარ... შენ შაზინა გიყვარს, ეს ვიცოდი, ამას მშვენივრად ვხედავდი. შენი სახე მეუბნებოდა ყველაფერს. ვგრძნობდი, რისთვის მოდიოდი ჩვენთან. როგორი თვალეზით უყურებდი შაზინას... ვიცოდი და ვხედავდი... ახლა კი მომკალი... შენ გგონია, არავინ გაიგებს? შენ გგონია, შაზინას დაემალემა ეს ამბავი?... არა, აი, ეს ბუმბლი იტყვის ყველაფერს, ის აცნობებს ქვეყანას შენს ვერაგობას. იცოდე, ღალატი არასდროს არ დაიფარება. ხალხს უთქვამს: ადამიანმა რომ არ გაგთქვას, ჩიტები მაინც გაიგებენ და იტყვიანო... მე ვკვდები... მაგრამ ნახავ... — სიკვდილის შხამი ჩაუდგა ტანში. უკანასკნელად გაიზმორა, — ეს თეთრი ბუმბლი გაგთქვამსო... — და გათავდა კიდევ.

— ფეხი ვკარი მის ცხედარს და უფსკრულში გადავჩეხე. — შოუდიდი წამოდგა, გაიმართა, ჰაერი ისე შეესუნთქა, თითქოს ყელში ვიღაც უჭერდა ხელს, მერე ისევ წამოწვა, თვალები დახუჭა და განაგრძო: — წიღან სიზმარი ვნახე, თითქოს მე და შენ ვეება ცაცხვის ჩრდილში ვისხედით. გარშემო ცაცხვის ბუმბლი ირეოდა, ჩვენ მათი ცქერით ვტკბებოდით. უცებ ერთი მათგანი ბურთივით გაიბურა და ნელ-ნელა წამოვიდა ჩვენკენ. ჩვენ ზემოთ გადაიხსნა და იქიდან მანჩამ ჩამოგვხედა, თავის მწუხარე, ბრიალა თვალებით დამაჩერდა.

— რატომ მომკალი, რატომ?! — ჩამყვირა მთელი ძალით. — ადამიანები თუ არას იტყვიან, ცაცხვის ბუმბლი გაგთქვამს.

მერე ბუმბლი ისევ გაფრინდა, ისევ პატარა ბუმბლად იქცა და სხვებს შეერია. მე მას დავედევნე, მაგრამ სხვებში ვერ გავარჩიე, მხოლოდ მივძახოდი: „ბუმბლო, ბუმბლო“.

მწარედ დადუმებული, თავჩაქინდრული იჯდა შაზინა.

— ეს შენი სიყვარულით ჩავიდინე, ვნებამ გონება დამიზნელა. მხოლოდ ასე შემეძლო შენი გულის დაპატრონება, სხვა გზა არ მქონდა, შაზინა! მაპატიებ თუ არა, ჰა?!

შოუდიდმა ქალი მიიზიდა. შაზინამ ხელი ჰკრა.

— ასეთ ვერაგობას ვერავინ გაპატიებს! — იგი ფაცხაში შევარდა.

შოუდიდი გახევდა.

— ადექი, უბედურო, — შეჰკივლა შაზინამ, რომელიც სწრაფად გამოჩნდა ფაცხის ზღურბლზე. ქალს ხელში ჩახ-

მახშეყენებული თოფი ეჭირა. — რაც დაიმსახურე, ის მი-  
იღე. მანჩას სახელით ვიძიებ შურს...

შოუდიდმა ფეხზე წამოხტომა ვერც მოასწრო, ცოლმა  
ჩახმახს გამოჰკრა თითი.

— შაზინა! — შეჰყვირა მკერდგანგმირულმა შოუდიდ-  
მა და მიწაზე დაეცა.

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

## ბ ზ ი ს ჯ ო ხ ი

**3** ისაც დიდი ხნით მი-  
უტოვებია ის მხარე,  
სადაც დაიბადა და ჭა-  
ბუკობა გაატარა, მას უთუოდ გამოუცდია მღელვარება,  
სამშობლოში დაბრუნებისას რომ შეგიპყრობს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე ასეთი მღელვარება მატარებელში განვიცადე. მატარებელი სამშობლოსაკენ — ჩემი აფხაზეთისაკენ მიმაქანებდა.

ფანჯრიდან გადავყურებდი შორეულ ცისკიდურამდე გადაჭიმულ ზღვას. შევცქეროდი თოვლიანი მთების მწვერვალებს, თვალისმომჭრელად რომ ეღვარებდნენ მხურვალე მზის სხივებში. იქ სადაც უწინ გაუვალე ჭაობები იყო, ახლა თვალს ახარებდა ნაირფერი ყვავილების ხალიჩები, ნარინჯების თვალუწვდენელი ბალები. უნებურად ჩემი სამშობლოს წარსული მომაგონდა. თვალწინ დამიდგა ძველი ნაცნობები და მეგობრები. წინასწარ მატკობოდა მათთან შეხვედრის სიხარული. გამახსენდა ზოგი ჩემი ამხანა-



გი. უიღბლო იყო მათი ცხოვრების დასაწყისი. ხვალღიღელ-  
 ლი დღე ყველას როდი ჰპირდებოდა დასახულო მიწის  
 განხორციელებას, მაგრამ დიდმა ოქტომბერმა წაღმა შე-  
 მოაბრუნა მათი ცხოვრება და ეს უბრალო ადამიანები თა-  
 ვიანთი მიწა-წყლის ბატონ-პატრონნი გახდნენ.

სოხუმში სასტუმრო „აფხაზეთში“ დავბინავდი, ტანი-  
 სამოსი სწრაფად გამოვიცვალე და ქუჩაში გავედი. აქ ახ-  
 ლა ყველაფერს ახალი თვალთ ვუცქეროდი, თითქოს ამ  
 ქალაქში პირველად ვიყავი. ჩემი ყურადღება ფილარმონი-  
 ის ახალი შენობის წინ თავმოყრილმა ხალხმა მიიპყრო.  
 ისინი შუმანის მუსიკის მოსასმენად მოსულიყვნენ. გადავ-  
 წყვიტე, ამ კონცერტს მეც დავსწრებოდი.

დარბაზში ტევა არ იყო. სამოცი კაცისაგან შემდგარ  
 სიმფონიურ ორკესტრს მთელი სცენა ეჭირა. კომპოზიტორ  
 შუმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საინტერესოდ  
 ილაპარაკა მუსიკათმცოდნე სვეტლანა კეცბამ. მერე სცენა-  
 ზე დირიჟორი გამოვიდა. მას ტაშით შეხვდნენ. დირიჟორ-  
 მა ხალხს თავი დაუკრა და სანოტედან პატარა თეთრი ჯო-  
 ხი აიღო. ტაშისცემა მაინც არ შეწყვეტილა.

დირიჟორი სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო. მისი შავ-  
 გვრემანი, სანდომიანი პირისახე და შთაგონებით გაბრწყინ-  
 ნებული შავი თვალეები უცბად მოინადირებდა კაცის  
 გულს. შევხედე თუ არა, თავში გამიელვა, სადღაც მინა-  
 ხავს-მეთქი.

კონცერტი დაიწყო. ახალგაზრდა დირიჟორს მთელი  
 ორკესტრი ისე ეჭირა ხელში, თითქოს ძველი გამოცდილი  
 მანქანის მძღველი იყოს. ეტყობოდა, შუმანის მუსიკა ღრმად

ესმოდა და მისი ყველა ნიუანსი უკლებლად მიჰქონდა მსმენელის გულთან. ვუსტქეროდი ამ ახალგაზრდა ქარს და ვცდილობდი გამეხსენებინა, სად და როდის მენახა იგი.

მუსიკა შეწყდა. ისევ იგრიალა ტაშმა. დირიჟორი ხალხისაკენ შემობრუნდა, თავი დახარა და, აი, სწორედ მაშინ გამახსენდა...

თვალწინ დამიდგა ერთი კაცის სახე. იმ კაცს ოდესღაც ძალიან ახლოს ვიცნობდი და სოხუმში ჩამოსვლისას ყოველთვის მოვინახულებდი ხოლმე. ეს იყო კონსტანტინე კოვაჩი — აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შემგროვებელი. კოვაჩი უნგრელი იყო. მან პირველმა შეაგროვა და ნოტებზე გადაიღო ორასზე მეტი აფხაზური ხალხური სიმღერა, რითაც აფხაზ ხალხს დაუფასებელი ამაგი დასდო.

კოვაჩთან ერთი გამხდარი ბიჭი გავიცანი. დამინახა თუ არა, დაიმორცხვა და წასვლა დააპირა, მაგრამ კოვაჩმა შეაჩერა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— გაიცანი, ეს ჭაბუკი ჩემი ახალგაზრდა მეგობარია. ჯერ კიდევ შარშანწინ ცხვარს მწყემსავდა იალაღებზე, რიწის ტბასთან. ახლა კი მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს, ნიჭიერი ბიჭია, მუსიკა ძალიან უყვარს.

ბიჭი მართლაც მომეწონა. ვკითხე, რომელ საკრავს ეუფლები-მეთქი.

ჭაბუკმა ცოტა ხნით იყუჩა, მერე ჩუმად მითხრა:

— ჯერ ვიოლინოს.

— ო-ოჰ, — ხმამალლა გაიცინა კოვაჩმა: — თქვენ არ იცით, რა შორს მიფრინავს ნურის ოცნება! — მერე თვალი ჩამიკრა და ცნობილი აფორიზმი მითხრა:



შორს მისცურავს ათენელთა ხომალდები,  
მაგრამ მათი ფიქრები უფრო შორს მიდიან.



— როდესაც ნურის პირველად გამოველაპარაკე, — განაგრძო ჩემმა მეგობარმა, — მან იცი, რა მითხრა? ყველა საკრავი უნდა შევეისწავლო, ყველაზე უნდა დავუკრა, რომ ბევრი მუსიკოსის წინ დავდგე და ჯოხი ვიქნიოო...

გამეღიმა.

— მაშ, დირიჟორი გინდა გამოხვიდე?

ნურიმ ისევ დაიმორცხვა და ჩურჩულით მითხრა:

— დიახ!

იმ დღის მერე იგი არ მინახავს.

ეს ყველაფერი რომ გამახსენდა, იმწამსვე კულისებში გავჩნდი და ახალგაზრდა დირიჟორს პირდაპირ ვკითხე:

— თქვენ ნური ხართ, არა?

— ნური ვარ, — მიპასუხა მან და ხელი ჩამომართვა, — ნური ჯერღენია. თქვენ პირველ რიგში იჯექით, როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე გიცანით. ერთმანეთი ჩემმა პირველმა მასწავლებელმა კოვაჩმა გაგვაცნო. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ!

კონცერტი რომ დასრულდა, ნურიმ სავახშმოდ შინ მიმიწვია.

სანამ გაშლილ სუფრას მივეუსხდებოდით, ნურიმ ფლანელის ნაჭერი ამოიღო, დირიჟორის ჯოხს გადაუსვა და თაროზე შემოდო. ყურადღება მივაქციე: ეს ჯოხი ცოტა უფრო გრძელი იყო იმ ჯოხებზე, დირიჟორები რომ ხმარობენ. როცა ნურის ეს ვუთხარი, მან ღიმილით მომიგო, მართალი ხართო.

— ეს ბზის ჯოხი მართლაც ცოტა გრძელია. ჩემმა ბა-  
ბუამ გამოთალა და აღარ დავამოკლე. ამ ჯოხმა სხვაგანა  
ირად შეაბრუნა ჩემი ცხოვრება...

და იმ სალამოს ნურიმ მიაბაზო თავისი ბიოგრაფია:

ნური ჯერდენია მთაში დაიბადა, რიწის ტბასთან, იქ  
სადაც ტანმალალი ფიჭვები ისე დასცქერნიან ბროლივით  
კამკამა წყალს, თითქოს სარკეში იხედებიანო.

მოხუცმა სარქალმა ხარუნ ჯერდენიამ თავისი ობოლი  
შვილთაშვილი, პატარა ნური ცხვარში წაიყვანა.

ხარუნი საუცხოოდ უკრავდა აჩარპანზე — აფხაზურ  
სალამურზე.

სალამო ხანს კარვის წინ ჩამოჯდებოდა პატარა ჯირკ-  
ზე და პირდაპირ გადარეგდა კაცს თავისი ხელოვნებით.  
ტუჩების ერთი კუთხით რომ სალამურს უკრავდა, მეორე-  
თი სიმღერას ამბობდა. თანაც სიტყვებს მკაფიოდ გამოთ-  
ქვამდა. ეს გასაოცარი ხალხური ხელოვნება თაობიდან თა-  
ობაში გადადიოდა აფხაზეთში.

ზურმუხტის ჩარჩოში ბრწყინავდა რიწის მოსარკული  
ზედაპირი. უხვად შემოვლებოდა ტბის ნაპირებს შქერის  
ოქროსფერი ყვავილები, ვეება ფიჭვები, ხარუნის კარავი,  
თავდაყირა დაცემული თოვლიანი მწვერვალები ნელ-ნელა  
ირხეოდნენ კამკამა წყალში.

ბევრი სიმღერა იცოდა ბაბუა ხარუნმა, მაგრამ ერთი  
ყველაზე მეტად უყვარდა და ყველაზე უკეთესად იმას მღე-  
როდა. ეს გახლდათ რიწის ტბის სიმღერა:

იყო ოდესღაც სოფელი მთაში...

პატარა ნურის კი ერთი ძველებური სიმღერა მოსწონ-  
და — „აუასა რხიუგა“.

აფხაზი მწყემსები ამტკიცებდნენ, ცხვარი რაგინდ დაღ-  
ლილი არ უნდა იყოს, ამ სიმღერას რომ გაიგონებდნენ, მაშინ  
ვე წამოდგება, ბალახს მოედება და გამგელებული ძოვს.  
თითქოს მთელი კვირის მშვიერი იყოსო.

მოხუცმა შეატყო თუ არა, რომ ბიჭს აჩარპანა ძალიან  
უყვარდა, ლერწამი მოჭრა და პატარა სალამური გამოუ-  
თალა. ნურის ახლა თვითონ შეეძლო „აუასა რხიუგა“ და-  
ეკრა და ალხაჯზე დაყრილი ფარა ისევ წამოეშალა საბა-  
ლახოლ.

ის ჯერ კიდევ ბალდი იყო, ამიტომ ხშირად სასეიროდ  
უფრო წამოყრიდა ფარას, უყვარდა ყოჩების ბრძოლის ყუ-  
რება. ნურიმ მრავალი ფანდი და ხერხი იცოდა — ყოჩები  
ერთმანეთისთვის როგორ წაეკიდებინა, და როდესაც მათი  
რქების ჯახანს გაიგონებდა, მისი სალამურიც სხვა ხმაზე  
ამღერდებოდა ხოლმე. ცეცხლს უკიდებდა ისედაც გადარე-  
ულ ყოჩებს. ხშირად ეს გართობა ძვირად უჯდებოდა. მო-  
ვარდებოდა ბაბუა ხარუნი, ჯერ მოჩხუბარ ყოჩებს გააშ-  
ველებდა, მერე კი დაავლებდა ხელს ნურის და კარგად  
მიტყუებდა.

— არა, არა! — ამბობდა მოხუცი, — შენგან არასდროს  
არ გამოვა მეცხვარე, არასდროს!

დაღამდებოდა თუ არა, მწყემსები ბრიალა კოცონს მი-  
უსხდებოდნენ და მუსაიფს გააბამდნენ.

ბევრი საინტერესო თქმულება, ზღაპარი და თავგადა-  
სავალი მოუსმენია ნურის ამ ღამეულ კოცონებთან, მაგრამ  
ერთი ამბავი ღრმად ჩაებეჭდა მის ბავშვურ გულს.

ეს მოხდა ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში.

ერთხელ მოხუცი ხარუნის კარავში უცნობი ყმაწვილი შემოვარდა:

— სტრაჟნიკები მომდევნ, დამმალე, მოხუცო, თუ შენს გულში ცოცხალია ალამისი!

კარვის კუთხეში შინდის ბურახისათვის გამზადებული ვეება კასრი იდგა. ხარუნმა ის ყმაწვილი იქვე ჩააჩოქა და კასრი თავზე დაამხო, თვითონ კი ნაბაღზე წამოწვა.

კარავში სტრაჟნიკები შემოცვივდნენ.

— აქ არავინ დაგინახავს? ერთი ბიჭი გამოგვექცა! — ჰკითხა ერთმა.

— როგორ არ დაინახავდა, აქეთკენ მორბოდა! — თქვა მეორემ.

მოხუცი წამოდგა, კარვიდან დინჯად გავიდა.

— როგორ არ დაგინახე, ბრმა კი არა ვარ! აქ ჩაირბინა და ხევში მიიმალა.

სტრაჟნიკები სწრაფად გაჰყვნენ ტყუილ კვალს.

ყმაწვილმა მოხუცს მადლობა გადაუხადა და ტყეში გაუჩინარდა.

გაიარა დრომ. უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდა, ის ყმაწვილი, სახელად ჩანაგუ, საბჭოთა აფხაზეთის მთავრობას ჩაუდგა სათავეში. ამ ამბავმა ხარუნი ძალიან გაახარა, მაგრამ იმდენი ვერ მოახერხა, რომ მასთან პირადად მისულიყო და გამარჯვება მიელოცა.

ერთხელ, როდესაც ხარუნი მთაში დასასვენებლად ამოსულ ბერიკაცებს ესაუბრებოდა, უეცრად მის კარავთან ჩანაგუ გაჩნდა.



— მიცანი, ბაბუა? — ჰკითხა მოხუცს და მკერდზე ეამბორა.

ხარუნმა თვალეები მოჭუტა და ერთ ხანს სტუმარს მღუმარედ მიაჩერდა. მერე შუბლი გაიხსნა და შესძახა:

— გიცანი, როგორ არ გიცანი! კეთილი იყოს შენი მობრძანება, დად! — მერე ისევ წარბი შეჰკრა, ვითომ რალცამ შეაშფოთაო: — რაო, კიდეც უნდა დაგმალო?

— არა, ჩემო ხარუნ,—ჩანაგუმ გუღიანად გაიცინა:— ახლა ეს ქვეყანა ჩვენია, ხალხის არის... თავადებისა და მებატონეების მზე სამუდამოდ ჩაესვენა. ასე არ არის, მეგობრებო? — მიუბრუნდა ჩანაგუ დამსვენებლებს.

— ჭეშმარიტი სიტყვაა!

— ეს კი შენ, ჩემო ხარუნ, იმ დღის სამახსოვროდ! — თქვა ჩანაგუმ და მოხუც მწყემსს მოზრდილი ფუთა გაუწოდა. ფუთაში აღმოჩნდა ახალთახალი ნაზადი, ბუხრის ქუდი, ტყავის ჩექმები და სანადირო თოფი.

გახარებულმა, აღელვებულმა მოხუცმა სიტყვა ვერ იპოვა მადლობის სათქმელად; მხოლოდ ცრემლი მოადგა თვალზე.

მერე ყველანი ცეცხლს შემოუსხდნენ და საუბარი განაგრძეს:

— აი, უკვე ას მეჩვიდმეტე წელში გადავდექი, — დაიწყო ხარუნმა: — და იცით, გული რაზე მწყდება? რატომ ცოტა გვიან არ დავიბადე, რომ ამ ბედნიერ დროს უფრო ჯეელი შევსწრებოდი! რა იყო ჩემი წარსული ცხოვრება, — ასი ფუთი ტანჯვა და ერთი მისხალი სიხარული!

— ნეტავი სადმე ისეთი კანტორა იყოს, სადაც წლების

გაცვლა შეიძლებოდა! — თქვა მეორე მოხუცმა. — ერთ  
ახალ წელში ათ ძველ წელიწადს მივცემდი.

— ოცს კი არა? — ჩაიცინა მეორემ.

— მე იცი, რას ვფიქრობ? — თქვა ჩანაგუმ, — ჩვენი  
ხარუნი ას ჩვიდმეტი წლისა ყოფილა, კმარა, რაც იშრომა.  
ამიერიდან დაისვენე, ხარუნ, პენსიაც გეკუთვნის.

— დასვენებას მერეც მოვასწრებ, ჯერ რა მეჩქარება, —  
თქვა ხარუნმა.

საუბარი ამით დამთავრდა, წასვლის წინ ჩანაგუმ მო-  
ხუცი მწყემსი სოხუმში მიიწვია, ჩემი სტუმარი უნდა იქ-  
ნეო.

— სიამოვნებით, — უთხრა ხარუნმა; — ჯერ ქალაქში  
ერთი ღამეც არ გამითევია. ვნახო, იქაური ხალხი როგორ  
ცხოვრობს.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, მოხუცი მწყემსი  
ჩანაგუს ესტუმრა. ერთი კვირა რომ გავიდა, ხარუნმა მას-  
პინძელს უთხრა:

— გინდა კარგად დავისვენო?

— მაშ, რატომ ჩამოგიყვანე, ბაბუ? — გაიკვირვა ჩა-  
ნაგუმ.

— გაგიგონია ძველი აფხაზური ანდაზა? როდესაც კო-  
დალა ხეს ნისკარტს არ უკაკუნებს, თავი სტკივაო. მეც ასე  
ვარ! როცა არაფერს არ ვაკეთებ, მეც თავი მტკივა და ვილ-  
ლები, უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია.

— ბატონი ბრძანდები, — თქვა ჩანაგუმ. — დაგეხმა-  
რები, მხოლოდ ჯერ გაიარ-გამოიარე ქალაქში, ნახე, ვინ  
რას აკეთებს, მერე გული საითკენაც გაგიწევს, იქ მოგაწე-  
ვობ სამუშაოზე.

მოუსვენარმა მოხუცმა მთელი ერთი კვირა ქალაქის ქუჩებში იხეტიალა, ათასი ჯურის ხალხს ესაუბრა, ათასჯერ ხელოსანს გაეცნო, მაგრამ სათავისო საქმე ვერაფერი შეარჩია, ყველგან წერა-კითხვა და ანგარიშის ცოდნა იყო საჭირო. დაღონდა მოხუცი, როგორც ჩანს, ქალაქს ვერ შევეწყობიო.

იმ საღამოს შინისკენ დაძმარებული დაბრუნდა. გზის შესამოკლებლად ბაღში შევიდა, ამ დროს მუსიკის ხმა შემოესმა, მიიხედა, ესტრადაზე სამხედრო ორკესტრი უკრავდა. დამკვრელების წინ, ოდნავ შემალლებულ ადგილზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მაღალ-მაღალი კაცი იდგა და პატარა ჯოხს აქნევდა — მუსიკას აყოლებდა.

მოხუცმა თვალი ვერ მოსწყვიტა იმ ჯოხს.

„აი, საჩემო საქმე! მთელ ფარას ერთი კაცი ვუვლიდი, ამას როგორ ვერ შევძლებ, დამკვრელების წინ დავდგე და პატარა ჯოხი ვიქნეო!“ — გაიფიქრა მან და მუსიკა შეწყდა და თუ არა, დირიჟორთან მივიდა, ჯოხი მაჩვენეო, სთხოვა. გამოართვა, დახედა და მაშინვე უკან დაუბრუნა.

— შინდისაა, მე კი ბზისაგან გამოვთლი! — ჩაილაპარაკა მან.

მეორე დღეს, როდესაც ჩანაგუ მოხუცის ოთახში შევიდა, ხარუნი გულმოდგინედ თლიდა ჯოხს.

მასპინძელს გაეღიმა.

— გეტყობა, საქმე გიპოვია, ჩემო ხარუნ.

— კი, შვილო, ვიპოვე! — გამოცოცხლდა ხარუნი, — ახლა შენ იცი, თუ იმ სამუშაოზე მომაწყობ, — და მოხუცმა სულმოუთქმელად უამბო ჩანაგუს რაც გუშინ ბაღში ნახა.

ბევრი უმტკიცა ჩანაგუმ — დირიჟორობა ძალიან ძნელი და რთული საქმე არის, დირიჟორმა ყველა მუსიკალური საკრავი უნდა იცოდეს, მთელი მუსიკალური მეცნიერება უნდა შეისწავლოს, სანამ იმ პატარა ჯოხს ხელში აიღებსო...

— „ამ სამუშაოს“ ვერც შენ მოერევი და ვერც მე, — დაასკვნა ჩანაგუმ და მოხუცს მხარზე ხელი მოუთათუნა.

უსაქმოდ დარჩენილმა ხარუნმა ქალაქში მოიწყინა. ერთ დღეს გუდა-ნაბადი აიკრა და მთას მიაშურა. წავიდა და თან წაიღო ბზისაგან გამოთლილი ჯოხი.

ბაბუა ხარუნი ხშირად ჰყვებოდა ამ ამბავს და ნურის მუდამ თვალწინ ედგა ხოლმე გაჩახჩახებულ ესტრადაზე ჩამწკრივებული მუსიკოსები. ესმოდა ლამაზი, ბრჭყვიალა საკრავების ხმა... მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვის გულს ის კაცი იზიდავდა, შემალღებულ ადგილზე რომ იდგა და ჯოხს აქნევდა.

ამის შემდეგ ხარუნი თავის აჩარბანზე რომ დაუკრავდა, პატარა ნური მაშინვე წინ დაუდგებოდა და ჯოხის ქნევას დაიწყებდა.

გავიდა კიდევ ორი წელი. ერთ საღამოს მოხუცმა ხარუნმა დაიძინა და აღარ გაიღვიძა. პატარა ნური მარტო დარჩა ქვეყანაზე. მაგრამ ბავშვის მეოცნებე გულმა ვერა და ვერ დაივიწყა ის სანატრელი ქალაქი სოხუმში, სადაც ბაბუამისმა თავისი შესაფერი საქმე ვერ იპოვა.

ერთ მშვენიერ დღეს ნურიმ პატარა აბგა მხარზე გადაიკიდა, ხელში ბაბუას სახსოვარი ბზის ჯოხი დაიჭირა და მთიდან დაეშვა.





...ნური ჯერლენია გაჩუმდა, ღვინო დაისხა და მოსვლა მერე ისევ განაგრძო:

— ჩვენს ქვეყანაში უპატრონო ბავშვები არ არიან... ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. სოხუმში რომ ჩავედი, საბავშვო სახლში მომათავსეს, ალერსი და ზრუნვა არ მომაკლეს. მერე ერთმა მასწავლებელმა შემატყო, რომ მუსიკა მიყვარდა. მას ხშირად დაყვავდი ხოლმე ბაღში ორკესტრის მოსასმენად. სწორედ იქ შევხვდი პირველად კოვჩს. მან თურმე დამინახა, თვალეგაბრწყინებული როგორ მივჩერებოდი ესტრადაზე ჩამწკრივებულ მუსიკოსებს, დირიჟორს, ჯადოქრად რომ მეჩვენებოდა.

ჩემმა ახალმა ნაცნობმა ყველაფერი გამომკითხა. მეორე დღეს იგი საბავშვო სახლში მოვიდა, მასწავლებლებს ელაპარაკა, მერე მე დამიძახეს და სალამურზე დამაკვრევენეს. მამლერეს კიდეც. ბაბუას საყვარელი სიმღერა წამოვიწყე, კოვჩმა მომიწონა, უფრო გავთამამდი და ბაბუა ხარუნის ბზის ჯოხიც ვაჩვენე.

კოვჩმა მითხრა, თუ შენი მასწავლებლები თანახმა იქნებიან, მუსიკალურ სასწავლებელში მოგაწყობო. რა თქმა უნდა, ყველანი დაეთანხმნენ.

— როგორც ხედავთ, ნატვრა ამისრულდა, დირიჟორი გავხდი, — თქვა ნურიმ.

ორივენი გავჩუმდით. მერე მივბრუნდი და დირიჟორის ჯოხს შევაველე თვალი, მოხუცმა მწყემსმა ბზისაგან რომ გამოთალა... ისევ თვალწინ დამიდგა მრავალი ჩემი თანამგმამულე, რომელთა ბედი წაღმა შემოაბრუნა დიდმა ოქტომბერმა.

## ა ღ ვ უ რ ი

(პარტიზან ნური ახზას ნამბობი)

**ბ**ერმანელები უმოწყალოდ ბომბავდნენ ჩვენს პოზიციებს. გრუხუნებდა ზარბაზნები. ყირიმული კირქვისა და ტუფის ნამსხვრევებში იმარხებოდნენ ადამიანები. თუ ვინმე გადაურჩა ამ საშინელ ქართვეხილს, ისიც დაჭრილი და კონტუზირებული ტყვედ ჩავარდა.

ტყვეთა შორის აღმოჩნდა მაიორი ადგურ ვოზბა — დივიზიის განყოფილების უფროსი გამომძიებელი.

ადგური საუცხოო გარეგნობის ვაჟკაცი იყო: წარმოსადეგი, მხრებში გაშლილი, კუნთმაგარი, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, ადრე მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა, ოჩამჩირე-ტყვარჩელის ხაზზე დააქროლებდა ორთქლმავალს.

მიგვერეკებოდნენ დღითაც და ღამითაც, მივაბიჯებდით უკრაინის მიწაზე. არეული გვექონდა დღეთა სათვალვენი არც ის ვიცოდით, სად ვიყავით. ზოგი ამბობდა დნებრო-პეტროვსკის ოლქში ვართო. მილასლასებდა ვისაც სიარული შეეძლო. ქანცგამოკლილებს გერმანელების ტყვია უმოკლებდა გზას.

არ მახსოვს, რომელ სადგურზე იყო, გაგვაჩერეს და ვილაც გერმანელმა რუსულად იკითხა: არის თუ არა თქვენს შორის მემანქანე?

კაციშვილი ხმას არ იღებდა. კითხვა ისევ გაგვიმეორეს.

— ყური დამიგდე, ნური! — მომესმა ადგურის აღელვებული ჩურჩული, — ვთქვა, რომ მემანქანე ვარ?

— ხომ არ გაგიჟდი?

უცებ ადგურმა მხრით გამწია, მწყობრიდან გამოვიდა და ხმამალლა თქვა:

— მე ვარ მემანქანე!

შევკრთი. ბოლმისაგან ავცახცახდი. „არამზადა!“ — გავიფიქრე. ვილაცამ კბილებში გამოსცრა — „გარეწარი!“ მისგან არაფრით არ მოველოდი მსგავს საქციელს, არასოდეს. აღრე ამ კაცს მეგობრად ვთვლიდით, მხარდამხარ ვიბრძოდით, ახლა კი ზიზღით შევცქეროდით! მოღალატე! გამყიდველი! თვითონ გამოთქვა გერმანელებთან სამსახურის სურვილი.

გერმანელებმა ადგური შეათვალიერეს — მისი გარეგნობა ალბათ ნდობას იმსახურებდა და თან წაიყვანეს.

ბანაკში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ბედმა ბევრი მათრია. უფრო მოგვიანებით კი გაქცევა მოვახერხე. მხოლოდ



პარტიზანთა რაზმში გავიგე შემთხვევით ამ ამბის რული.

პარტიზანები ყვებოდნენ, თუ როგორ გადმოვიდა ჩვენს მხარეზე თორმეტვაგონიანი ეშელონი. რვა ვაგონში ტყვეები იყვნენ, ხოლო დანარჩენ ოთხში — საჭურველი. ტყვეები მოწინავე პოზიციებზე მიჰყავდათ სანგრების სა-თხრელად. მემანქანეც სამხედრო ტყვე ყოფილა. ადგური რქმევი. ძველ გამოცდილ მონადირეს (დათვებზე ნადი-რობდა თურმე ხშირად), არ გასჭირვებია გერმანელი ჯა-რისკაცის თავიდან მოშორება. შემდეგ შეუჩერებლივ გა-უვლია ორი სადგური. გერმანელები ისროდნენ, მატარე-ბელი კი მიჰქროდა, არ ანელებდა სვლას. ასე შევარდა იგი სადგურში, რომელიც ჩვენს მეომრებს ეკავათ.

ცუდი მემანქანე როდი გამოდგა ადგურ ვოზბა.

## ამბოჯენ, მოხუცდომ

თას ცხრაას ორმოცდა-  
სამი წლის შემოდგო-  
მაა. დაძაბული, საბე-  
დისწერო დღეები დგას. გერმანელები სტალინგრადს მი-  
სევიან, ჩრდილო კავკასია დაპყრობილია, მტერი ამიერკავ-  
კასიისა და ბაქოს ნავთის საბადოებისაკენ მიიწევს. გერ-  
მანელი ფაშისტების ურდოები აფხაზეთის კლდეკალთებ-  
საც მრისხანედ ებლაუჭებიან.

ამ საშიშ დღეებში აფხაზეთის სოფლებში ვაჟკაცური  
მოწოდება გაისმა.

— არც ერთი ფაშისტი არ უნდა გადმოვიდეს ამიერკავ-  
კასიაში, გავამაგროთ ჩვენი სამშობლო, მიუვალ კედლებად  
იქცეს მალალი კავკასიის მწვერვალები.

ახალმა და ძლიერმა პატრიოტულმა ტალღამ ერთხელ  
კიდევ გადაუქროლა მოსახლეობას. აღარავინ უცდიდა  
ჯარში გაწვევას, მალალ კლდეებზე დაკიდებულ სოფლები-  
დან ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე მოილტვოდნენ სამ-



შობლოს დასაცავად. გამანადგურებელ ბატალიონში სობით ეწერებოდნენ.

სწორედ ამ დროს ჩემმა ძველმა მეგობარმა არლან უახაიდიმ დიდი გმირობა ჩაიდინა.

მტრებმა შეჰკრეს აფხაზეთის მთიანი კლდე-ვიწროები, მხოლოდ ერთი გადასასვლელი ამორებდათ აფხაზურ პატარა სოფელ მრამბას.

ეს სოფელი არწივის ბუდესავითაა დაკიდებული მაღალი მთის კალთაზე. სოფლის საბჭოს წინ, პატარა მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ მამაკაცები.

მოულოდნელად მათთან გაჩნდა ას ოცდაათი წლის მაღალ-მაღალი, შავთვალა და გამხდარი მოხუცი არლან უახაიდი. ხელში კაჟიანი თოფი ეჭირა, წელზე ხანჯალი ეკიდა. ჭაბუკებმა სიცილი ვერ შეიკავეს.

— თქვენ საით მიბრძანდებით, მოხუცო უახაიდ, ნუთუ საბრძოლველად მიდიხართ? — დააყარეს აქეთ-იქიდან კითხვები.

მოხუცმა კუშტად გადახედა ყველას.

— მეც იქ მივდივარ, სადაც თქვენ, — ნელა თქვა მან, — ტყუილად ფიქრობთ, ომში არ გამოდგებაო, არც ის გაივლოთ გულში, მიზანს ააცილებსო.

— როგორ გეკადრებათ, მაგას ვინ იფიქრებს, — დაამშვიდეს მოხუცი, — საექიმო კომისია არ გაგიშვებთ საომრად.

— რატომ? თქვენ ფიქრობთ, მოხუცებულობა შემისწლის ხელს?

— არა, — გაიქილიკა ყველაზე ხუმარა ახალგაზრდა კიაზო შოუამ, — ვინ გაბედავს თქვას, რომ თქვენ მოხუცი

ხართ, მხოლოდ მკერდი გაქვთ ცოტა ვიწრო, ხომ იცით, ექიმები ვიწრომკერდიანებს ომში არ აგზავნიან.



— მკერდი მაქვს ვიწრო? — წარმოთქვა შემკრთალმა და თავი დახარა. გამოჩნდა მისი ბებრული კისერი. უახაიდიმ ეჭვით შეათვალიერა თავისი მკერდი და მტკიცედ წარმოთქვა: — მერე რა, რომ ვიწროა! არაფერია, ჭაბუკო, ტყვიებსაც ეყოფა სამიზნედ და მედლებიც დაეტევა ზედ.

ჯიუტად გასწია სოფლსაბჭოსაკენ და შტაბის კარი შეაღო.

მოხუცი უახაიდი არ მიიღეს გამანადგურებელ ბატალიონში. მოკრძალებით უხსნიდნენ მოხუცს, ამ ხნის კაცს გაუჭირდება კავკასიონის კლდეკალთებზე ზამთრის გატარებაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ უახაიდი ისევ სოფლსაბჭოს აივანზე გამოვიდა. მისი ნაღვლიანი თვალები ახლა არავის არ უყურებდა.

— უარი გითხრეს, უახაიდ? — ღიმილი მოარიდა ახლა კიაზომ.

— ღიახ, ამბობენ, მოხუცი ხარ, კერიასთან დაჯექი, არაფრად ვარგინხარო.

— როგორ თუ არ ვარგინხარ, — გაოცდა კიაზო, — თქვენ ხომ სოფლის პირველი მომღერალი ხართ და აფხიანერცას საუკეთესო დამკვრელი. დაბრძანდით მზეზე, ძვლები გაითბეთ და გმირებს დიდება უგალობეთ. ბრძოლაში კი სხვებს ხელს შეუშლით.

— ხელს შეუშლიო?! — მწარედ გაიმეორა უახაიდიმ, — მზის გულზე მოვირთხა ფეხი და ძვლები ვითბო, არა?

შენ ამბობ, ვერ ვიბრძოლებ, ხომ! აბა ვნახოთ, ვინ უკეთ იბრძოლებს.



მოხუცს მეტი არაფერი უთქვამს, დინჯად გავიდა გზაზე და კლდის ცხვირს მიეფარა.

ცოტახნის შემდეგ შტაბში მზვერავებმა მოირბინეს და გვაუწყეს: მალაღ-მალაღმა უცნობმა მოხუცმა, მამაპაპური თოფით ხელში, თვალუხედველი ვიწრო ბილიკი გაიარა და წყალვარდნილსა და კლდეებს შორის მიიმალაო.

წყალვარდნილი სწორედ საზღვარი იყო. გალმიდან მტრის ბანაკი იყურებოდა

სნაიპერებმა კარგად დაინახეს, როგორ მიუახლოვდა მოხუცს სამი გერმანელი ჯარისკაცი, რალაცაზე დიდხანს ილაპარაკეს და მერე სადღაც წაიყვანეს იგი.

სალამოს გამანადგურებელმა ნაწილებმა გადასასვლელს შეუტიეს. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მტერს მტკიცე წინააღმდეგობა არ გაუწევია. მათ რიგებში დაბნეულობა შეინიშნებოდა. თითქმის მთელი შტაბი ხელში ჩაიგდეს. შეპყრობილმა გერმანელებმა თქვეს:

— კლდეკარის გადასასვლელიდან ჩვენთან მოხუცი გამოცხადდა. წამდაუწუმ გაიძახოდა, მეტად საიდუმლო ამბავი ვიცი და გენერალთან მიმიყვანეთო. გენერალი იმ დროს სადღაც იყო წასული. მოხუცს „ყველაზე უფროსის“ ნახვა უნდოდა, ჩვენც შტაბის უფროს ობერლეიტენანტკრიმერს მოვახსენეთ. ობერლეიტენანტს გაუხარდა და გვიბრძანა, მასთან მიგვეყვანა იგი. კრემერი მოხუცთან ახლოს მივიდა. მოხუცმა ელვის სისწრაფით გაიძრო ხანჯალი და კრემერს მკერდში ვადამდე ჩასცა. კრემერს მოხუცი ზედ დააკლეს. აი, მისი ცხედარი.



## კ უ რ-მ ა რ ი ლ ი

**ს**ოხუმში ხშირად ჩავ-  
დივარ. მიყვარს ზღვა,  
მშობლიური ქალაქი.

სტუმრობა ცოტა რომ შემიგვიანდება, ზოგ უბანს ვე-  
ღარც ვცნობ. გაიხედავ მარჯვნივ — ისეთი სახლი წამოუ-  
ჭიმავთ, თვალს ვერ მოსწყვეტ. გაიხედავ მარცხნივ და...

— ეს რა ჩუქურთმებია?! — ხმამაღლა წამოგცდება  
უნებლიეთ.

ზღვა და ცა ერთმანეთს სილურჯეს ახარბებენ. ქალაქი  
ათასფერად ღივლივებს.

— აუუჰ! ეს რა მალე აშენებენ, კაცო! გარეუბნებს გას-  
ცილდა ქალაქი! — ეტყვი ვინმე უცნობს. ისიც მაშინვე  
კვერს დაგიკრავს:

— აბა, აბა! გონებამ გააღონიერა მკლავი და მკლავმა  
გააღონიერა ჭკუა. ახლა კაცს სახლის აშენება აღარ უჭ-  
ირს. ესეც რომ არ იყოს, ხალხმა სული მოითქვა, ამ ბოლო  
დროს უკეთ ცხოვრობს.



მართლაც, აქ მარტო დაწესებულებები კი არ შენდებოდა, ხალხს შეძლება აქვს და თავისი დანაზოგით ბევრი ხალხი ბინას იკებს. ჰო, თავისი პატიოსანი შრომით. თუმცა ზოგიერთი...

ამ გახსენებაზე ერთი ჩემი მეგობრის ამბავს მოგიყვებით.

სოხუმის მახლობლად, სოფლის განაპირას დაიწყეს დიდი სანატორიუმის მშენებლობა. მიზიდეს და მიზიდეს ხე-ტყე, ცემენტი, აგური, ქვა, რკინა, ფიქალი...

მშენებლობის უფროსად ყოფილი მფრინავი დანიშნეს, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ზაქაიძე.

ჯერ საძირკველიც არ ჰქონდათ ჩაყრილი, იქ რამდენჯერმე მივიდა, ქუდი მოიშვლია და დავითს მიესალმა ერთი ჭარმაგი კაცი. ზაქაიძემაც ზრდილობიანად მოუხადა ქუდი და გაშორდა.

აქაოდა, ჩემი სალამი უყურადღებოდ არ დატოვესო, იმ კაცმა უფრო გაახშირა სტუმრობა. დავითს შორიდანვე უხდიდა ქუდს და გამარჯობას რომ ეუბნებოდა, სულ დიმილად დნებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ გაწუხებთ, — უთხრა ერთ დღეს სტუმარმა მშენებლობის უფროსს, — აქვე ვცხოვრობ და დილით რომ გამოვიხედავ, მზეზე ადრე თქვენ დაგინახავთ, მიხარია თქვენი დანახვა, ღმერთმანი. ახლა ჩვენ თითქმის მეზობლები ვართ, თუ რამე დაგჭირდეთ, არ მომერიდოთ. მე სილოვანი მქვია. აქ, სოფელში, ვინაც უნდა ჰკითხოთ, ყველა მიცნობს. მართალია, თქვენსავით დიდი კაცი არა ვარ — დავით ზაქაიძესთანა ღირსე-

ული ადამიანი ორი არ დადის ქვეყნიერების ზურგზე, რომ-  
შიც ისახელეთ თავი და ახლა ამხელა მშენებლობის უფ-  
როსიც ბრძანდებით, მაგრამ თავმდაბლობა დიდი კაცის  
სამკაულია, თუ პატივს დამდებთ და ოჯახში მეწვევით, დი-  
დად გამაბედნიერებთ, სიკვდილამდე საამაყოდ დამრჩება  
ეს ამბავი.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! — მიუგო დავით-  
მა, — იმდენი საქმე მაქვს, რომ...

— საქმეს ქვეყანაზე რა გამოლევს? ახლა თქვენ მთელი  
ჩვენი სოფლის საპატიო სტუმარი ბრძანდებით, მაგრამ  
რატომღაც გვერიდებით. ასე არ ვარგა, შვილო! გატყეხეთ  
ნავსი და ერთხელ მაინც მეწვეიეთ ოჯახში! ჩვენებური პურ-  
მარილიც გასინჯეთ, პირს კი არ დაგწვავთ! სტუმარი  
ღვთისაა! გვეცით პატივი! შორს კი არ ვცხოვრობ, ეგერ,  
ლურჯუშუშაბანდიანი სახლი რომ მოჩანს, ის არის ჩემი.

— დღეს არა მცალია და ხვალ ვნახოთ, — უთხრა და-  
ვითმა.

— კი ბატონო, ხვალ იყოს. ჭური ჩამარხულია მიწაში,  
ვერსად გაგვექცევა.

მეორე დღეს კვლავ დაბარებულივით მიადგა სილოვან-  
ნი მშენებლობის უფროსს.

— ბატონო სილოვან, ისევ ბოდინში უნდა მოგიხადოთ.  
დღესაც იმდენი საქმე გამომიჩნდა, — უარი უთხრა დავით-  
მა, — ხვალ გეწვევით... ჭური ბომ ჩამარხულია მიწაში  
და... სად გაგვექცევა?

— აჰ! ასე არ ივარგებს! ვატყობ, შენ ვერასოდეს მო-  
იცლი, თუ საქმეს ძალით არავინ მოგწყვიტა. დღეს უარი



უკვე აღარ გაგივა! — შინაურულად გაუბა საუბარი სილოვანმა, — მთაში გაზრდილ კაცს ეგ არ გეპატიება. ვიცი იქაური ადათები და მომწონს კიდეც.

— მაინც რომელი?

— აი, კაცი რომ კაცს დაპატიჟებს, უარი არ ეთქმის, პურ-მარილს არ დაუწიხლავს... მერე, რაკი მის ოჯახში პურს გატეხავს, დაუმეგობრდება კიდეც. დავიჯერო, ახლა შენ ამ დიდებულ ადათ-ჩვეულებას უღალატებ? ნუ გამაწბილებ, შენი ჭირიმე! შინ მარტო ნუ გამიშვებ, ჩვენები ალბათ უკვე სუფრას შლიან... წამომყვივი, პურ-მარილის მაღლიც გწყალობდეს!

დავითი ახლა ქეიფობის გუნებაზე სულაც არ იყო, დროც არ ჰქონდა, მაგრამ სტუმარმასპინძლობის მამაპაპურ ჩვეულებას ვერ გადაუხვია, სილოვანს პურ-მარილის მაღლი არ შეუგინა და მასპინძლის პატიჟით თავგაბეზრებული კაცი ლურჯშუშაბანდიანი სახლისკენ მიმავალ გზას უგულოდ გაუყვა.

სილოვანი ისე შეუძღვა სტუმარს ეზოში, გეგონებოდათ, ცეკვავსო. მკლავების გაშლა და დაკვანწვალა აკლდა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ოჯახში!

სტუმარს ჭიშკართანვე მიეგებნენ სილოვანის მეუღლე და ქალიშვილი.

უხაროდ, წამდაუწუმ იღიმებოდნენ.

ქალიშვილი კარგი თვალ-ტანადი იყო და ღიმილი უფრო ალამაზებდა.

თვალის დახამხამებაში გაიშალა სუფრა. მაგიდაზე უცებ გაჩნდა საცივი და ყველჩართული ღომი, მწვადი და



მწვანელი. ქალიშვილმა ცივ-ცივი ღვინო ლამაზი სურბებით მოარბენინა.

ნასადილევს ძვირფასი სტუმარი მასპინძელმა მშენებლოების უბნამდე მიაცილა:

— დიდად გმადლობთ, ბატონო დავით, ამხელა კაცი ჩემს პატარა ოჯახში რომ მობრძანდით და გემრიელად დაპურმარილეთ. ამიერიდან, იმედია, დროს გამონახავთ თუ არა, შინაურულად მეწვევით. გზა იცით და ყველაფერი. თქვენს სახლად იგულეთ ჩემი კარ-მიდამო. რაკი სილოვანის კერიასთან პური გატეხეთ, უცხო აღარა ხართ. პურ-მარილი მტრებსაც აახლოვებს, ჩვენ კი ერთმანეთისთვის სიკეთის მეტი რა გაგვიკეთებია? თქვენი სტუმრობა ყოველთვის გაგვიხარდება, მამის სული არ წამიწყდება. მიყვარს მთაში გაზრდილი კაცი, წესიც კარგი აქვს და ადათიც. მთიელი კაცის დაწიხლული პურ-მარილი არ მინახავს ჯერ. იცით, რატომ? პურ-მარილის მაღლი ლოცვასავით წმინდაა, აბა!

— გმადლობთ, ბატონო სილოვან, ყველაფრისათვის გმადლობთ! — დავითი დაემშვიდობა მასპინძელს და მართო რომ დარჩა, შვევით ამოისუნთქა: ღმერთო, ეს კაცი ძლივს არ მოვიშორეო!

მაგრამ სილოვანი არც ისე ადვილად მოსაშორებელი კაცი გახლდათ. ის დღე იყო და ის, მშენებლობაზე სიარულს უფრო მოუხშირა. სულ კუდში დასდევდა დავითს.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო? ნამეტანი მიხარია, კარგად რომ ხართ. ჩემმა პატარა ოჯახმა დიდი სალაში დამაზარა. ცოტა გულიც კი სწყდებათ: რატომ არ გვნახულობსო? მართალია, მაშინ საკადრისი პატივი ვერ

ვეციტ, მაგრამ... მოსაძულეებელი ხალხი არა ვართო. გვე-  
წვიეთ, ბატონო, ჩამოჯექით კაკლისქვეშ, დაისვენეთ  
ჩრდილში, დალიეთ ორიოდე ჭიქა ღვინო და ვილაპარაკო-  
შინაურულად. ამ წუთისოფელს მეტს რას გამოვრჩებით?  
მიფრინავს, ეე!

სილოვანი თანდათან გაუშინაურდა მშენებლობის უფ-  
როსს და ძველი მეგობარივით დაუწყო მასლაათი. ზოგჯერ  
ზედმეტ მამაშვილურ მზრუნველობასაც კი იჩენდა:

— დავით ბატონო, ამდენს ნუ მუშაობთ! დაიღლებით!  
შეინახეთ ჯან-ღონე, საცოლე კაცი ხართ და...

აბეზარი კაცი მშენებლობის უფროსს მუშაობაში ხელს  
უშლიდა, მაგრამ რა ექნა დავითს? რაკი სილოვანის ოჯახ-  
ში პური ჰქონდა გატეხილი, მამაპაპურ ადათ-წესს იცავდა  
და თავაზიანად ეპყრობოდა...

აი, დავითს მშენებლობის კანტორისკენ მიეჩქარება.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სილოვანმა გზა გადაუჭ-  
რა:

— დავით, გადაუდებელი საქმე მაქვს შენთან.

— გადაუდებელი საქმე? მაინც რა საქმე?

— ძალიან მნიშვნელოვანი ჩემთვისაც და შენთვისაც.

— აღარ იტყვი?

მარტო იყვნენ, დავითი რატომღაც სილოვანმა მაინც  
განზე გაიყვანა და ისე აჩურჩულდა, გეგონებოდათ. რალაც  
დიდ საიდუმლოს ანდობსო:

— ეთერი მინდა გავათხოვო, ჩემი ეთერიკო... ეგ ერთი  
გოგო მყავს, მეტი კი არა. ჰოდა, დიდი სახლი უნდა ავუშე-  
ნო, სამსართულიანი, ლამაზი და კოხტა. ისეთი, ყველა სა-  
ცოლე ბიჭს ზედ დარჩეს თვალი, მიმიხვდი?

— აჰაა! — კარგად გიფიქრია! — უთხრა დავითმა, ალბათ სასიძოვს გეყოლება შერჩეული?

— მზეთუნახავის სასახლე რომ აშენდება, სასიძოვს ვად გამოჩნდება. — სილოვანს ორჭოფულად გაელიმა და დავითს დაკვირვებით ახედ-დახედა:— ჩვენში დარჩეს და... რალა შორს წავიდე? აგერ არა ხარ? მთაში გაზრდილ კაცს, მით უმეტეს, გმირს, ჩემი ეთერიკო, ვიცი, არ დაიწუნებს. პოდა, იმ სრა-სასახლესაც შენ დაეპატრონები. აბა! იცხოვრებ მეფესავით! სხვისთვის ნამდვილად ვერ გავიმეტებ ჩემს გოგოს, ენაცვალოს მამა. მაგარი ბიჭი ხარ, მაგარი! — სილოვანმა დავითს მუჯლუგუნი გაჰკრა, აქაოდა, უკვე შინაურები ვართო.

სილოვანის ლაყბობამ გააბრაზა დავითი, მაგრამ მამის ტოლ კაცს საყვედურიც კი არ აკადრა. მაშინდელი პურ-მარილი უბორკავდა ენას.

სილოვანი კი თავისას არ იშლიდა:

— ნუ გეშინია!.. ქვასა და ქვიშას იმდენს მოვიტან, რომ... ქვიშის მეტი რა ყრია აგერ, ზღვის პირას... ქვიშაა ღმერთივით. ოლონდ, ჩემო დავით, დანარჩენი მასალა შენ უნდა მომაშველო. ბევრი კი არაფერი: ხე-ტყე, ცემენტი, რკინა, ფიქალი და სხვა ამისთანა რამე-რუმეები. მე არა მაქვს, თორემ, მამაჩემის სული არ წამიწყდება, არ შეგაწუხებდი. კაცმა რომ თქვას, მერე ისევ შენ არ დაგრჩება? არ დაგეკარგება, პურ-მარილის მადლმა!

დავითს გაელიმა.

— შენი გაინალდე და უკვე გიხარია, სიძევ? — გაუღიმა სილოვანმაც.

— იცი, რას გეტყვი? — ღიმილი მოსხიბა დავითმა. —

უკრაინელები ამბობენ: ქორწილის სუფრას შლიდნენ, პატარძალი კი უარზე იდგაო. შენ რომ ჭრი და შენვე კურცხვ, ცოტა სხვასაც დაეკითხე. მე ის მიკვირს, სამსართულიანი სახლის აშენებას როგორ ბედავ, როცა მასალა არსად ჩანს? ვისი იმედი გაქვს?

სილოვანმა მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და დავითს ყურში ჩასჩურჩულა:

— აკი გითხარი, შენი-მეთქი!

— კი, მაგრამ, მე სადა მაქვს მასალა?

— შენ რომ აქ მასალა გაქვს, მეორე სოხუმს ააშენებს.

— აჰა! მივხვდი, მივხვდი!..

დავითმა გაიფიქრა: ამ გაიძვერას ახლავე კინწისკვრით გავაგდებ აქედანო, მაგრამ რისხვა უმაღვე დაიოკა. გულში გაივლო:

„მამაჩემის ტოლი კაცია... ესეც რომ არ იყოს, მაგის სუფრაზე მიპურმარილებია და... უხერხულია, უხეშად რომ მოვექცე. კაცი უნდა დაუკვირდეს, ყველას კი არ უნდა გაუყადროს თავი!“

ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე სილოვანს მშვიდად შეხედა და წყნარად უთხრა:

— ეს მასალა სახელმწიფოსია, ჩემი კი არა... მე...

სილოვანმა სიტყვა გააწყვეტინა:

— იიჰ, მერე რა, შე კაი კაცო? აქ იმდენია, ცოტ-ცოტა რომ გამოაკლო, ეშმაკიც ვერაფერს მიხვდება, პურ-მარლის მადლმა! ნუ დაწიხლავ მამა-პაპის ძველ ადათ-წესსა და ამ უბრალო რამისთვის ჩვენს მეგობრობას ნუ მოშლი! გეხვეწები ძალიან, გევედრები! ნუ გეშინია, არ გაზარალებ.

დავითმა თავი მოიფხანა. საგონებელში ჩავარდა. რა-



ლაც უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ რა? ისევ იმდღევანდელი  
პურ-მარილი ახრჩობდა.

სუფრის მადლს ვერ შეუგინებს მასპინძელს, ვერა...  
და, სხვა რა იღონოს? ქურდობა დაიწყოს?.. ჰმ!..

— სილოვან, იცი, რას გეტყვი? დღეს არა მცალია,  
ხვალ ამ დროს მოდი.

— რომ დაგვიანდეს?

— მანამდე დავფიქრდები და მოგიხერხებ რაღაცას.

სილოვანი ცას ეწია სიხარულით:

— მომიხერხებ? ასეც ვიცოდი! კეთილი, ახლა თავს  
აღარ შეგაწყენ, ხვალ ამ დროს კი აქა ვარ, იცოდე! სიტყვა  
სიტყვაა, ვაჟაკის სიტყვა, მოგეხსენება, ფიცზე მტკიცება.

— რა თქმა უნდა!

სილოვანი შინისკენ სულ ცეკვა-ცეკვით წავიდა.

ქმრის სიხარული ცოლსაც გადაედო. მთელი ღამე თვა-  
ლი არ მოუხუჭავთ, ოცნებობდნენ.

— გმირი სიძე გვეყოლება, მტერს თვალები დაუდგე-  
ბა, — წამდაუწუმ იძახოდა სილოვანი.

— სამსართულიანი სახლის დიდ აივანზე რომ გადავ-  
დგები, დედა, რა დასანახავი ვიქნები! დიდი კაცების ცო-  
ლები გულზე გასკდებიან! ახიც იქნება!.. ეთერისთანა  
მზითვიან ქალს გმირი კი არა, მინისტრიც არ დაიწუნებს.  
დავითი არ ითხოვს და... კაცი კი არ გამწყდარა ქვეყანაზე.  
ჩემს მზეთუნახავ გოგოს უკეთეს ბედსა ვწევ. ამისთანა  
მზითვიან ქალს...

მეორე დღეს სილოვანი ზუსტად დანიშნულ დროს გა-  
მოეჭიმა მშენებლობის უფროსს:

— მოვედი, დავით!



— ოო, ძალიან გამახარე. გამომყევი!

მშენებლობის უფროსმა სილოვანი მანქანაში ჩასვა და მდიდრულ რესტორანში წაიყვანა. რესტორანში კაცის ქა-  
ჭანება არ იყო.

— აქ რა გვინდა? — გაუკვირდა სილოვანს.

— დაჯექი! ხომ ხედავ, რა სიმყუდროვეა? ჩვენც ეს გვინდა. მარტო ვიქნებით და... ჰაა, დაჯექი, დაჯექი! აქეთ- იქით რას იყურები? ცოტას წავისადილებთ, ორიოდე ჭი- ქა ღვინოსაც გადაგვკრავთ და საქმეზეც მოვითათბირებთ, ასე არ ჯობია?

— ჰოო, თუ საქმეზე მოსათათბირებლად შემომიყვანე, კი ბატონო, მიყვარს სუფრაზე მასლაათი, უფრო ტკბილია რატომღაც... ოღონდ, აქ კაი ღვინო თუ აქვთ?

— ჩვენთვის კარგ ღვინოს კი არა, ჩიტის რძეს გააჩე- ნენ.

დავითმა ოფიცინტს მოუხმო და რაღაც წასჩურჩულა. მალე სუფრაზე გაჩნდა საცივი, სულგუნი, მწვანილი, ღომი, მწვადი და, რა თქმა უნდა, ცივი ღვინო. მაგიდა აიგ- სო ხორავით.

— აბა, მიირთვი, სილოვან! — დავითმა სტუმარს სა- ცივი მიაწოდა.

გასინჯეს. ყველაფერი გემრიელი იყო. აქაური ღვინო სილოვანის ღვინოს კიდევ სჯობდა.

სილოვანს სმა-ჭამა ფრიად უყვარდა და ახლაც მადი- ანად მოუღბინა სუფრას.

კარგა ხანს ისხდნენ. მართლაც, ვაჟკაცურად იპურმა- რილეს, შეთვრენ კიდევ, იმასლაათეს იქითურზე, აქეთურ- ზე, საქმეზე კი კრინტიც არ დაუძრავთ.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

დავითი შესაფერის დროს ეძებდა.

სილოვანს საქმე უკვე მოთავებულად მიაჩნდა. ორიოდე პატარა რამესაც დავაზუსტებთ და... ყველაფერი მოგვარებული გვექნებაო. ჰო, ასე ფიქრობდა ტკბილი ოცნებითა და უფრო ტკბილი სადღეგრძელოებით გაბრუებული კაცი. საქმეს ბევრი ლაქლაქი არ უყვარს, დალიე ღმერთის საკადრისი ღვინო და იყავი შენთვისო.

ჰოდა, სილოვანიც სვამდა. ხოლო, რაკი სვამდა, დათვრა კიდევ. მთვრალს ლაპარაკის საღერღელი აეშალა, „თანამოინახეს“ სიტყვას პირიდან აცლიდა:

— დათიკო, ძალიან მომწონხარ! ღმერთივით ვაჟკაცი ხარ, ღმერთივით! უზენაესმა უზენაესურად გაცოცხლოს და აგამალოს! გენაცვალე სულში! — სილოვანმა დავითს ბეჭზე ძმაკაცურად შემოჰკრა ხელი. — შენ არ დაიკარგები ამ ქვეყანაზე. შენც იცხოვრებ და სხვასაც აცხოვრებ. მე და შენ, თუ მოვინდომებთ, დიდ საქმეებს გავვაჯავთ, ძალიან დიდ საქმეებს. ჩარხი ჩვენს ხელში არ არის? ვატრიალოთ, როგორც გვინდა. ერთი სამსართულიანი სახლის შენება რა ჩემი ფეხებია!.. კარგი ვაჟკაცის სახელი გაქვს და იმიტომაც მინდებარ სიძედ, აბა, ვილაცა ვინდარას ხომ არ შემოგუშვებ ჩემს პატიოსან ოჯახში? მოდი, გაკოცო!.. დღეიდან შენ ჩემი ნამდვილი სიძე ხარ!.. ნუ მერიდები!.. ჰა, მოდი, გაკოცო! სიძე არა ხარ?

— სიძე?.. ჰმ!.. — დავითს ცალყბად გაეცინა.

— რა გაცინებს, ბიჭო? — ჩაჰკითხა დაეჭვებულმა სილოვანმა.

— ისე, უბრალოდ... რომ დაიქინე, სიძე და სიძეო, ვრთი ჩინური ანდაზა მომაგონდა, ძველისძველი...



— მაინც რომელი? — დაინტერესდა სილოვანი.

— გაიძვერა კაცის შვილი შესაძლოა, ოდესმე პატიოსნების გზას დაადგეს, გაიძვერა კაცის სიძე კი — არასოდესო.

სილოვანი დაიჯღანა, თითქოს ძმარი დააღვეინესო. აშკარად შეეტყყო, არ მოეწონა ანდაზა, ისიც ამ ტკბილ სუფრაზე თქმული, მაგრამ კამათის გამწვავებას მოერიდა და თავშეკავებულად წაიბურღლუნა:

— შენი ჭირიმე, თავი დაანებე რაღაც სულელურ, ძველისძველ ანდაზას! რამდენ რამეს ჩინელები იბრიტინებენ!.. ეგ ანდაზა კუჭს ვერ გაგიძღობს, სახლს ხომ ვერ აგიშენებს და ვერა. უმჯობესია, საქმეზე ვილაპარაკოთ. როდისთვის ფიქრობ მასალის მოცემას? ისიც ახლავე გავარკვიოთ, რამდენს გაიმეტებ, სად და როგორ? დღისით წავიღო თუ ღამით? ამ საქმეს ნეკა თითით ვერ ასწევ, ჩარხს გამოცდილი ხელით უნდა დატრიალება. არა, შენ მშვიდად იყავი, ნუ აღელდები! არ ვარგა ნერვიულობა. ოღონდ მასალის წაღების ნებართვა მომეცი და დანარჩენი მე ვიცი. ყველაფერს ისე მოვაგვარებ, ვერც მზე დაინახავს რამეს, ვერც მთვარე, თხუნელა ხომ სულ ვერ დაინახავს. ყაბულსა ხარ? მაძლევ მასალას თუ არა?

— ხომ მოგეცი, სილოვან, კიდევ მთხოვ? — დინჯად მიუგო დავითმა.

— როდის, კაცო? სად? — გაკვირვებისაგან პირი ყურებამდე გაეხა სილოვანს.

— ღღეს, აგერ! — მტკიცედ უპასუხა დავითმა და

სუფრას გადახედა: — ეს ფიქალია! — სულგუნიანი თეფში  
გააცურა სილოვანისკენ. — ეს ხე-ტყეა! — მწვანელი მის-  
წია გვერდზე. — ეს რკინაა! — ჭიქები ააწკარუნდა. — ეს ც-  
ცემენტია! — მწვადიანი თეფში ასწია მაღლა. — სხვა რა-  
ღა გინდა? ყველაფერ ამას ერთად პქვია პურ-მარილი. ეს  
მმართებდა შენი და, ა, ბატონო, ბარი-ბარსა ვართ ახლა.  
თუ რამე დაგაკლდა, ნუ მომერიდები! მითხარი და უმაღვე  
მოვატანინებ, პურ-მარილის მაღლმა და მზემ!

სილოვანი აცახცახდა და ცივმა ოფლმა დაასხა. მოეჩ-  
ვენა, რომ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და სადღაც უკუნეთ  
უფსკრულში გარღება, ხელის მოსაჭიდი ირგვლივ არაფე-  
რი ჩანს, ხავსიც კი. თვალები გადმოკაკლა და გაშტერდა,  
მერე მაგრად დახუჭა. ახლა სილოვანი არც თვალს ენდო-  
ბოდა, არც — ყურს. არ უნდოდა დაეჯერებინა, რაც და-  
ინახა და გაიგონა. ერთი მელიასი არ იყოს, თავი ცუდ სიზ-  
მარში ეგონა.

— რაღას უდგახარ აქ? ახლა წადი შინ! — მკაცრად  
უთხრა დავითმა. — წადი და ამიერიდან აღარ გნახოს ჩემ-  
მა თვალებმა! მე სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვეულებაც  
კარგად ვიცი და პურ-მარილის ყადრიც. მაგრამ ვინც ამას  
უკულმართად გამოიყენებს, არ დავინდობ! იცოდეს, ის ჩე-  
მი მტერია და მიფრთხილდეს! მომშორდი ახლა!

სილოვანი ფეხებს ძლივს მიათრევდა.

არა, მთვრალი აღარ იყო, ღვინო უცებ გამოუნელდა.

ღელეზე რომ გადადიოდა, ნაბიჯი ვერ მოზომა და ლო-  
რების ნაწუმბავებ გუბეში მოადინა ზღართანი. გუბე უფ-  
რო დიდი რომ ყოფილიყო, ჩაიხრჩობოდა კიდევ.

რა მკითხეთ, ბატონო? სილოვანი რა გვარიანო? ამას რა



მნიშვნელობა აქვს? სილოვანისთანა კაცი ერთი და  
 კი არ დადის ქვეყანაზე! ჰო, ჯერჯერობით დადის და და-  
 ღიღინებს კიდევ... მაგრამ ისე ბრუნავს ეს წუთისოფელი,  
 სილოვანისთანა ხალხი დიდხანს ვერ იღიღინებს, მალე არც  
 ერთი აღარ დარჩება.

კი, ბატონო, კი, გეთანხმებით: სილოვანის ამბავი სასა-  
 ცილო იქნებოდა, სატირელი რომ არ იყოს! თუმცა, ტირი-  
 ლი და სიცილი ერთმანეთისაგან ვინ დააშორა?

ზღვა ისევ ლივლივებს და ქალაქი ისე იზრდება, გარე-  
 უბანში გავიდა უკვე.

ზღვა და ცა ერთმანეთს სილურჯეს ახარბებენ.

## კ ა ს ა

**მ**ოხუცმა აფხაზებმა ცხენებზე თუ დაიწყეს საუბარი, ჭამა-სმაც დაავიწყდებათ და ძილიც. ამ სალამოსაც ასე მოხდა.

მოსაუბრეებმა გაიხსენეს მრავალი სახელოვანი ცხენი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს უბრალო ჯირითისა თუ ნამდვილი შეჯიბრის დროს. როცა სიტყვა ჩამოვარდა იმ ცხენთა ზნე-ხასიათსა თუ ჩვეულებებზე, რომლებიც ხალხმა განსაკუთრებით შეიყვარა, ას ათი წლის შარმათ არსლანმა დაფიქრებით სადღაც შორს გაიხედა და ჩაილაპარაკა:

— ეჰ, უცნაურია წუთისოფლის ბორბალი, ვერ გაიგებ, ვის რა ბედს უმზადებს. ხშირად ასე ხდება: კაცი დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ მოკვდება თუ არა, მისი ცხედარი და სახელი ერთად იმარხება, ცისქვეშ აღარაფერი რჩება, რაც მოგვაგონებს ქვეყანაზე ამ კაცის ყოფნას. ზოგის წუთისოფელი ერთობ მოკლეა, მაგრამ ისეთ საქმეს გააკეთებს

ხოლმე, მისი ამბავი, როგორც ჯადოსნური ზღაპარი, თაობაობაში გადადის.

მოხუცმა ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

— ამ მხრივ ცხენთა ბედი ხშირად კაცთა ბედსა ჰგავს. მე ერთი ცხენი მინახავს, მართლაც რომ გმირი იყო.

— ალბათ ჰასა მოგაგონდა, არსლან, — უთხრა ერთმა მოხუცმა.

ყველანი გამოცოცხლდნენ.

— ეჰე, ჰასა!.. მისი მოგონება მართლაც ღირს. არსლან, მოგვიყვი რამე იმ დალოცვილ ცხენზე. ჩვენ მხოლოდ გვსმენია ჰასას ამბები, შენ კი საკუთარი თვალით გინახავს.

— მინახავს და როგორ! მართლაც ღვთისნიერი რამე იყო! — მოხუცს თვალეები აუციანდა, — ჩემს სიცოცხლეში ასეთი ლამაზი ცხენი არსად შემხვედრია. გრძელი, ხშირი და ოქროსფერი ფაფარი ჰქონდა. თავს ამაყად რომ ასწევდა და ყელს მოიღერებდა, დანახვად ღირდა. მოკლე და თხელი ყურები ყოველთვის უთრთოდა, ფართო და მაღალი მკერდი მუდამ აუდიოდ-ჩაუდიოდა, როგორც მძლე საბერველი, ხოლო მშვენიერი და ბრწყინვალე კუდი ოქროში ამოვლებულ ფუნჯს მიუგავდა. მაგარი, მოხდენილი და წვრილად გამონაკვთული ფეხები. მის ტანს უფრო ალამაზებდა. შეხედავდი და მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეს ცხენი მსუბუქიც იყო და ჩქარიც, როგორც თავაწყვეტილი გრიგალი. ჰო, სწორედ გრიგალ-ცხენი გახლდათ, გეფიცებით, ნამდვილი გრიგალ-ცხენი... ყველაფერი რომ დამავიწყდეს ამ ქვეყანაზე, მისი თვალეები არ დამავიწყდება. შუბლქვეშ ორი პატარა მზე ენთო. ხშირად მიფიქრია,



რომ ჩემს წინ უბრალო ცხენი კი არა, ზღაპრული  
მაშობს-მეთქი.

— ალბათ აფშდას ჯიშისა იყო! — წამოიძახა თოვლ-  
წვერა ლაგუსტანმა.

არსლანმა თავი გააქნია და წარბი შეიკრა.

— სცდები, ლაგუსტან! იმ დროს ეს ჯიში ჩვენში უკ-  
ვე გადაშენებული იყო. აფშდას ჯიშის ცხენთაგან აფხაზე-  
თის მიწაზე იმ ქამად ერთილა დადიოდა, მაგრამ იმაზე მე-  
რე მოგახსენებთ. ჰასას პატრონი გურძაულელი გლეხი  
სმირ შახანს გახლდათ. ჯერ კიდევ კვიცი იყო ჰასა, როცა  
იგი შახანს სიძემ სპარსელმა იახიამ აჩუქა, სიძე მდიდარ  
ვაჭრად ითვლებოდა, საკუთარი სახლი ედგა სოხუმში, ამ-  
ბოზენ, კეთილი კაციც იყო და ფრიად უყვარდა თავისი სი-  
მამრიო. სიძეს გაეგო, რომ შახანს კარგი ცხენი ამ ქვეყანა-  
ზე ყველაფერს ერჩია და, რაკი ხშირად მოგზაურობდა,  
ჰასა ირანიდან საგანგებოდ წამოიყვანა სიმამრისათვის  
მისართმევად. შახანმა ფრთები შეისხა სიხარულით, ასეთი  
საჩუქარი რომ მიიღო და კვიცს უბრალოდ ცივ ნიავს არ  
აკარებდა, თვითონ უვლიდა, ზრდიდა და შვილივით შეიყ-  
ვარა. როცა ჰასა ცხენი გახდა, ჰერიო, შეუძახა და გაუშვა  
საასპარეზოდ. ვინც იმ დღეთა მომსწრეა, ალბათ ახსოვს,  
რომ ჩვენში გამართულ ყოველწლიურ ჯირითებზე პირვე-  
ლი ჯილდო თორმეტჯერ ზედიზედ ჰასამ მიიღო. აფხაზეთ-  
ში ჰასასთან შესაჯიბრებლად ცხენები მთების გადაღმიდან  
მოჰყავდათ. მაგრამ ჩვენი ჰასა ვერც ერთმა ვერ დაჯაბნა.  
განა შეიძლება გრიგალს რამემ გაუსწროს?! ხოლო ჰასა,  
როგორც გითხარით, ნამდვილი გრიგალ-ცხენი გახლდათ.

აი, გავიდა თორმეტი წელი და ჰასას სიბერე შეეპარა.



ამისდა მიუხედავად, ხუთი წელიწადი ზედიზედ კვლავ მი-  
 ილო პირველი ჯილდო, რადგან ვერც ერთმა მოჯიბრებ-  
 ცხენმა ვერ აჯობა. იმ ცხენებს ჰასასებური შემართება და  
 ამტანიანობა აკლდათ, ღირსეული მეტოქე მხოლოდ მეექ-  
 ვსე წელს ვამოუჩინდა. ეს იყო ახალგაზრდა ცხენი აფშმა.  
 ხალხმა მას ეს საპატიო სახელი იმიტომ უწოდა, რომ ამ  
 ჯიშისა და სისხლის ცხენთაგან აფხაზეთში მხოლოდ ის  
 გადარჩა.

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა თავადებმა განიზრახეს,  
 თავიანთი მიწებიდან მოსახლეობა აეყარათ, გაეუდაბურე-  
 ბინათ და ისე გაეყიდათ, ან იჯარით მიეცათ გადამთიელოთა-  
 თვის. მართლაც, აჰყარეს აფხაზები და მოტყუებით თურ-  
 ქეთში გადაასახლეს მახაჯირებად. აფშმას ჯიშის ყველა  
 ცხენი, კვიცი, ფაშატი თუ ულაყი, თურქმა მიმხედურებმა  
 ხალხთან ერთად თავიანთ მიწაზე გადარეკეს. მხოლოდ ერ-  
 თი ჭაკი კვიცი შემთხვევით მთის ღრმა ხეობაში გაიქცა,  
 გზა აებნა და დარჩა მშობლიურ მხარეში. იმ გზააბნეულს  
 მალე მკვირცხლი და ლამაზი ულაყი გაუჩნდა. სამი წლის  
 რომ გახდა, სოხუმში მოწყობილ ჯირითში მიაღებინეს მო-  
 ნაწილეობა და ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა, შორს,  
 ფრიად შორს. ვინც მისი გამარჯვება იმ დღეს თავისი თვა-  
 ლით ნახა, ან ვინც შემდეგ გაიგო, გაკვირვებულნი იყვნენ,  
 არა სჯეროდათ, ამ ცხენმა, აქამდე უცნობმა, ახალგაზრდამ  
 და შეჯიბრში გამოუცდელმა, საასპარეზო გზა ჰასაზე  
 სწრაფად როგორ გაირბინაო. არ სჯეროდათ, მაგრამ სი-  
 მართლეს ვინ გაექცევა. ბოლოს ყველამ ირწმუნა და ამის  
 შემდეგ გუმისთიდან ჩამოყვანილი აფშმა გახდა ყველას

საყვარელი და საამაყო ცხენი. მისი დიდების ჩრდილში მო-  
ექცა ჰასას სახელიც.



ჩვენში ხშირად ამბობენ: ზოგი ცხენი ზოგიერთ კაცზე უფრო გულნათელიაო. იგი ავ ხრიკებს არ აწყობს მათ წინააღმდეგ, ვინც კეთილშობილურად გაიმარჯვებს და მასზე უკეთეს სახელს მოიხვეჭს. ჰასამ ეს ამბავი ჭეშმარიტად დაამტკიცა. უსაქმურობით თავმობეზრებული და დანაღვლიანებული ძველი მეგობარი შახანმა გასახალისებლად ერთხელ ჯირითის საყურებლად წაიყვანა. იმ დღეს აფშამ კვლავ გაიმარჯვა. ჰასამ რომ ეს დაინახა, თვალები ძველებურად აუკაშკაშდა, ახალგაზრდა, მაგრამ ღირსეულ მეტოქეს მისალმების ნიშნად სასიამოვნოდ შესჭიხვინა, ეტყობოდა, უკვე დავიწყებოდა, ამ ცხენმა სახელი რომ წაართვა.

— არსლან, შენ თქვი, ჰასა გმირი იყო, მის გმირობაზე კი არაფერი გითქვამს, — უსაყვედურა მთხრობელს ერთმა მოხუცმა.

— მე ჯერ არ დამიმთავრებია, — მოუჭრა მთხრობელმა. — მოთმინება იქონიე და ბოლომდე მომისმინე!

არსლანი მცირე ხნით ჩაფიქრდა, კვლავ სადღაც შორს გაიხედა და განაგრძო:

— მეორე წელს ჩვენთან საჯირითოდ საუკეთესო ცხენები ჩამოიყვანეს ჯიქეთელებმა, ყაბარდოელებმა, ყარაჩელებმა და მეგრელებმა. ჩერქეზეთის თავადებმა ათაყუყუოებმაც ჩამოაგელვეს თავიანთი რაშები. ჯირითი ლიხნში უნდა დაწყებულიყო და დალ-აშტაში გათავებულიყო. ცხენებს ას კალომეტრზე მეტი უნდა გაერბინათ. აი აქ გამოჩნდებოდა მათი სისწრაფეცა და ამტანიანობაც. ამ ჯი-

რითის მოლოდინში შახანი დღე და ღამე სულ ჰასას დას-  
ტრიალებდა, უვლიდა და წვრთნიდა.

იმ დროს სპარსელ იახიასთან სტუმრად იყო მისი ირანელი ნათესავი ბიჭი — სამედი. იგი, თვით იახიას თქმით, მთელ ირანში იყო სახელგანთქმული, როგორც გულფიცხი და მარჯვე ცხენოსანი. სამედმა რომ გაიგო, დიდი ჯირითი ეწყობაო, აღარ მოასვენა მასპინძელი, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა დღენიდაც, ჰასაზე მე შეეჯდებოო, სთხოვე შენს სიმამრს, ამ ერთხელ დამითმოსო. იახიამ ხათრი ვერ გაუტეხა სტუმარს და მიადგა სიმამრს თხოვნით. სიმამრმა ერთხანს იყოყმანა, ბოლოს მაინც დაყაბულდა.

ჰასამ, თითქოს რაღაც ავი იგრძნოო, პირველად ახლოს არ გაიკარა თავისი თანამემამულე, სამედის და ჰასას დავაში ჩაერია თვითონ შახანი, ცხენს მიუალერსა და ისე შესვა ზედ ბიჭი. მოდავენი ჯირითის წინა დღეებში დამეგობრდნენ. პო, შახანის ფიქრით დამეგობრდნენ, მაგრამ რა იცოდა მაშინ შახანმა, თუ რა ბედი და განსაცდელი ელოდა მის საყვარელ ცხენს ამ უკანასკნელი გაჯირითების დროს!

აი, დაიწყო ჯირითი. ცხენთა ნალებმა ვარსკვლავები დაყარეს გზაზე. წინ გაიჭრა ჰასა. გაიჭრა კი არა, გაფრინდა. როცა ფაცხირიდან გავიდნენ და ცაბალის აღმართს აუყვნენ, სამედმა რატომღაც აღვირი თავისკენ მოქაჩა, აიძულა ცხენი, ნაბიჯი შეემოკლებინა. ჰასას ეს ალბათ არ გაჰკვირვებია, რადგან ამგვარად იქცეოდნენ ხშირად სხვა მისი მხედრებიც, რათა ცხენს ძალა გრძელი გზისთვის შეენახა, ბოლომდე არც გული დაღლოდა და არც მუხლებში ჩასდგომოდა წყალი. ჯირითში გამოცდილი იყო ჰასა და ამ გზასაც კარგად იცნობდა, ამიტომ დაჰყვა მხედრის ნე-



ბას და თანდათან შეანელა სვლა. მაგრამ მხედარმა უცებ გზიდან გადაახვევინა და მახლობელ ტყეში შეაჭყნა. ირგვლივ აშრიალდნენ მაღალი ხენი, ცხენმა გაკვირვებაც ვერ მოასწრო, მოულოდნელად წინ გადმოუხტა რამდენიმე ზორბა ტანის ჭაბუკი, რომელთაც პირსახე ჩაბალახებში ჩაემალათ. ისინი უმაღლვე შემოეჯარნენ ჰასას, ჩაავლეს ხელი აღვირ-ლაგამსა და უზანგებში, გააკავეს და სამედი უნაგირიდან ჩამოსვეს. ხოლო თავრეტდასხმული ცხენი ვიდრე გონს მოვიდოდა, იქვე ბერმუხაზე მაგრად მიაბეს.

სპარსელი ბიჭი დატყვევებულ ცხენს ფაფარზე ალერსით ხელს უსვამდა და რაღაცას ემუდარებოდა, ჩაბალახოსნები კი ბერმუხის ჩრდილში მშვიდად წაგორდნენ და ჩუმი მასლალი გააბეს.

ცხენის მგრძნობიარე გულმა თავიდანვე შეიძულა სამედი, ახლა კი ისე შეხედა, აშკარად ეტყობოდა, ეს სიძულვილი გაუასკეცდა. მას ყოველთვის ეალერსებოდნენ, ეფერებოდნენ, ზრუნვას არ აკლებდნენ, ზოგჯერ სამართლიანად კიდევაც უწყურებოდნენ. მაგრამ ასე კი არასოდეს მოქცევიან. სპარსელი ბიჭის ახლანდელი ალერსი იმ ძველ ალერსს არ ჰგავდა. მასში რაღაც ბოროტება, სიავე და სიმკაცრე იმალებოდა. აქ რაღაც ისეთი იყო, რაც ნამდვილად ადამიანისთვის შეუფერებელია, ღირსების დამცემია.

ჰასა ერთ ხანს ირგვლივ ისე იყურებოდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, წინა ფეხებს ხშირად ინაცვლებდა და ნიწას ისე ურტყამდა, გეგონებოდათ, ვიღაცას ემუქრებო, ყურები უთრთოდა და სპარსელ ბიჭს გაალმასებული თვალებით ჭამდა.

მაგრამ, აი, მის ყურამდეც მოაღწია შარაგზაზე ნალთა



ჭახა-ჭუხმა. მიხვდა, რომ მეტოქეებმა გაუსწრეს და... თავისი გულის განგაში მძლე ჭიხვინით ამცნო ცასა და ქვეყანას, მერე მოქნილი ტანი შეათამაშ-შეატოკა, ძალუმად გაჰკრა აღვირს, რითაც ბერმუხაზე იყო მიბმული, მაგრამ ვერ გაწყვიტა, მხოლოდ ლაში შეაჭრა ლაგამზე. ჩაბალახოსნებმა ხელები აასავსავეს, წამოცვივდნენ და სამედს ყვირილით მისცვივდნენ. ცხენმა მალე გაიგო, რასაც ნიშნავდა ყოველივე ეს. სპარსელმა ბიჭმა სახრე დაუშინა ურჩ ცხენს. ჰასასთვის ასეთი შეურაცხყოფა მის სიცოცხლეში არავის მიუყენებია, ამიტომ ახლა უფრო მძლავრად აჭიხვინდა, თითქოს უნდოდა თავისი ხმა მეცხრე ცამდის აეწვდინა და მთელი აფხაზეთისათვის გაეგონებინა. ამ ჭიხვინმა მეტად გააცოფა ავაზაკები: მივარდნენ ცხენსა და დაუპირეს ჩაბალახით პირის ამოტენა, მაგრამ ჰასა აზრიანიც გახლდათ და მამაციც. მოხერხებულად მოიგერია ბოროტმზრახველნი. დოლისა თუ მარულის დროს მას ბევრჯერ დახვედრია ჩახერგილი გზა, მაგრამ ყოველთვის მამაცურად გადაულახავს. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: რაც უფრო ძნელი და სახიფათო იყო დაბრკოლება, უფრო ვაჟკაცურად და თამამად სძლევდა, ამ დროს უფრო ფიცხი ხდებოდა და გულგახელებული მიჯირითობდა. არც ახლა აპირებდა უკან დახევას. ჰასას მიხვედრილობა როდი აკლდა. სინდისსა ვფიცავ, დარწმუნებული ვარ, ცხენი თავის მგრძნობიარე გულით უმაღლე მიხვდა, რომ ადამიანები მას აბუჩად იგდებდნენ, სურდათ დაემცირებინათ, საქვეყნოდ შეერცხვინათ, გაემასხარავებინათ. იმიტომ მიაბეს ზერმუხაზე, რომ მისთვის სხვა ცხენებს გაესწროთ და დაეჯაბნათ. ჰო, იგრძნო ცხენმა ეს და ამ გრძნობამ უფრო გა-



ახელა, ძალა მოუმატა. მეტი გაშმაგებით შეებრძოლა უსინდისო კაცუნებს. თავს ამაყად იქნევდა და ცდილობდა ეკბინა, თუ ვინმე მოუახლოვდებოდა. უკანიდან ვინც ეპარებოდა, ან წიხლებით უმასპინძლდებოდა ან კუდის ტყლაშუნით, მძვინვარებდა და მეტი მრისხანებისაგან თვალეზი გადმოცვენაზე ჰქონდა, ლაშებიდან ქაფსა ჰყრიდა. ბოროტმზრახველებს ეგონათ, გაცოფდაო. შეეშინდათ არა მარტო ცოფიანი პირუტყვის კბენის, მისი დორბლის ნაშინშხლებისაც და დამფრთხალნი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ერთმა ავაზაკთაგანმა სამედს სავსე ქისა გადაუგდო და მიაძახა:

— აჰა, მიიღე ეს მეორე ქისაც. მესამეს კი მაშინ ჩაიბარებ, როცა დოღის მსაჯებთან მიხვალ და განაცხადებ, რომ ჰასამ უნაგირიდან გვერდზე მოგისროლა, შუა გზაზე დაგტოვა. თუ ასე არ იტყვი, ჩვენი ბასრი ხანჯლებით მაგ გულის ორად კი არა, ასად გაგიყოფთ, გესმის! წადი ახლა!

სპარსელი ბიჭი ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა, დამფრთხალი დასწვდა ქისას და წალასლასდა დაღ-აშტასაკენ, სადაც დოღი უნდა დამთავრებულიყო. ამასობაში ჰასამ გადალრღნა ლაგამი, აღვირი ბერმუხას შეატოვა, ტყიდან გაიჭრა და გზისაკენ ისარივით გაფრინდა.

ჩაბალახოსნები ცხენს არ გამოჰკიდებიან, უკვე აღარ ადარდებდათ მისი გაქცევა.

— ახლა როგორც ენებოს, ისე დაოთხდეს. — დამცინავად ჩაიქირქილა ერთმა. — ფასკუნჯის ფრთებიც რომ ვამოიბას, მაჩანჩალა ცხენსაც ვეღარ მიეწევა.

მაგრამ ნაადრევი გამოდგა ჩაბალახიანთა სიცილი. მართალია, ჰასას ფასკუნჯის ფრთები არ გამოჰბმია, მაგრამ



არც გულბოროტებს ჰქონდათ შორსმაცქერალი და ყოველი მისმხილველი თვალი, რომ დაენახათ, რაც იმ დღეს მოხდა.

გზაზე გავარდნილი ჰასა ჭეშმარიტად ზღაპრულ რაშს დაემსგავსა. ელვასავით ჩნდებოდა და ქრებოდა სოფლებში. შარაგზაზე ჩამომდგარი ხალხი თვალის მოკვრას ძლივს ასწრებდა, მიქროდა და მიქროდა. სოფლელები გაკვირვებულნი იყვნენ და გაიძახოდნენ, ღმერთის მადლმა, ცას ქვეყანაზე საჯირითოდ ზღაპრული რაში გამოუშვიაო.

ღიახ, იცინოდნენ გულმრუდი ადამიანები ტყეში, მაგრამ ნაადრევი იყო მათი მხიარული სიცილ-ჭირქილი. სულ დაავიწყდათ ერთი ძველი აფხაზური ანდაზა: დიდი უბედურება კაცს ხშირად ღონეს ართმევს, ხოლო უსაზღვრო მრისხანებით აღგზნებულ ადამიანს ძალღონე უასკეცდებო. მართალია, ეს ადამის შვილებზეა თქმული, მაგრამ თურმე ზოგჯერ ასეთი რამ ცხენებსაც ემართებათ. ეს ჭეშმარიტად დაამტკიცა ჰასამ. ტყვეობას თავდაღწეულმა ცხენმა წინ მიმავალი მეტოქენი რომ დალანდა, სისხლი ძარღვებში ცეცხლად აენტო და ამან ძალა გაუასკეცა. ჯერ ერთს გაასწრო, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს... და როცა კონჩახირის კლდეებს მიუახლოვდა, მის წინ მხოლოდ ერთი ცხენილა მიჰქროდა — ჩერქეზი თავადისა.

აქ უკვე გზა კი არ იყო, ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა კლდეებში. ძნელი გახლდათ არა დაწევა, არამედ გვერდის ავლა. ათაყუყოს ცხენი კი აწყვეტილივით გარბოდა და გარბოდა. თავგანწირვა იყო საჭირო და ჰასაც ამ საფრთხის წინაშე არ შედრკა. ათაყუყოს ცხენის ნალთაგან აყრილ ვარსკვლავებს თანდათან მიუახლოვდა ჰასას ნალთა-





გან აყრილი ვარსკვლავები და ბოლოს გრიგალ-ცხენმა ისა-  
რივით გაუქროლა უკანასკნელ მეტოქეს, რომელმაც ცუდს  
შეცბა და კინალამ ხრამში გადაიჩეხა, მერე კი მიხვდა, რაც  
მოხდა და წინგასწრებულ რაშს გაგულისებულ დედევნა,  
მაგრამ კვიანლა იყო.

კონაჩხირის ციცაბოებს რომ გასცდა, ჰასამ უფრო მე-  
დგრად შეუტია გზას, კვლავ რაშულად ჩაუქროლა სოფ-  
ლებს და მწვანე ხალიჩით დაფენილ მწვანე მინდორზე გა-  
მოჩნდა, დალ-აშტასთან. პირველი მედოლე ცხენის გამორჩე-  
ნაზე ფეხზე დადგა მთელი სოფელი, ხალხი მდინარესავით  
დაიძრა მის შესახვედრად.

ქარაშოტივით, მაგრამ თანაბარი ნაბიჯით მოგელავდა  
იგი. ოქროსფერი გრძელი ფაფარი დროშასავით უფრია-  
ლებდა. ხალხმა იცნო გურძაულელი ცხენი, ყველასათვის  
საყვარელი, და გაისმა მხიარული შეძახილები: „ჰასა, ჩვე-  
ნი ჰასა!“

ცხენმაც თითქოს იგრძნო ხალხის სიყვარული, ჭიხვი-  
ნით წამოვიდა დოლის მიჯნისაკენ. ბევრს უცნაურად ეჩვე-  
ნა ეს ჭიხვინი, რადგან მის ხმაში სიხარულზე მეტი შემ-  
ფოთება და გულისწყრომა ერია. ხალხი იმან უფრო განა-  
ცვიფრა, რომ ჰასა უმხედროდ მოჭენდა. ამ ამბავმა შახანი  
და მისი სიძე შეაკრთო და უმალვე ცხენისაკენ გაიქცნენ.

ჰასამ დოლის მიჯნას პირველმა გადაურბინა. გამარ-  
ჯებულს ხალხი შეძახილებით მიესალმა, მაგრამ იგი არ  
შეჩერებულა. აღზნებული იყო ყოველივე იმით, რაც მის  
გულში დატრიალდა და თავი ადვილად ვერ შეიკავა, მინ-  
დორს ჭიხვინით შემოურბინა, მერე ნაბიჯი თანდათან შე-  
ანელა.

შახანი, როგორც იქნა დაეწია თავის საყვარელ ცხენს და კისერზე მოეხვია. ჰასამ ღრმად ამოისუნთქა, თითქმის ამოიოხრაო და გახურებული ქვიქვირი კეთილ პატრონს მხარზე ჩამოადო.

მთხრობელი გაჩუმდა, ჩამქრალ ჩიბუხს კვლავ მოუკიდა ცეცხლი და გააბოლა.

— იმ სპარსელმა ბიჭმა რაღა ქნა, მივიდა ადგილზე? — იკითხა ლაგუსტანმა.

შარმატ არსლანს ზიზღნარევად ჩაეცინა:

— ის ბიჭი?! ის დაღ-აშტაში იმიტომ მოვიდა, რომ სიცრუე ეთქვა, მაგრამ როცა დაინახა გამარჯვებული ჰასა, მიხვდა თავის უღირს საქციელს, სირცხვილის ცეცხლმა გულში გახურებული შანთივით გაუარა და ველარ თქვა, ცხენმა გადმომავდოო. ერთი კი გაიფიქრა, სიმართლე რომ ვალიარო, ის ხალხი მომკლავს, ვინც ფულით სავსე ქისა მომცაო, მაგრამ მალე შიში და ქისაც ერთად მოისროლა გვერდზე, შახანს ფეხებში ჩაუვარდა, გამწარებულმა ახალუხი მკერდზე გადაიხია და ყოველივე უამბო.

მაგრამ ამ ბიჭის მომსყიდველნი ფრთხილნი ყოფილან, სამედმა არ იცოდა, ვისმა კაცებმა შეაცდინეს იგი. ბოროტგამზრახველთა სახელები სამარადისოდ დაფარული დარჩა. ხალხი კი თავისას გაიძახოდა. ზოგს ეგონა, რომ ეს ბოროტება ათაჟუყოთა ოინები იყო, ზოგიც სამურზაყანელ მოჯირითეს ჩაგავას აბრალებდა, სხვები კიდეც სხვაზე ეჭვობდნენ.

როცა სპარსელი ბიჭი გაჩუმდა და ცრემლები შეიმშრალა, შახანმა უთხრა:

— ეჰ, საცოდავი ხარ, ყმაწვილო, აი, შენ, კაცმა, ადა-

შიანური სინდისი ფულში გასცვალე, ადამიანის ღირსება  
ტალახში ამოსვარე, ცხენმა კი ვაჟკაცურად სძლია მშობელს  
განსაცდელს და თავი არ შეირცხვინა. გახვრეტილი გრო-  
შია შენი ფასი, როცა კეთილშობილებითა და სიმამაცით  
ცხენმა გაჯობა.

არსლანი გაჩუმდა. დიდხანს დუმდნენ მის ირგვლივ  
ჩამომსხდარი მოხუცებიც და ღრმა ფიქრებით მოცულნი  
თავს მძიმედ აქნევდნენ.

ბოლოს ერთმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მართლაც რომ ასეა! სახელოვანი ცხენი კარგ კაცსა  
ჰკავს. სიცოცხლედ უღირს თავისი სინდის-ნამუსი, ღირსე-  
ბა და სახელი, თავს არასდროს შეირცხვენს.



## ს ა რ ჩ ე ვ ი

ალამისი	
თარგმანი ა. გ ე წ ა ძ ი ს . . . . .	5
ათირასი	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	9
მამა	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	14
ძმები	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	18
ქორწილი	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	33
ვინც ფურ-ირეში მოკლა	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	37
პაპის რჩევა-დარიგებანი	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	45
საპატარძლო	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	55
თინათი და ალმასხანი	
თარგმანი ნ. ჯ ი ბ ლ ა ძ ი ს . . . . .	59
ბუმბლი	
თარგმანი მ. ა ს ა თ ი ა ნ ი ს . . . . .	66
ბზის ჯოხი	
თარგმანი მ. ნ ი ე ა რ ა ძ ი ს . . . . .	77
ადგური	
თარგმანი გ. დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს . . . . .	89
ამბობენ, მოხუცილო	
თარგმანი მ. ა ს ა თ ი ა ნ ი ს . . . . .	92
პურ-მარილი	
თარგმანი ა. გ ე წ ა ძ ი ს . . . . .	96
ჰასა	
თარგმანი მ ი ს ი ვ ე . . . . .	110

Лакербай Михаил Александрович  
ВЕРБНАЯ ПАЛОЧКА  
(На грузинском языке)  
Детюниздат Грузинской ССР  
«Накадули»  
Тбилиси  
1968

რედაქტორი ნ. ჩირაძე  
მხატვრები: თ. ჯიშკარიანი, დ. დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა  
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე  
კორექტორი ი. უშვერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-68 წ.  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 3,875  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36  
ტირაჟი 5,000 შეკვ. № 956  
ფასი 20 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის, 5  
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს ბეკ-  
დვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-  
ვარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2,  
„ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის, 5  
Типография № 2 «Накадули» Государ-  
ственного Комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати Главполиграф-  
прома, ул. Пурцеладзе № 5



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ԱՆՍՏՐԱԿԱԿԱՆ ԱՐԽԻՎ

